საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი

# შიდა ქართლი

## პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა

(ცხინვალის რაიონი)
1981-1983 წლების ექსპედიციის მასალები

თბილისი
2002

УДК 72(879.22)
შ.621

ეძღვნება ქალბატონ რუსუდან მეფისაშვილის ნათელ ხსოვნას.

რედაქტორი - ხელოვნებათმცოდნე ცირა დადიანიძე.

რეცენზენტები:
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი - პარმენ ზაქარაია.

პროფესორი, არქიტექტურის ისტორიკოსი, სპელეისტი
- გივი გაფრინდაშვილი

სპონსორი - გია ოქრუაშვილი.

აღნიშნული სათაურით საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა გამოსაცემად მოამზადა ამ მეტად თვალწარმტაცი ქვეყნის არქიტექტურული ალბომი.

დეპარტამენტში დიდი ხანია რაც არსებობს ქართული არქიტექტურული ძეგლების ანაზომები და მათი აღწერა-დახასიათება, მაგრამ 1981-1983 წლების თანამშრომელთა მონაწილეობით მოწყობილმა სამეცნიერო-საველე ექსპედიციებმა სრულიად ახალი ძეგლები გამოავლინეს, რომლის ბაზაზე ჩამოყალიბდა არქიტექტურულ ძეგლთა საფონდო მასალების განყოფილება. ამ შეკრებილი სამეცნიერო მასალების პუბლიკაციას გვთავაზობს ავტორი.

ნაშრომში მოცემულია ძეგლთა მოკლე და ამომწურავი დახასიათება მათ შორის ძეგლთა თანამედროვე მდგომარეობა. ანბანზეა დალაგებული სოფლის სახელწოდებები, რაც აადვილებს წიგნზე მუშაობას. ყველა არქიტექტურული ნაგებობა დასურათებულია გრაფიკული და ფოტო მასალით. ნაშრომს ერთვის ძეგლთა გარშემო არსებული ლიტერატურის სია, რაც თვალსაჩინოს ხდის შიდა ქართლის ძეგლებზე ჩატარებულ მეცნიერულ და მეცნიერულ-პოპულარულ კვლევა-ძიებას.

წიგნში განხილულია საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტიპები - ფართოდ გავრცელებული მარტივი და რთული გარშემოსავლელებიანი და კოშკიანი გეგმიურ-სივრცობრივი სტრუქტურის დარბაზული ეკლესიები; აქვეა იშვიათი სახის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრები. სიმაგრეებს შორის წარმოდგენილია ზურგიანი კოშკები; მათი საუკეთესო ტიპები X-XI ს. არ გადმოშორდება.

ძეგლები ხელოვნებათმცოდნეობითი თვალთახედვითაა შესწავლილი და დათარიღებული, რაც საქართველოს ისტორიული ცხოვრების ფონზეა გააზრებული. გზამკვლევში განხილულია ლიტერატურაში კარგად ცნობილი ბიეთის სამონასტრო კომპლექსი, მიშენებული ადრეული უდაბნოეობის ეპოქის ქვაბოვან სამონაზვნო ჯგუფთან; ე.ი. ძეგლი წარმოადგენს მნიშვნელოვან დამათარიღებელ "უდაბნო-მონასტერს", რაც სხვა ცნობილ მრავალ მასალასთან ერთად, კიდევ ერთხელ ადასტურებს შიდა ქართლში საბერ-მონაზვნო მოღვაწეობის ორი საფეხურის ეპოქალურ მონაცვლეობას - ქვაბოვანი "უდაბნო" IV-VIII სს. და ქვიტკირის -"მონასტერი VIII-IX სს.

წიგნში საინტერესოდაა გააზრებული ვანათის ციხესთან (განვითარებული შუა საუკუნეები) მორგებული ვახუშტი ბატონიშვილის წყარო-ქარაფოვან კლდეების სახიზარ ქვაბთა გამოყენებაზე მტერთან ბრძოლაში.

წიგნი პირველი ნაშრომია ამ სერიისა, რომელსაც უთუოდ მოჰყვება განყოფილებაში არსებული,' უკვე მოძიებული და გაანალიზებული მასალები.

ბივი ბაფრინდაშვილი

# წინათქმა

ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის, მისი შენარჩუნებისა და დაცვის აუცილებლობის შესახებ არაერთხელ დაწერილა და თქმულა მეცნიერთა თუ საზოგადო მოღვაწეთა მიერ. დღემდე მოღწეულ სხვადასხვა ეპოქისა თუ სტილის ძეგლებს შორის, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდის – შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლები. ამ პერიოდის ყველა ძეგლი, განურჩევლად მხატვრული ღირებულებისა თუ მდგომარეობისა, მხოლოდ თავისი არსებობის გამო უკვე ფასეული და ყურადღების ღირსია.

წინამდებარე კრებულის მიზანიც სწორედ ეს გახლავთ – მიაწოდოს მკითხველს, ქართული კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ პირთ, ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურული ძეგლების შესახებ. ამ შემთხვევაში ჩვენ შევეხებით მხოლოდ ცხინვალის რაიონის ძეგლებს, რომელთა ნუსხისა და აღწერილობის გამოქვეყნება განსაკუთრებით აქტუალურია ამ რეგიონის დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

პატარა ლიახვის ხეობა, რომელიც შიდა ქართლის ისტორიული ნაწილია, მდიდარია ეტაპობრივი მნიშვნელობის ხუროთმოძღვრული ძეგლებით. ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებიდან, აღსანიშნავია ამ კუთხისათვის დამახასიათებელი ე.წ. ზურგიანი კოშკები და სწორკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიები, რომელთა გარეშე შეუძლებელია რეგიონის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის წარმოდგენა.

საქართველოს ამ, დღეისათვის მეტად მტკივნეულ რეგიონში 1982 – 1983 წლებში, იმდროინდელი ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს თაოსნობით ეწყობოდა გამსვლელი ექსპედიციები. ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამმართველოს თანამშრომლები: ხელოვნებათმცოდნეები – მ. აბაშიძე, პ. ბასიშვილი, ც. დადიანიძე; არქიტექტორები – ლ. გიორგაძე და ლ. ლომიძე; ისტორიკოსი ბ. კუპრეიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი). ჯგუფის

მიერ არაერთი ძეგლი იქნა დაფიქსირებული და აღწერილი ცხინვალის, რაიონში, ასევე აღმოჩენილ იქნა ბევრი ისეთი არქიტექტურული ძეგლი, რომელიც მანამდე აღრიცხული არ ყოფილა.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხარეში არსებული ზოგიერთი ძეგლის შესახებ ქართველ მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებულია მონოგრაფიები და ცალკეული წერილები. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. რუსუდან მეფისაშვილის ღვაწლი. რაც შეეხება წინამდებარე ნაშრომს, იგი უფრო ინფორმაციულ-აღწერილობითი ხასიათისაა.

შემოთავაზებული ნაშრომი, ფაქტობრივად, ისტორიული წყაროა, რომლის მიხედვითაც შესაძლოა მივაკვლიოთ დღეისათვის დაკარგულ ძეგლებს. მათი აღწერილობის ფონზე დავადგინოთ, თუ რა მდგომარეობაში იყო ესა თუ ის ძეგლი წარსულში, ასევე აღვადგინოთ ძეგლის პირვანდელი სახე, შევიტყოთ დაკარგული ნიმუშის არსებობის შესახებაც.

აღნიშნული ნაშრომი გზამკვლევადაც გამოადგება ხელოვნების ისტორიის მკვლევართ, ხელს შეუწყობს მათ მიერ ახალი პრობლემების დასახვასა და გამოსაკვლევ ძეგლებზე მუშაობას. ამასთან, ნაშრომი შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც საქართველოს ძველი რუკების აღსადგენად, ასევე ახალი რუკების შესადგენად.

# სოფ. ანდორეთი

# ღვთისმშობლის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

დარბაზული ეკლესია ნაგებია რიყის ქვითა და სხვადასხვა ზომის ფილაქნებით. გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში სარკმელია გაჭრილი. სამხრეთით სწორკუთხა ნიშაა. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. ჩრდილოეთი კედლის სიმაღლე 2-3 მეტრს აღწევს, ხოლო დასავლეთისა და სამხრეთის 1-2 მეტრს.

შესასვლელი სამხრეთიდანაა. კარის წირთხლები მორღვეულია. ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვა-ღორღით.




ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.



ინტერიერი, აბსიდის სამხრეთი კედლის ფრაგმენტი.

# სოფ. ანძისი

# ეკლესია

## ადრე შუა საუკუნეები.

ეკლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ-ზე მდებარეობს. ძეგლი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით. ფასადები შემდეგ შებათქაშებულ-შეთეთრებულია.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია ვიწრო, თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში და ჩრდილოეთ კედელთან ტრაპეზის ქვები დევს. სამხრეთით და ჩრდილოეთით ნიშებია, რომელთაგან სამხრეთის საკმაოდ ღრმაა.



**ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.**

კონქი ნახევარსფერულია. სატრიუმფო თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ შემორჩენილია კანკელის ქვედა ქვები.

ცილინდრული კამარა კედლის წყობაშია ჩართული. ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთის კედლებს ერთსაფეხურიანი ხარისხი მიუყვება.

ინტერიერი ნათდება აღმოსავლეთის და სამხრეთის, შიგნით სწორკუთხა გარეთ თაღოვანი სარკმლებით. ყველა კედელი შებათქაშებულ-შეთეთრებულია.

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა.




ეკლესიის გეგმა.

ეკლესიის ფასადები სრულიად სადაა. კარნიზი მარტივპროფილიანია. საბურავად გამოყენებულია შიფერი.

სამხრეთით მინაშენის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ბათქაში მრავალ ადგილას ჩამოცვენილია, დაზიანებულია ხარისხი, სარკმლები და კანკელი.

## სოფ. არდისი

# სამების ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

მაღალ მთაზე აღმართული ძეგლი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფიქალით დუღაბზე.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი.

აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით.

გრძივი კედლები შემორჩენილია 1-2 მეტრ სიმაღლეზე. სამი მეტრის სიმაღლეზე შემორჩენილ დასავლეთ კედელში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი.

არქიტრავული შესასვლელი ნაოთხალიანი კარით სამხრეთიდანაა. არქიტრავის თავზე სწორკუთხა ნიშაა.

ინტერიერში მიწის დონე საკმაოდ აწეულია.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. ეკლესია ძლიერ დაზიანებულია.




სამების ეკლესიის გეგმა.

## სოფ. არდისი

# წმ. გიორგის ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოზე მდებარე ეკლესია ნაგები იყო ფიქალით. ეკლესიის გეგმა არ იკითხება. მის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია. ტერიტორიაზე მრავლად ყრია საპირე ქვა. ძეგლის დათარიღება არ ხერხდება.

## სოფ. არდისი

# ღვთისმშობლის ნაეკლესიარი

შემორჩენილი ეკლესიის გეგმა არ იკითხება. გროვად ყრია დიდი ზომის ნაცრისფერი, ნათალი ქვები. კედლების წყობა არ ჩანს. ძეგლის დათარიღება არ ხერხდება.

# სოფ. არგვიცი

# ღვთისმშობლის ეკლესია

## გვიანი შუა საუკუნეები.

დარბაზული ეკლესია ნაგებია მოწითალო ფერის, სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია რიყის ქვით. კუთხეებში გამოყენებულია თლილი ქვა.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვაა. ჩრდილოეთით და სამხრეთით სწორკუთხა ნიშებია. კონქი ნახევარსფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ ხის კანკელი და ერთსაფეხურიანი სოლეაა. კამარა ცილინდრულია.

დარბაზი ნათდება აღმოსავლეთის და დასავლეთის სწორკუთხა სარკმლებით.

სამხრეთი შესასვლელი თაღოვანია. ინტერიერი შებათქაშებულია. იატაკი მიწურია.

ეკლესიის კარნიზი მარტივპროფილიანია. სახურავად გამოყენებულია კრამიტი.



ღვთისმშობლის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

## სოფ. არქინარეთი

# ყველაწმინდის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია დგას ბორცვზე. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფიქლით, ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. ჩრდილოეთით სწორკუთხა ნიშაა. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით. კამარა და კონქი ჩამოქცეულია. ინტერიერში მიწის დონე აბსიდის სარკმლამდე აღწევს, ამდენად, შესასვლელი არ ჩანს. დასავლეთის და სამხრეთის კედლებში თითო სწორკუთხა ნიშაა. იატაკი სავსეა ჩამონაშალი ქვით.



ყველაწმინდის ეკლესიის გეგმა.

## სოფ. არქინარეთი

# უსანეთას სალოცავი - ნაეკლესიარი

ნაეკლესიარი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთ განაპირას.

ნაეკლესიარი საძირკვლის დონემდეა დანგრეული. გეგმა გათხრა-გაწმენდის გარეშე არ იკითხება.

ირგვლივ მიმოფანტულია სამშენებლო მასალა - კარგად გათლილი ადგილობრივი ქვის კვადრები, თაღების და კამარის თლილი შირიმის კვადრები. (გაბარიტები - დაახლოებით 7X4 მ.).

ძეგლის დათარიღება არ ხერხდება.

## სოფ. არქინარეთი

# წმ.გიორგის ეკლესია

ძეგლი მდებარეობს სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 კმ-ზე, ტყეში.

წმ.გიორგის დანგრეული ეკლესიის გეგმა ცუდად იკითხება. ძეგლი ნაგები ყოფილა სხვადასხვა ზომის ყორე ქვით. მათი შემორჩენილი ნაწილები იქვეა მიმობნეული და მიწითაა დაფარული. ეკლესიის დათარიღება არ ხერხდება.




წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.

## სოფ. არქინარეთი

# ეკლესია

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ-ზე მდებარე მცირე ზომის დარბაზული ეკლესია ნაგებია ყორექვით. აბსიდა ნახევარწრიულია. ჩრდილოეთით ერთი სწორკუთხა ნიშაა. ასეთივე ნიშებია გრძივ კედლებში.

სარკმლები დასავლეთით და აღმოსავლეთითაა. შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი.

კედლების შემორჩენილი მცირე ნაწილიც ძლიერ არის დაზიანებული.




ეკლესიის გეგმა.

# სოფ. არცევი

## ეკლესიის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესიიდან შემორჩენილია დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლეზე ამართული ნახევარწრიული აბსიდისა და ჩრდილოეთი კედლის მცირე ნაწილი. დანარჩენი კედლები მიწის პირზეა გასწორებული. აბსიდის კედელი პერანგშემოცლილია.



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

## სოფ. არცევი

# ღვთისმშობლის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე, ნაგებია რიყის ქვითა და ფიქალით, რომელიც შემდეგ შელესილია.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. ჩრდილოეთით და სამხრეთით სწორკუთხა ნიშებია მოთავსებული. სარკმლის ძირში ჩანს ტრაპეზის ქვედა ქვები. კონქი ნახევარსფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი ჩრდილოეთით პილასტრს ეყრდნობა, სამხრეთით იმპოსტს. იმპოსტი პირდაპირ კარის წირთხლს ებჯინება. დასავლეთით ქორო იყო, გრძივ კედლებზე შემორჩენილია მოაჯირის დასამაგრებელი ბუდეები.

ინტერიერი ნათდება აღმოსავლეთის და სამხრეთის სწორკუთხა სარკმლებით. იატაკი მიწურია.

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა; კარი ნაოთხალია.

ეკლესიის ფასადები სადაა. კარნიზი მარტივპროფილიანია. სახურავად გამოყენებულია კრამიტი.

აღმოსავლეთ ფასადის ზედა ნაწილში ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა; ჯვრის თავზე, სამკუთხა ფილაზე ამოკაწრულია ტოლმკლავა ჯვარი. ფილის ქვედა ნაწილში ასომთავრული წარწერაა: "ქრისტე შეიწყალე გ-დ".

ყველა ფასადი დაზიანებულია. სახურავი ჩამოცვენილია.




ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.

## სოფ. არცევი

# ნაეკლესიარი

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე (ადგილი გოიანთა) მდებარე ეკლესიიდან შემორჩენილია დაახლოებით 1-1,5 მეტრის სიმაღლის კედლები, ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით, სქელ დუღაბზე.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის მხოლოდ სამხრეთი მხარე იკითხება.

შესასვლელი დასავლეთიდანაა.

ეკლესიის ჩრდილოეთით მინაშენია, რომელსაც აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდა აქვს. მინაშენიდან შემორჩენილია დასავლეთი კედლის მცირე ნაწილი და აღმოსავლეთი კედელი. კედლების სიმაღლე 1 მეტრს აღწევს.

ძეგლის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია შემორჩენილი.



ნაეკლესიარის გეგმა.

## სოფ. აჩაბეთი

# აჩაბეთის ციხე

### XVI-XVIII სს.

ციხე დგას მოვაკებულ ადგილას. ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით დუღაბზე.

ციხის ნანგრევებში ჩანს მშენებლობის ოთხი ქრონოლოგიური ფენა.

თავდაპირველად აქ იდგა კოშკი მცირე ზომის გალავნით. გა-

ღავანი გეგმით ნახევარწრეს უახლოვდება. მოგვიანებით მას სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მიაშენეს უფრო დიდი ზომის, გეგმით ისევ ნახევარწრეს მიახლოებული გალავანი.

ციხის მესამე გალავანი მოიცავს 700 კვ.მ. ფართობს. გეგმით ტრაპეციას უახლოვდება. გალავანი შემორჩენილია ფრაგმენტულად.

კოშკი არასწორი ფორმისაა. ქვედა ნაწილი ოთხკუთხედია, ზევით კუთხეები მომრგვალებულია. კოშკის შემორჩენილ კედლებზე ჩანს ოთხი სართულის კვალი. პირველი სართულის აღმოსავლეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია. შესასვლელი მეორე სართულზეა მოწყობილი. შესასვლელის მარცხნივ ბუხარი იყო. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში, თითო სწორკუთხა სარკმელია. მესამე სართულის კედლებში ერთმაგი და ორმაგი სათოფურებია. მეოთხე სართულის კედლებიდან მხოლოდ ქვედა ნაწილებია შემორჩენილი.

კოშკი ნაგებია რიყის ქვით. ჩრდილოეთი ფასადის ცენტრში ნახევარწრიული შვერილია - კონტრფორსის სახით.

ციხის აღმოსავლეთ ნაწილში მცირე ზომის სამლოცველოა. ეკლესიიდან შემორჩენილია კედლების წყობის ქვედა ქვები. გეგმა არ იკითხება.

ციხე ძლიერ არის დაზიანებული.

ვახუშტის მიხედვით: "თირის მონასტრის ხევზედ, გორის ძირს, არს ანაბეთი სასახლე და ციხე მეფეთა".

პ.ზაქარაიას მიხედვით:

«В первый раз Ачабетская крепость упоминается в 1556 году. В одной летописи читаем, что царь Луарсаб I долго вёл ожесточенную борьбу против иранцев.В 1556 году «царь Луарсаб находился иногда в Ачабетском укреплении, а иногда в Имеретии». Ачабетская крепость снова упоминается только во второй половине ХУIII века. Восставший против иранцев Гиви Амилахори владел большинством крепостей Шида Картли. Среди них находилась и крепость Ачабети. Летописец П. Орбелиани в двух случаях упоминает Ачабетскую крепость. В 1744 году Гиви Амилахори находился в Сурамской крепости. Кнему на помощь пришли турки с большими войсками. Когда Амилахори получил такое подкрепление, он начал готовиться к войне с царем Ираклием II. Об этом узнал царь. Как сообщает летописец, царь решил опередить Амилахори и сам начал наступление с крепости Ачабети.

В том же году Ираклию пришлось второй раз брать крепость. В войске царя, находился местный тавад Мачабели. Он был на стороне царя, а Амилахори, в отместку, неоднократно призывал лезгин, опустошавших владения Мачабели. Царь и Мачабели решили пресечь эти нападения и



აჩაბეთის ციხე. საერთო ხედი.

направились к Ачабсти. Лезгины, узнав о приближении царских войск, засели в Ачабстской крепосте. Царские войско окружило крепость. Но когда лезгины убедились, что не выдержат осаду, они ночью прорвались через кольцо окружения и убежали».

## სოფ. აქვისთავი

# ზურგიანი კოშკი (ნანგრევი) ნაგებობათა ნაშთები

### ადრე შუა საუკუნეები.

მდ.აძურას მარცხენა ნაპირას, ბორცვზე მდგარი კოშკიდან შემორჩენილია ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე, რომელიც ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით დუღაბზე. მისი სიმაღლე 9-10 მეტრს აღწევს.



საერთო ხედი.

კოშკიდან სამხრეთით, მთელ ბორცვზე მიმოფანტულია ნაგებობათა ნანგრევები, რომელთა სახეობის და ფუნქციის დადგენა არ ხერხდება.



სქემატური გეგმა.

# სოფ. აძვისთავი

# წმ.გიორგის ეკლესია

## გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს სოფლიდან აღმოსავლეთით 1 კმ-ზე ტყე-ში. ძეგლი ნაგებია რიყის ქვით და ფიქალით სქელ დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას.



**ხედი აღმოსავლეთიდან.**

აბსიდის ჩრდილოეთით ერთი სწორკუთხა ნიშაა. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.



წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.

ეკლესიის კამარას თითქმის შეისრული ფორმა აქვს, დარბაზი კი განათებულია სამხრეთის და დასავლეთის სწორკუთხა სარკმლებით.

სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია. კარი ნათხალია. ინტერიერში მიწის დონე აწეულია.

ეკლესიას სამხრეთიდან მინაშენი აქვს. მისგან შემორჩენილია სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეები, რომელთა სიმაღლე 1 მეტრს აღწევს.

ფასადები სადაა.

ეკლესიას საპირე ქვა მრავალ ადგილზე აქვს შემოცლილი. კედლები დაბზარულია, სახურავი აყრილია.

## სოფ. აწრისხევი

# აწრისხევის ციხე

### XVIII ს-ის დასაწყისი.

ვახუშტი მოიხსენიებს აწრისხევს და ციხეს. მისი სიტყვებით "...არს აწერის-ხევი. აქ აღაშენა შანშემ ციხე-სიმაგრედ თჳსად, არამედ ექმნა გალიად, რამეთუ გამოიყვანეს ცოლი და დედაწული მისი მუნიდამ". ("ქართლის ცხოვრება", ტ.IV, თბ., 1973, გვ.362). შანშე ქსნის ერისთავის ცოლ-შვილი აწრისხევის ციხის აღების შემდეგ დაატყვევა ნადირ-შაჰმა. ტერიტორია, რომელზედაც ციხე მდებარეობს შედიოდა ქსნის საერისთავოში (იქვე, გვ.517).

ციხე მდებარეობს მდ.პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, მაღალი ქედის ფერდობზე. მას საკმაოდ მოზრდილი ფართობი უჭირავს. ციხის გალავანი, გარდა სამხრეთი კედლისა, მიწასთან არის გასწორებული. სამხრეთი კედელი 2-3 მეტრის სიმაღლეზეა გადარჩენილი. მას აქვს სამი ნახევარწრიული გოდოლი და ოთხი კონტრ-



**აწრისხევის ციხე. საერთო ხედი.**

ფყორსი. ციხის შიდა ტერიტორიაზე მრავალი ნაგებობის ნაშთია, რომელთა გეგმის დადგენა გათხრის გარეშე შეუძლებელია. გალავნის დასავლეთით, უკიდურეს ზედა ნაწილში, კედელზე მიშენებული სწორკუთხა ნაგებობის ნაშთია, რომლის დასავლეთ კედელში ბუხარია შემორჩენილი.

გალავანი ნაშენია ადგილობრივი ქვის თანაბარი ზომის კვადრებით. ქვა მომწვანო-მონაცრისფროა. კედლების სისქე დაახლოებით 120 სმ-ია.

## სოფ. აწრისხევი

# ბეხუშეს ციხე

### გვიანი შუა საუკუნეები.

მდ.ჩაფარუხის წყლისა და ქნოლოს წყლის შესართავთან აღმართული ციხე ნაგებია ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვით - დუღაბზე. ქვის წყობა ქაოსურია.

ციხე კლდეზეა აშენებული და ყოველი მხრიდან თითქმის მიუდგომელია. მისი ღერძი ვითარდება სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით. სამხრეთიდან ჩრდილოეთით წაგრძელებულია 50 მ-ის



ციხის სქემატური გეგმა.



ხედი ჩრდილოეთიდან.

სიგრძეზე, ხოლო სიგანეზე 20-25 მ.

ციხის ჩრდილოეთ კედელში გაჭრილია მცირე ზომის არქიტრავული შესასვლელი. ციხეს განივი კედელი ორ არათანაბარ ნაწილად ჰყოფს.

ციხეს ჩრდილოეთით ორი, დასავლეთით და აღმოსავლეთით სამ-სამი ნახევარწრიული კონტრფორსი აქვს. დასავლეთის კონტრფორსები ძლიერ დაზიანებულია.

ციხის შიდა ტერიტორია დაფარულია ჩამონაშალი ქვით.

## სოფ. აწრისხევი

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლიდან სამხრეთით 3-4 კმ-ზე, ბენდერის მთაზე მდებარე სწორკუთხა კოშკის ზედა ნაწილი მონგრეულია. გადარჩა მისი 4 სართული. პირველი სართული ნანგრევებითაა ამოვსებული.

მეორე სართულის სამხრეთ კედელში 1 მ სიმაღლის სწორკუთხა შესასვლელია. აქვს ნათოხალები და ღრმა საურდული. სართულშუა კოჭოვანი გადახურვიდან შემორჩა კედლებში ჩატანებული

კოჭების ბუდეები. სართულის აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლებში მცირე ზომის, ვიწრო სარკმლებია. აღმოსავლეთი სარკმლის გვერდით სწორკუთხა ნიშაა.

მესამე სართულის ჩრდილოეთი კედლის ცენტრში ბუხარია. მისგან დასავლეთით მცირე ზომის სარკმელ-სათოფური და ნიშაა; ასეთივე ნიშაა აღმოსავლეთითაც. სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლების ცენტრებშიც გაჭრილია სარკმლები.




კოშკის გეგმა.



სამხრეთი ფასადი.



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

IV სართულის დასავლეთის, სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლების ცენტრებში სარკმლებია.

კოშკი ნაგებია ფლეთილი ქვით და სქლად დაპობილი ფიქალით. კომპლექსს წრიულად აქვს შემოვლებული გალავანი. იგი 1,5 მეტრ სიმაღლემდეა შემორჩენილი.

## სოფ. აწრისხევი

# წმ. მარიამის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს მდ.პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირას შემაღლებულ ბორცვზე.

ძეგლი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, სქელ დუღაბზე.

გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია დიდი თაღოვანი სა-



**ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.**

რკმელი. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო თაღოვანი ნიშაა. აბსიდა დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით. ნახევარსფერული კონქი ხისაა. ხისავე სატრიუმფო თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა.

გრძივი კედლები შემორჩენილია 8-9 მეტრის სიმაღლეზე. კედლებს წყვილი პილასტრი თითქმის თანაბარ ნაწილებად ჰყოფს. პილასტრების კაპიტელებს კამარის საბრჯენი თაღი ეყრდნობოდა. შემორჩენილია თაღის ქუსლი.

მაღალი თაღოვანი სარკმლები სიმეტრიულადაა განლაგებული. სარკმლის თაღები სოლისებრი ქვებითაა გადაყვანილი.

მთლიანად შებათქაშებული ინტერიერი, ამჟამად დაფერილია ცისფერი საღებავით. ბათქაში მრავალ ადგილას ჩამოცვენილია.

იატაკი მიწურია. ეკლესიას თაღოვანი შესასვლელები დასავლეთიდან და სამხრეთიდან აქვს.

სამხრეთის შესასვლელის ღერძზე ქვის ფილაზე ჯვრის გამოსახულებაა. ჯვრის ქვემოთ მხედრული წარწერაა, რომელიც დაზიანების გამო არ იკითხება.

დასავლეთიდან ეკლესიას თაღოვანი, სამსართულიანი სამრეკლო აქვს, რომლის - თაღებით გახსნილი პირველი სართული ეკლესიის კარიბჭედაა გამოყენებული. სამრეკლო ნაგებია თლილი ქვის ღვინისფერი კვადრებით. თაღები ეყრდნობა სწორკუთხა სვეტებს.

აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი ფასადები სრულიად სადაა.

კარნიზი მარტივპროფილიანია. ეკლესია დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. სახურავად თუნუქია გამოყენებული.

კამარა ჩამოქცეულია. კედლებზე მცენარეებია ამოსული. სამრეკლოს სახურავი დაზიანებულია.



**წმ.მარიამის ეკლესიის გეგმა.**

## სოფ. აჭრისხევი

# ღვთისმშობლის ეკლესია

### IX-X სს.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 800 მეტრში მდებარე მცირე ზომის დარბაზული ეკლესია ნაგებია შირიმის და ადგილობრივი ქვის თლილი კვადრებით.

სწორკუთხა საკურთხევლის ცენტრში თაღოვანი სარკმელია, რომელიც კუთხეებში ოდნავ მრგვალდება. კედლის ქვედა ნაწილში მიშენებულია ტრაპეზი. კონქი სფერულია. აბსიდა დარბაზისაგან გამოყოფილია სამთაღოვანი კანკელით, ცენტრში - აღსავლის კარით, ჩრდილოეთით მაღალი, თაღოვანი კარით სამხრეთით კი თაღოვანი ღიობით (სარკმელი). თაღები ეყრდნობა მრგვალ კოლონებს, კანკელი გალესილია. ეკლესიის სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლების აღმოსავლეთ ნაწილებს მაღალი, თაღოვანი ნიშები აქვს. მათში მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშებია ჩასმული. სამხრეთ მონაკვეთის ერთსაფეხურიანი კარნიზი მიუყვება. აბსიდის წინ ნახევარწრიული სოლეაა. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. იგი ეყრდნობა თაღს, რომელსაც იჭერს გრძივი კედლების ცე-



**ღვთისმშობლის ეკლესია. ხედი აღმოსავლეთიდან.**

ნტრებში აყვანილი სამსაფეხურიანი პილასტრები. პილასტრების გვერდით საფეხურებიდან გრძივ კედლებზე გადადის თაღედი.

დასავლეთ კედლის ზედა, ცენტრალურ ნაწილში მცირე, სწორკუთხა სარკმელია. სამხრეთ კედლის დასავლეთ თაღედში არქიტრავული შესასვლელია, აღმოსავლეთ თაღების ზედა ნაწილში კი თაღოვანი სარკმელი. კედლებს ეტყობა შელესილობის კვალი.

ფასადების ზედა ნაწილები დაზიანებულია. გადახურვა არ შემორჩა.

## სოფ. ახალისი

# ლომისას წმ.გიორგის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია სოფლის სამხრეთ-დასავლეთით მთაზე, 3 კმ-ში მდებარეობს.

ძეგლი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფიქალით სქელ დუღაბზე.

დარბაზული ეკლესია გეგმით ტრაპეციას უახლოვდება, აღმოსავლეთით კილოფა აბსიდით, რომლის ცენტრში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. ჩრდილოეთით ორი სწორკუთხა ნიშაა.

ტრიუმფალური თაღის საყრდენი პილასტრების ქვედა ნახევარი მთლიანი, სქელი ფიქალია, ზედა ნაწილი შირიმის თლილი კვადრებითაა ამოყვანილი. გრძივი კედლები შემორჩენილია 3 მეტრის სიმაღლეზე. სამხრეთ შესასვლელის წირთხლები მორღვეულია.

ეკლესიის დასავლეთ ფასადზე მიდგმულია გეგმით სწორკუთხა კოშკი, რომლისგანაც ორი სართულია შემორჩენილი. კოშკს დასავლეთიდან ორმაგი კედელი აქვს. მეორე სართულის დასავლეთის კედელში ვიწრო სარკმელია. ნაგებობა შიგნიდან ამოვსებულია ნანგრევებით.



ლომისას წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ბელოთი

# ქაშუეთის ეკლესია

### შუა საუკუნეები.

სოფლიდან აღმოსავლეთით 1,5 კმ-ზე მდებარე მცირე ზომის დარბაზული ეკლესია ძალიან არის დაზიანებული. დანგრეულია მისი სამხრეთი კედლის ზედა ორი მესამედი, აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების ნახევარი და კამარის სამხრეთის ორი მესამედი.

ეკლესია უაბსიდოა. აღმოსავლეთ კედლის ცენტრში მცირე ზომის სარკმელია. შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია. ეკლესია ნაშენია ფლეთილი ქვით. ჩრდილოეთით და დასავლეთით შემორჩა გალავნის ფრაგმენტები.




ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ბელოთი

# ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები

სოფლიდან აღმოსავლეთით 2 კმ-ში, მთაზე, მდებარე ეკლესია ნაგები იყო ფლეთილი ქვით დუღაბზე. გეგმით უაბსიდო სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით. კედლების სიმაღლე 1-2 მეტრს აღწევს. შემორჩენილია ჩრდილოეთი კედლის ქვედა ქვები.

შესასვლელი სამხრეთიდანაა. შესასვლელის წირთხლები მირღვეულია.

მიწის დონე საგრძნობლად აწეულია. ძეგლის დათარიღება არ ხერხდება..




ეკლესიის გეგმა.

### სოფ. ბელოთი

## ლომისას ეკლესიის ნანგრევი

**შუა საუკუნეები.**

სოფლის მიდამოებში მდებარე ეკლესიიდან შემორჩენილია სამხრეთი კედლის მცირე ნაწილი. ნაგებია ნაცრისფერი, ფლეთილი ქვით. ტერიტორიაზე მიმობნეულია დიდი ზომის ქვები.

### სოფ. ბელოთი

## ბელოთის კომპლექსი

**ეკლესია - X ს; სამრეკლო - 1885 წ; ციხე -XVIII ს.**

კომპლექსი მდებარეობს მდ.პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირას.

ისტორიულ წყაროებში ბელოთის ციხე მოხსენიებულია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ პერიოდში ციხე და მთელი პატარა ლიახვის ხეობა ქსნის ერისთავს ეკუთვნოდა. ერისთავობის გაუქმე-

ბის შემდეგ, XVIII საუკუნის ბოლოს, ეს მხარე ეკუთვნოდა ბატონიშვილ იულონს.

გენერალ ტუჩკოვის 1802 წლის 10 აგვისტოს მოხსენებაში წერია, რომ იულონი იძულებული იყო დაეტოვა ბელოთი. ამის შემდეგ ციხე დაიკავეს რუსთა ჯარმა. იულონი ცდილობს ადგილობრივი მოსახლეობის და ლეკების დახმარებით ციხის დაბრუნებას: «Намерение их есть взбунтовать осетинцев, по сане и Лиахве живущих, овладеть замком Белоти».

გენერალი ტუჩკოვი ღებულობს სათანადო ზომებს: «Я опасался, чтобы через переписку не упустить время-замок Белот приказал я подкрепить 50 человеками гренадер».

საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ წლებში ბელოთის ციხეს თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბელოთი მდებარეობს მდ.პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირას, მოვაკებულ ადგილზე. მდინარის მხრიდან მაღალი, ციცაბო ფლატეა.

ბელოთის კომპლექსში შედის ეკლესია, ციხე თავისი კოშკებით, სასახლე და საცხოვრებელი სახლი.

ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია სხვადასხვა ზომის შირიმის ქვა.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში მაღა-



**ბელოთის კომპლექსი. საერთო ხედი.**

ლი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აბსიდის ჩრდილოეთით თაღოვანი, ხოლო სამხრეთით სწორკუთხა ნიშებია. სატრიუმფო თაღი პილასტრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ აგურის ერთსაფეხურიანი სოლეაა.

გრძივი კედლები სამსაფეხურიანი პილასტრების საშუალებით სამ ნაწილად იყოფა. პილასტრების საფეხურებს კედლის თაღები და ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღები ეყრდნობა. ეკლესიის ინტერიერი შელესილია. დარბაზი ნათდება ოთხივე კედელში გაჭრილი თაღოვანი სარკმლებით. სამხრეთი შესასვლელი თაღოვანია, კარი ორმაგ ნათხალია. დასავლეთიდან გვიან გაჭრილი არქიტრავული შესასვლელია.

სამხრეთიდან ეკლესიას ღია თაღოვანი კარიბჭე აქვს. კარიბჭის შეისრული თაღები ოთხკუთხედშია მოთავსებული.

1885 წელს კარიბჭეს დააშენეს მაღალი, ღია თაღოვანი სამრეკლო, რომელიც გადახურულია თუნუქით. სამრეკლო ნაგებია აგურით.

ციხის კედლების სიმაღლე საშუალოდ 10 მეტრს აღწევს. კედლებზე სათოფურები ოთხ იარუსადაა გაჭრილი. სარბენი ბილიკები ხისა იყო. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გეგმით ტრაპეციის ფორმის კოშკია. კოშკის პირველი სართული დაყოფილია ოთხ ნაწილად, აქ ინახებოდა პროდუქტი და სხვადასხვა ინვენტარი. პირველ სართულში შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა, მეორე სართულისა კი ჩრდილო-დასავლეთის კუთხეშია მოწყობილი. კოშკის ერთადერთი სარკმელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. დანარჩენ კედლებში რამდენიმე სათოფურია.

ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკი ცილინდრულია. ამ კოშკში მოხვედრა შეიძლება მხოლოდ ეკლესიის სახურავის საშუალებით, ვინაიდან კოშკის კარი ამ დონეზეა გაჭრილი. კოშკის პირველი სართულის სამხრეთ კედელში ერთი სარკმელია, მეორე სართულზე შესასვლელის პირდაპირ ბუხარია. ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით სარკმლებია. სარკმლების ორივე მხარეს სათოფურებია გაჭრილი. მესამე სართულის კედლებში ერთმაგი და ორმაგი სათოფურებია.

ციხის ჩრდილო-დასავლეთი კოშკი სამსართულიანია. პირველ და მეორე სართულს, ეზოს მხრიდან ცალ-ცალკე, სწორკუთხა შესასვლელები აქვს. კოშკის პირველი და მესამე სართული გეგმით წრიულია, ხოლო მეორე სართული - კვადრატული.

სართულშუა გადახურვები მოშლილია.

სამხრეთ-დასავლეთი კოშკის სამხრეთი ნაწილი ჩამონგრეულია.

ჩანს ოთხი სართულის კვალი. ქვედა სამ სართულს ეზოს მხრიდან დამოუკიდებელი შესასვლელები აქვს. შესასვლელები სწორკუთხაა. მეორე სართული გეგმით კვადრატულია, ხოლო დანარჩენი სართულები - წრიულია. პირველი სართულის ჩრდილოეთ კედელში ორი დიდი სწორკუთხა ნიშაა, რომლებშიც გაჭრილია სათოფუ-



**კომპლექსის კარიბჭე-სამრეკლო.**

რები. მეორე სართულის კედლებში ორი პატარა ნიშა, ერთი სათოფური და ერთი სარკმელია. სათოფურები გაჭრილია აგრეთვე მესამე და მეოთხე სართულში.

ციხესთან ერთად აშენებული იყო სასახლეც, რომელიც ციხის სამხრეთ კედელს ებჯინება. ამ ადგილას კედელი შესქელებულია. მიუხედავად ამისა, სასახლე ძლიერ არის დანგრეული. შემორჩენილი კედლების მიხედვით შეიძლება იმის დადგენა, რომ სასახლე სამსართულიანი იყო. შედარებით უკეთესად შემორჩენილ პირველ სართულში სამი ოთახი ჩანს. შუა ოთახი დარბაზია, გვერდითა ოთახები უფრო მცირე ზომისაა. ყოველი ოთახის სამხრეთ კედელში ბუხარია, რომლის ორივე მხარეს ღრმა ნიშებია მოთავსებული. გარეთა კედლების შემორჩენილი ნაწილიდან ირკვევა, რომ ზემო სართულების ოთახების განლაგებაც ანალოგიური იყო.

ციხის აღმოსავლეთ კედელთან, გარედან მიშენებულია გეგმით სწორკუთხა, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. სახლი დაყოფილი იყო სამ ნაწილად. აღმოსავლეთით დიდი დარბაზია, დანარჩენი ორი ოთახი უფრო მცირეა. ოთახების კედლებში ბუხრების კვალია.

ძეგლი ძლიერ არის დაზიანებული.

სოფ. ბელოთი

# ფოხალას ციხე

## გვიანი შუა საუკუნეები.

ციხე დგას ფოხალას მთაზე.

პ.ზაქარაია თავის წიგნში: «Древние крепости Грузии» წერს: «О времени постройки этой крепости и о её строителях ничего неизвестно. Лишь однажды она упоминается у летописца Иссе Бараташвили при описании восстания 1777 г. ксанского эристава Георгия. Он сообщает, что восставший Эристав «укрепил Ахалгори, Цирколи, Монастери, Похала, Сиата, и Бехчо». Сам Эристав засел тут же в стоящей недалеко крепости Сиата а «его сын - Элисбар - в Похала». Царь Ираклий направил против восставших довольно значительное войско. Элисбар, не надеясь выдержать осаду, оставил крепость и уехал к тестю в Имеретию. После этого вместе с другими крепостями была взята и Похала».

ფოხალას ციხე იდგა მთის ვიწრო თხემზე. გალავნის შემორჩენილი ფრაგმენტებით დგინდება, რომ ციხე სიგრძით 100 მეტრს აღწევდა, ხოლო სიგანით 5-6 მეტრს. კედლებში ჩართული იყო სამი კოშკი. ერთი მათგანი იდგა მთის ყველაზე მაღალ წერტილზე, ხოლო დანარჩენი ორი სამხრეთ კედლის შუა ნაწილში. ამ ორი კოშკიდან მხოლოდ ერთია ნაწილობრივ შემორჩენილი.

ცილინდრული კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, სქელ დუღაბზე. ქვა ნაცრისფერია.

კოშკი სამსართულიანია. პირველი სართული გეგმით წრიულია, მეორე და მესამე სართულები თითქმის კვადრატულია, აქედან მესამე სართულის კუთხეები წაკვეთილია. მეორე და მესამე სართუ-



**ხედი დასავლეთიდან.**

ლებს ციხის ეზოდან დამოუკიდებელი შესასვლელები აქვს. შესასვლელები გაჭრილია სამხრეთით. მეორე სართულის ჩრდილოეთის კედელში მოწყობილია თაღოვანი ბუხარი. ბუხრის ორივე მხარეს სარკმლებია მოთავსებული. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედელში წყვილი სწორკუთხა ნიშაა.



ფოხალას ციხის გეგმა.

მესამე სართულის დასავლეთ კედელში გაჭრილია დამრეცი სათოფურები. სამხრეთ კედელში მოთავსებულია ორი დიდი სარკმელი. აღმოსავლეთ კედლის ცენტრში ღრმა, სწორკუთხა ნიშა. ნიშის ორივე მხარეს მოწყობილია სათოფურები; სათოფურებია აგრეთვე კედლების კუთხეებში.

სართულშუა გადახურვა ჩამონგრეულია. შემორჩენილია ხის კოჭები და მათი ბუდეები.

## სოფ. ბერიჯვარი

# ეკლესიის ნანგრევი

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევი. ძეგლი ნაგებია ფლეთილი ქვით; ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.



ეკლესიის ნანგრევის გეგმა.

მცირე ზომის დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში ვიწრო, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი, ჩრდილოეთით სწორკუთხა ნიშაა. სატრიუმფო თაღი

კედლის წყობაში იძირება. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით.

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია. დარბაზი ნათდება დასავლეთის სწორკუთხა სარკმლით. იატაკი მიწურია. სამხრეთის თაღოვან შესასვლელს ტიმპანი აქვს. ეკლესიის ფასადები სადაა. სამხრეთ ფასადზე შემორჩენილია მარტივპროფილიანი კარნიზის ფრაგმენტი.

ეკლესიის კედლები დეფორმირებულია. სამხრეთი ფასადის დასავლეთი ნაწილი პერანგშემოცლილია. დასავლეთის ფასადის ჩრდილოეთი ნაწილი ჩამონგრეულია. სახურავი აცვენილია. კამარა დაზიანებულია.

## სოფ. ბიეთი

# ღვთისმშობლის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია დგას სოფლის სასაფლაოზე. ძეგლი ნაგებია ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია რიყის ქვა.

მცირე ზომის დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით შებრტყელებული აბსიდით, რომლის ცენტრში ვიწრო, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დევს. აბსიდის აღმოსავლეთ ნაწილში ერთი სწორკუთხა ნიშაა.

ეკლესიის კამარა შეისრულია. სამხრეთი შესასვლელის ფორმა დაზიანების გამო არ იკითხება.

კამარის დასავლეთი ნაწილი ჩამონგრეულია, იატაკი მიწურია, სახურავი ჩამოცვენილია.



ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.

სოფ. ბიეთი

# ბიეთის მონასტერი

## ეკლესია IX ს;
## სამხრეთის მინაშენი (დარბაზი) გვიანი შუა საუკუნეები.

ვახუშტის მიხედვით: "მეჯუდის მდინარის დასავლეთად, მთის ძირში არს, ბიეთის მონასტერი კეთილს შუენიერს ადგილს. ამას უდის ჴევი, გამომდინარე მერის მთისა, და მიერთვის მეჯუდას დასავლიდამ. უხის ბიეთს წინამძღუარი".

ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებული იყო ასომთავრული წარწერა. 1912 წელს ე.თაყაიშვილის მითითებით ქვები გადმოტანილი იქნა თბილისში, ამჟამად დაცულია სახელმწიფო მუზეუმში. წარწერა შემდეგნაირია: "ქრისტე მეუფეო ყოველთაო ადიდე ერისთავთ ერისთავი თანე ძე ბაკურ ყანჩაელისა უფალი და პატრონი (ამი)ს წმინდისა ეკლესიისა (და) ცეც წმინდა (მრ)ემლი (?) სმ (ე)... (ი) ყ(ო)..."

მეორე წარწერა მოთავსებულია მცირე ზომის ქვაზე გამოსახულ ჯვრის ქვედა მკლავის ორივე მხარეს: "კანე და ბეშქენ დაიცავენ".

ბიეთის მონასტერი დგას მდ.მეჯუდას ვიწრო ხეობაში, შემაღლებულ კონცხზე. იგი ნაგებია დიდი ზომის შირიმის კვადრებით. აქა-იქ გამოყენებულია რიყის ქვა.



ინტერიერი, დასავლეთი კედლის ფრაგმენტი.

მონასტრის მშენებლობა განეკუთვნება რამდენიმე ქრონოლოგიურ პერიოდს: ეკლესია ეკუთვნის IX საუკუნეს, თითქმის ამავე პერიოდისაა სამხრეთის ვიწრო და გრძელი მინაშენი, ხოლო მეორე მინაშენი - დიდი დარბაზი, განეკუთვნება გვიან შუა საუკუნეებს. ამას გარდა აქ შემორჩენილია სატრაპეზოს მცირე ნაწილი და რამდენიმე საცხოვრებელი გამოქვაბული.

დარბაზული ეკლესია, ორსართულიანი, მთლიანად კედელში ნაკვეთი ჩრდილოეთი სათავსებით წარმოადგენს რთულ ნაგებობას. დარბაზი მაღალი, თაღოვანი გასასვლელებით უკავშირდება ჩრდილოეთ ნაწილს, რომლის მეორე სართულში გამოკვეთილია ვიწრო დერეფანი. თაღების მალების თავზე მოთავსებულია ვიწრო ნიშების გრძელი რიგი, რომლებშიც გაჭრილია სარკმლები.

დასავლეთი კედელი დანაწევრებულია ორიარუსიანი ვიწრო ნიშებით. სამხრეთ კედელზე გადადის მაღალი თაღები, რომლებიც პილასტრებს ეყრდნობა. თაღის მალებში სარკმლებია მოთავსებული.

ეკლესიის კამარა ცილინდრულია. კამარის საბრჯენი თაღები კრონშტეინებს ეყრდნობა.

ნახევარწრიული აბსიდის ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი. სამხრეთით ღრმა ნიშაა. აბსიდს სამსაფეხურიანი ხარისხი შემოუყვება. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ შემორჩენილია კანკელის ფრაგმენტები. კედლებზე ამჩნევია მოხატულობის კვალი.



**ბიეთის მონასტრის გეგმა.**

ეკლესიას თაღოვანი შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში აქვს. შესასვლელის თაღები მოჩუქურთმებულია მცენარეული დეკორით.

სამხრეთის ვიწრო მინაშენის კედლები შემორჩენილია 2-3 მეტრის სიმაღლეზე. აღმოსავლეთ კედელში სარკმლის კვალია.

სამხრეთით მეორე მინაშენი, რომელიც დიდ დარბაზს წარმოადგენს, გადახურული იყო კამარით. კამარის საბრჯენი თაღები კრონშტეინებს ეყრდნობოდა. მინაშენს აღმოსავლეთით სამი მაღალი თაღოვანი გასასვლელი აქვს. გასასვლელის თაღები შეისრულია.

ეკლესიის ფასადები წყვილი სარტყელის საშუალებით ორ მონაკვეთად იყოფა. აღმოსავლეთის სარკმელს ორმაგი ლილვი აჩარჩოებს. სამხრეთი ფასადის ზედა სარტყელი გარს უვლის სარკმელს, რითაც მას გამოჰყოფს საფასადო სიბრტყიდან.

მონასტრის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

ძეგლი ძლიერ არის დაზიანებული.

## სოფ. ბიჟარი

# ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, მდ.მეჯუდას მარცხენა ნაპირას. ძეგლი ნაგებია ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე.

წყობა სწორხაზოვანია. შესასვლელები და სარკმლების თაღები გადაყვანილია აგურის წყობით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით, რომელშიც გაჭრილია სამი მაღალი თაღოვანი სარკმელი. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია პილასტრებით. გრძივი კედლები ოთხი წყვილი პილასტრის საშუალებით თანაბარ ნაწილებად იყოფა. ინტერიერი შელესილი ყოფილა. ნალესობა მრავალ ადგილას ჩამოცვენილია. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში სიმეტრიუ-



ეკლესიის გეგმა.

ლად განლაგებული თაღოვანი სარკმლებია. ასეთივე სარკმელია დასავლეთ კედელშიც.

დასავლეთის და სამხრეთის თაღოვანი შესასვლელების ორივე კარი ნაოთხალია.

სამხრეთის შესასვლელის თავზე, აგურის წყობაში ამოკვეთილი ჯვარია. დანარჩენი ფასადები სადაა. დასავლეთის კეხზე აღმართულია აგურით ნაგები სამრეკლო, რომელიც დიდ ფანჩატურს წარმოადგენს. აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ფასადებზე მიწის დონე ძლიერ აწეულია. ეკლესია დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლები დაბზარულია. ინტერიერში ამოსულია დიდი ზომის მცენარეები.



**ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.**

## სოფ. ბიყარი

# კოშკი

### განვითარებული შუა საუკუნეები.

კოშკი დგას სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, მდ.მეჯუდას მარცხენა ნაპირას.

ვახუშტის მიხედვით: "მერეს ჴევს ქუეით ერთვის მეჯუდის ბიყრის ჴევი აღმოსავლეთიდამ, გამოსდის უსანეთს, და ამ ბიყარს ზეით არს ისრულის ჴევი, ვითარცა სხუანი და ამ მჴრის მთის ადგილნი, იწრო, ტყიანი და მწირი".

კოშკი ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე. იგი ორფენოვანია. პირველ ნაგებობას ზურგიანი კოშკი წარმოადგენდა. შემდეგ XVIII საუკუნეში ზურგიანი კოშკის გამოყენებით აგებული იქნა ხუთსართულიანი კოშკი; სართულების გეგმა უსწოროა, ზურგის მხარე უფორმო მოხაზულობისაა. კარ-სარკმლები მხოლოდ სწორ კედელშია განლაგებული. პირველ და მეოთხე სართულზე კარებია, დანარჩენში კი სარკმლები. მეორე სართულის სარკმლები თაღოვანია, დანარჩენი სარკმლები სწორკუთხაა.



საერთო ხედი

მცირე ზომის ციხეს ტრაპეციული ფორმა აქვს. შემორჩენილია აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლის ნაწილები. აღმოსავლეთ კედლის მიხედვით გალავნის სიმაღლე 5-6 მეტრს აღწევს. ცალმაგი სათოფურები მაღლაა განლაგებული. მათ ქვეშ გასდევდა ხის საბრძოლო ბილიკი.

სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ცილინდრული, გარედან წრიული, შიგნით კი ოთხკუთხა კოშკის

ნანგრევია, რომელსაც შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს. მეორე სართულის კედლებში სათოფურებია, აღმოსავლეთით ბუხარი.

კოშკების სართულშუა გადახურვები მოშლილია. ცილინდრული კოშკი ძლიერ არის დაზიანებული. ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით.

## სოფ. გაბარაანთკარი

# კოშკის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები.

გზის პირას, ხეობის თავზე შემორჩენილია კოშკის ნანგრევი. ძეგლი ნაგები იყო ადგილობრივი წარმოშობის ფლეთილი ქვით. წყობა მშრალია.

კოშკი გეგმით კვადრატს უახლოვდება. შემორჩენილია: ჩრდილოეთი კედელი, აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლების მცირე ნაწილი. ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე ფასადზე ოდნავ მომრგვალებულია.

კოშკს დასავლეთიდან მინაშენი ჰქონდა. შემორჩენილია მისი ჩრდილოეთი და დასავლეთი კედელი. მინაშენის ჩრდილოეთ კედელში ერთი სათოფურია. დასავლეთით იკითხება შესასვლელის კვალი.

კოშკის დანარჩენი კედლები განადგურებულია. მიწის დონე ძლიერ აწეულია. ტერიტორიაზე მიმოფანტულია ჩამონაშალი ქვები.




კოშკის ნანგრევის გეგმა.

## სოფ. ბაბილთა

# ნაგებობის ნაშთი

### გვიანი შუა საუკუნეები.

გნულის ხეობის თავზე, სოფლის განაპირას, ფერდობზე შემორჩენილია ნაგებობის ნაშთი, რომელსაც "წითელ ხატობას" ეძახიან. ნაგებობის გეგმა არ იკითხება, ვინაიდან ამოვსებულია ქვითა და მიწით. კუთხეები გარედან მომრგვალებული აქვს. ნაგები ყოფილა ფლეთილი ქვით, ზოგ ადგილას შეინიშნება დუღაბი.

## სოფ. ბალუანთა

# ღვთისმშობლის ნაეკლესიარი

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 800 მ. მდგარი ეკლესია ამჟამად მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი საძირკვლის მიხედვით ჩანს, რომ იგი მცირე ზომის დარბაზული ეკლესია ყოფილა. გათხრა-გაწმენდის გარეშე გეგმის და თარიღის დადგენა არ ხერხდება.

## სოფ. ბერი

# წმ.გიორგის ეკლესია

### განვითარებული შუა საუკუნეები, მოგვიანებით შეკეთებული.

მაღალ მთაზე მდგარი დარბაზული ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის თლილი ქვით. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია ბრტყელი, ნაცრისფერი ქვით. წყობა შერეულია.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით კოლოფა აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. აბსიდს ჩრდილოეთით ერთი ფართო თაღოვანი, ხოლო სამ-

ხრეთით - ორი სწორკუთხა ნიშა აქვს; აქედან ერთ-ერთი უფრო ღრმაა. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვაა. კონქი ნახევარსფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ ერთსაფეხურიანი სოლეაა.

ეკლესიის კამარა შეისრულია. ჩრდილოეთ კედელში მაღალი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სამხრეთ კედლის წყობაში რამდენიმე მცირე ნიშაა მოთავსებული. ინტერიერი შებათქაშებულ-შელესილია. იატაკი მოგებულია სწორკუთხა ქვის ფილებით.

დასავლეთი შესასვლელი შიგნით თაღოვანია, გარედან - არქიტრავული. კარი ნაოთხალია. სამხრეთის ფართო, თაღოვანი შესასვლელი მინაშენს უკავშირდება. მინაშენი გეგმით წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს, რომელსაც აღმოსავლეთით - შიგნით სწორკუთხედი, გარედან თაღოვანი სარკმელი აქვს. მინაშენში არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა.



**ხედი აღმოსავლეთიდან.**

დასავლეთ ფასადის წყობას ებჯინება ორსართულიანი სამრეკლო. სამრეკლოს თაღები ეყრდნობა მრგვალ კოლონებს, რომლებიც დაგვირგვინებულია მარტივპროფილიანი კაპიტელებით.

აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ზემოთ, ოდნავ მარცხნივ, ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. მინაშენის აღმოსავლეთ სარკმელს კარგად თლილი ქვები აჩარჩოებს.

ეკლესიის კარნიზი თარო-ლავგარდანია. საბურავად გამოყენებულია თუნუქი.

ეკლესიასთან მისასვლელი აღმოსავლეთიდანაა. ფართო კლდეკარი მასიურ ლოდებს ეყრდნობა. გარშემო შეინიშნება გალავნის ფრაგმენტები.

## სოფ. გიგოლაანი

# ეკლესიის ნანგრევი

სოფლის მიდამოებში, ტყეში შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევი. ძეგლი ნაგებია რიყის ქვით; ალაგ-ალაგ ფლეთილი ქვაც არის გამოყენებული.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის სამხრეთი მხარე ოდნავ დეფორმირებულია. შემორჩენილია აბსიდის ჩრდილოეთი მხარე. შეიმჩნევა ნიშის კვალი.

კედლები შემორჩენილია დაახლ. 1-2 მეტრის სიმაღლეზე, შესასვლელი არ იკითხება. მიწის დონე აწეულია. ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვის გროვა.



ეკლესიის ნანგრევის გეგმა.

## სოფ. გოზო

# გოზოს ციხე (ნანგრევი)

### შუა ფეოდალური ხანა.

ციხის, კოშკის და აკლდამის ნანგრევები მთის ქედზეა განლაგებული. ციხის მხოლოდ ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლების მცირე ნაწილებია შემორჩენილი, აქედან ჩრდილოეთი კედლის სიმაღლე რამდენადმე აღემატება დასავლეთისას. სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვა. წყობა მშრალია. გეგმის დადგენა გაწმენდისა და გათხრების გარეშე შეუძლებელია.

ციხის დასავლეთით შემორჩენილია რამდენიმე აკლდამა. მათ შორის მხოლოდ ერთია კარგ მდგომარეობაში. გეგმით სწორკუთხა აკლდამას შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. აკლდამის დიდი ნაწილი მიწითაა დაფარული.

აკლდამის ჩრდილოეთით შემორჩენილია კოშკის ფრაგმენტები.

ქედზე, ნაგებობები განლაგებულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე.

## სოფ. გორეთი

# ღვთისმშობლის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

დარბაზული ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, ფლეთილი ქვით და დიდი ზომის ფილაქნით. გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს. აღმოსავლეთის ნახევარწრიული აბსიდის ცენტრალური ნაწილი მთლიანად ჩამონგრეულია. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. აბსიდის ჩრდილოეთ შეერილზე სატრიუმფო თაღის ქუსლია შემორჩენილი.




ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.

შემორჩენილია ასევე ეკლესიის კედლების ფრაგმენტები, რომელთა სიმაღლე დაახლ. 4-5 მეტრია.

ინტერიერი სავსეა ჩამონაშალი ქვით. კედლებზე მოდებულია სურო.

## სოფელი გუდისი

# ნამონასტრალი

შემორჩენილია ნაეკლესიარი და რამდენიმე ნაგებობის ნაშთი ქვის გროვის სახით. აქა-იქ მიმობნეულია ნათალი ქვები. მათ შორის დევს მოწითალო ფერის სვეტის თავი, რომელსაც გეომეტრიული წნული შემოუყვება. იქვე ნაგებობის ქვებისგან მოუწყვიათ სალოცავი.

ძეგლის თარიღი ვერ დგინდება.

## სოფელი გუდისი

# კოშკის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის მიდამოებში შემორჩენილია კოშკის ნანგრევები. ძეგლი ნაგებია ყორე ქვით დუღაბზე. წყობა ქაოსურია; გეგმით კვადრატს უახლოვდება. კედლები შემორჩენილია 2 მეტრის სიმაღლეზე. კოშკი ამოვსებულია მიწითა და ქვით, რაც ართულებს ძეგლის აზომვას.

## სოფ. გუდისი

# ძველი ნაგებობის ნაშთი

შემორჩენილია ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე, რომლის სიმაღლე 3 მეტრს აღწევს. დანარჩენი ნაწილები მიწით არის დაფარული. სამშენებლო მასალად დიდი ზომის რიყის ქვაა გამოყენებული. ტერიტორიაზე ამოსულია მცენარეები.

ძეგლის დათარიღება არ ხერხდება.

## სოფ. გუჯაბაური

# ღვთისმშობლის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის ცენტრში დგას ალიზით ნაშენი ეკლესია, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. შემორჩა აბსიდის ქვედა ნახევარი და ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების აღმოსავლეთის მონაკვეთების ქვედა ნახევრები. კედლები გაგრძელებულია და დასავლეთის კედელი დაშენებულია ბლოკით. ნაეკლესიარი გადახურულია ხის ბოძების ფანჩატურით და შიფერით. ეკლესიის შიგნით მიწის დონე იმდენად ამაღლებულია, რომ აბსიდის იატაკი და გვერდითი ნიშები ძნელად იკითხება.



ეკლესიის გეგმა.

## სოფ. გნუდი

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის მიდამოებში მდებარე კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით.

კოშკის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია, ჩამონაშალმა ქვებმა იგი მთლიანად ამოქოლა, რის გამოც გეგმა არ იკითხება. კედლები შემორჩენილია 10-15 მეტრის სიმაღლეზე. შესასვლელი სამხრეთ კედელშია მოთავსებული.



კოშკის საერთო ხედი.

კოშკს სამხრეთიდან მინაშენი ჰქონდა, რომლისგანაც შემორჩენილია დასავლეთი და სამხრეთი კედლის ნაწილები.

ტერიტორიაზე ყრია ნამონაშალი ქვა.

## სოფ. გნუდი

# ზურგიანი კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

კოშკი მდებარეობს სოფლის მიდამოებში.

8-9 მეტრის სიმაღლეზე შემორჩენილი კოშკი ნაგებია ფლეთილი ქვით; არქიტრავული შესასვლელი გაჭრილია მეორე სართულის სამხრეთ კედელში. კარი ნათოხალია.

ძეგლის ზუსტი აღწერა ჭირს იმის გამო, რომ იგი შიგნიდან ამოქოლილია. გარშემო შემორჩენილია ნასახლარის კვალი.



ზურგიანი კოშკი. ხედი სამხრეთიდან.

# ზურგიანი კოშკი

## ადრე შუა საუკუნეები.

კოშკი, რომლისგანაც ორი სართულია შემორჩენილი ნაგებია ფლეთილი ქვით. პირველი სართული ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით. მეორე სართულის სამხრეთ კედელში გაჭრილია არქიტრავული შესასვლელი. კარი ნაოთხალია. დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთის კედლებში დატანებულია თითო სათოფური.




ზურგიანი კოშკის გეგმა.

კოშკის სამხრეთით 60 სმ-ის დაშორებით შემორჩენილია აკლდამის ნანგრევი, რომელიც ასევე ფლეთილი ქვით ყოფილა ნაგები.



საერთო ხედი.

## ႱႭႴ. ႣႥႠႪႨႠႬႧႠ

# ႦႳႰႢႨႠႬႨ ႩႭႸႩႨ

### ადრე შუა საუკუნეები.

ძეგლი მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ-ზე, მთაზე, ნასოფლარ ასატურთან.

კოშკი ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით.

ხუთსართულიანი კოშკისგან შემორჩენილია მხოლოდ ოთხი სართული, დაახლ. 10-12 მ სიმაღლის.

## ႱႭႴ. ႣႥႠႪႨႠႬႧႠ

# ႣႥႠႪႨႠႠႬႧ ႩႠႰႨႱ ႤႩႪႤႱႨႠ

### ადრე შუა საუკუნეები.

ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ფიქალით დუღაბზე. ფასადების კუთხეები ამოყვანილია თლილი ქვის კვადრებით. დარბაზული ეკლესია გეგმით უაბსიდო სწორკუთხედს წარმოადგენს. საკურ-



**ხედი აღმოსავლეთიდან.**

თხევლის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში სწორკუთხა ნიშებია.

კამარა ნახევარცილინდრულია. ინტერიერი ნათდება აღმოსავლეთის და დასავლეთის სწორკუთხა სარკმლებით. სამხრეთ კედელზე ერთი კრონშტეინია. სამხრეთიდან არქიტრავული შესასვლელია, მასზე ამოკვეთილი მხედრული წარწერა დაზიანების გამო აღარ იკითხება.

ეკლესიის ფასადები სრულიად სადაა. დასავლეთის კეხზე ღია თაღოვანი აგურის სამრეკლოა. საბურავად გამოყენებულია თუნუქი.




ეკლესიის გეგმა.

## სოფ. დვალეთი

# ზურგიანი კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

ძეგლი მდებარეობს მდ.მეჯუდას მარცხენა ნაპირას, მთაზე. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით, სქელ დუღაბზე.



ზურგიანი კოშკის გეგმა.



ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

ზურგიანი კოშკისაგან შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთი კედელი, აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტები და სამხრეთ-დასავლეთი კუთხე.

ნაგებობა ხუთსართულიანი ყოფილა; აღმოსავლეთ კედელზე ჩანს სართულშუა გადახურვის კოჭების ბუდეები. მეხუთე სართულიდან მხოლოდ ქვედა ქვებია შემორჩენილი.

კოშკის ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით.

## სოფ. დვალეთი

## ეკლესია

### VIII-IX სს.

მდ.მეჯუდას მარცხენა ნაპირას, მთაზე მდგარი დარბაზული ეკლესია ნაგებია შირიმის ქვითა და სხვადასხვა ზომის ფიქალით. გეგმით სწორკუთხა ეკლესია აღმოსავლეთით დასრულებულია ასევე სწორკუთხა საკურთხევლით, ცენტრში თაღოვანი სარკმლით. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით სწორკუთხა ნიშებია, რომლებზეც გადაყვანილია შირიმის ქვის თაღები. თაღების თავზე კი ტრომპებია.



ხედი სამხრეთიდან.



საკურთხევლის ფრაგმენტი

გრძივი კედლები სამი წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრების საშუალებით თანაბარ ნაწილებად იყოფა.




ეკლესიის გეგმა.

ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღები პილასტრების კაპიტელებს, გვერდით საფეხურებს კი კედლის თაღები ეყრდნობა. სამხრეთი კედლის თაღის მალებში თაღოვანი სარკმლებია გაჭრილი. ერთ-ერთი სარკმლის ძირში სწორკუთხა ნიშაა. მაღალი, თაღოვანი სარკმელია დასავლეთ კედელშიც.

ინტერიერი მოსახატად ყოფილა შელესილი. კედლებზე შემორჩენილია ფრესკების ფრაგმენტები.

ეკლესიას დასავლეთიდან და სამხრეთიდან არქიტრავული შესასვლელები აქვს. ორივე კარი ნათხარია. სამხრეთი შესასვლელის წირთხლი პირდაპირ პილასტრებს ებჯინება.

ინტერიერი სავსეა ჩამონაშალი ქვით.

ეკლესიის ფასადები სადაა. აღმოსავლეთის სარკმელზე დევს ქვის ფილა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლები დაბზარულია. სარკმლები მორღვეულია.

## სოფ. დისევი

# ძელიცხოვლის ეკლესია

### X საუკუნე.

დარბაზულ ეკლესიას სამმხრივი გარშემოსავლელი ჰქონდა; ამათგან ჩრდილოეთისა უკეთ შემორჩა.

ძირითადი სივრცე აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით სრულდება. ცენტრში სწორკუთხა სარკმელია. აბსიდის კუთხეებში მაღალი ნახევარწრიული გეგმის თაღოვანი ნიშებია. მათში გაჭრილი სარკმლები აღმოსავლეთ ფასადზე გამოდის. კონქი სფერული ფორმისაა.

დარბაზი დახურულია ცილინდრული კამარით. იგი ორ თაღს ეყრდნობა, რომელსაც თავის მხრივ იჭერს ორი წყვილი სამსაფეხურიანი პილასტრი. გრძივ კედლებზე წყვილი თაღედი გადადის. სამხრეთი კედლის ცენტრში გარედან თაღოვანი და შიგნიდან არქიტრავული კარებია. სამხრეთ კედელში ორი თაღოვანი სარკმელია. დასავლეთ კედელში დატანებული შესასვლელი ამოქოლილია. ინტერიერის კედლები შელესილია და ზეთის საღებავითაა შეღებილი.

ჩრდილოეთ მინაშენს აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდა აქვს. აბსიდის ცენტრალური ნაწილი გამონგრეულია. მინაშენი გადახურულია ცილინდრული კამარით, რომელიც ეყრდნობა ორ თაღს. თაღები სამხრეთით პილასტრებს ებჯინება, ჩრდილოეთით - კრონშტეინებს.



ძელიცხოველის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ეკლესია ნაშენია შირიმით, ტუფით და რიყის ქვით. აღმოსავლეთი ფასადის სარკმელი დასრულებულია თავსართით - განედლებული ჯვრის რელიეფით. ჩრდილოეთ ნაწილში ორ კვადრია - ერთზე წმინდანის გამოსახულებაა მკერდამდე, მეორეზე - გეომეტრიული ორნამენტი, სამხრეთ ნაწილში კი - შველის და ლომის გამოსახულება.

ეკლესიაში ჩადის წყალი.

## სოფ. დისევი

# ზურგიანი კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3-4 კმ. მთაში მდებარე ზურგიანი კოშკი ნაგებია კარგად დამუშავებული ქვით, კირის ხსნარზე და შემორჩენილია ოთხი სართულის დონეზე. შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილშია გაჭრილი; კარი ნაოთხალია. მას დატანილი აქვს საურდული. ჩრდილოეთის კედელში ორი სათოფურია.

დასავლეთ კედლის პირველ, მესამე და მეოთხე სართულზე თითო სწორკუთხა სარკმელია.

შემორჩენილია სართულშუა გადახურვის კოჭის ბუდეები.



**ზურგიანი კოშკის გეგმა.**



**დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი.**

# წმ.გიორგის ეკლესია

## განვითარებული შუა საუკუნეები.

ეკლესია სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 4 კმ-ზე მდებარეობს. დარბაზული ეკლესია ნაგებია ადგილობრივი ჯიშის, რუხი ფერის ქვის დიდი და საშუალო ზომის კვადრებით.

აღმოსავლეთით ასიმეტრიული აბსიდა შეიძლება კედლის დეფორმაციის შედეგი იყოს. აბსიდის კუთხეებში ორი სწორკუთხა ნიშა აქვს, ცენტრში კი თაღოვანი სარკმელი. კედელზე მიდგმულია ტრაპეზის ქვა. კონქი სფერულია. კანკელისაგან გადარჩენილია ჩრდილოეთი ნახევრის მცირე ფრაგმენტი.

კამარა და ჩრდილოეთ კედლის ზედა, აღმოსავლეთი ნაწილი ჩამონგრეულია, ისევე როგორც დასავლეთ კედლის ჩრდილოეთი ნაწილი. ამ კედლის სარკმლისაგან მხოლოდ სამხრეთი წიბოა გადარჩენილი.

ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილშია. სამხრეთი კედლის მთელი დასავლეთი ნახევარი ისეა დაზიანებული, რომ კარების კონტური არ იკითხება.

ინტერიერის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით, ფასადები კი დიდი ზომის კვადრებით. სამხრეთ კედელთან დევს მასიური არქიტრავი, რომელზედაც ამოკვეთილია სამმაგი ლილვისაგან შედგენილი რკალი. ფასადები მრავალ ადგილასაა დაზიანებული; ჩამოყრილია საპერანგე ქვები; კედლები დაბზარულია; ამოსულია მცენარეულობა.




ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ელტურა

# ქვაჯვარა

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის სასაფლაოზე, დიდი ცაცხვის ძირში აღმართულია შირიმის ქვის ჯვარი. ჯვრის მკლავებს ვიწრო ღარი მიუყვება. ქვას ხავსი აქვს მოდებული.



ქვაჯვარა.

## სოფ. ერედვი

# ცხეთიჯვარის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია დგას უბან "ბერულას" დასავლეთით 2-3 კმ. მცირე ზომის დარბაზული ეკლესია ნაგებია მოწითალო ფერის ქვით. ინტერიერში აღმოსავლეთით ბრტყელი აბსიდაა, ცენტრში მცირე ზომის ვიწრო სარკმლით. სამხრეთ-აღმოსავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეებში ვიწრო ნიშებია. აბსიდის კედელს მიშენებული აქვს 1 მ სიმაღლისა და 45 სმ სიგანის კარნიზი, რომელიც შუაში ამაღლებულია და ტრაპეზის მოვალეობას ასრულებს. სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილში არქიტრავული კარებია. ჩრდილოეთ კედელზე, ცენტრში, ვიწრო პილასტრია და მისგან აღმოსავლეთით და დასავლეთით ორი თაღედი გადადის, კამარა ცილინდრულია. დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებს ერთსაფეხურიანი კარნიზი აქვს. კედლები ნაშენია მცირე ზომის ფლეთილი ქვით.

ფასადების კუთხეები მოწითალო ფერის ქვის თლილი კვადრებითაა ამოყვანილი, ხოლო კედლის სიბრტყეები - ფლეთილი ქვით.

ეკლესიას შემოუყვება მარტივი, სწორკუთხა პროფილის კარნიზი, რომელიც ასევე წითელი ტუფისაა. ეკლესია შიფერითაა გადახურული.

ეკლესიის გარშემო გალავნის მცირე ფრაგმენტები შემორჩა.



ეკლესიის გეგმა.



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

## სოფ. ერედვი

# წმ. გიორგის ეკლესია

### 906 წელი.

ვახუშტის მიხედვით: "მთის ძირს, ქრცხილვანის აღმოსავლეთ-ით, პატარა ლიახვსაკენ, არს ერედვს ციხე და ეკლესია მას შინა, წმინდის გიორგისა, სასწაულიანი".

ერედვის საალმშენებლო წარწერა მოთავსებულია სამხრეთ შე-სასვლელის მრგვალ სვეტზე, იგი გარშემო უვლის სვეტის მთელ ზედა ნაწილს, სვეტის სარტყლიდან ვიდრე სვეტის თავამდე:

**I. /სახ/ელითა ღმრთისათა, /მამისა და ძისა და/ სო/ლისა წ/მი-დის/ა თ/ა, მეოხებითა წმიდისა ღმრთი /სმ**

**II. შ/ობელისა თა,წმიდისა გიორგი/სითა, ხელმწიფობასა ღმრთივ დამყარ/ე**

**III. ბ/ოლისა წმიდ/ი/სა კონსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძა-ნა და წავიდა ჰერე**

**IV. თს /შ/იგან, ჰერთა მეფ/ე/ გა/ქ/ცია და მონით მშოიდობით იქ-ცა. ცისკრადა**

**V. ლავერდს ილოცა; /მ/წიხ/რ/ი ბრეძას გადაჰხთა.**

**მეორედ კულა ავიდა, ვეჯინ.**

**VI. ისა ციხე დალეწა. ქართლს შინა ოფლობასა ტბელისა ივა-ნესა, მთავა**

**VII. რე/ბი/სკო/სო/ზასა სანატრო/ე/ლისა ყ სა, ჯვრითა მისითა, განზრახვითა ნიქოზ**

**VIII. ე/ლი/სა სანატრელისა სტეფანე ეპისკოსისა თა ძალითა შე-წევნითა მოყოას**

· **IX. თა თა მე თეოდორე თაფლა სძემან დავდე საძირკველი, ლე-ნი იყნეს ხფი ქრონიკ.**

ტაძარი ნაგებია უმთავრესად ღვინისფერი თლილი ქვით, ალაგ-ალაგ გამოყენებულია ფლეთილი და ყორე ქვაც. ტაძარი წარმოად-გენს მოზრდილ დარბაზულ ეკლესიას გარშემოსავლელით. გარშე-მოსავლელი ეკლესიას ოთხივე მხრიდან უვლის.

დარბაზული ეკლესია გეგმით წაგრძელებულ სწორკუთხედს წა-რმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცე-ნტრში თაღოვანი სარკმელია. აბსიდის მარცხენა მონაკვეთში მცირე ზომის ნიშაა, რომლის თაღი შეისრულია. სატრიუმფო თაღი ორსა-ფეხურიანია და ოდნავ ნალისებრი მოხაზულობა აქვს. თაღის სიმა-

ღლე კამარას არ აღწევს, იგი გაცილებით უფრო დაბალია, რის გამოც კონქის თავზე შუბლია ამართული. კონქი ნახევარსფერულია.

აბსიდა ცენტრალურ სივრცესთან შედარებით უფრო დაბალია. გრძივი კედლები მკვეთრად წინ გამოწეული სამსაფეხურიანი პილასტრების საშუალებით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. დასავლეთ კედელთან ამოყვანილია იმავე პროფილის კუთხის პილასტრები. აღმოსავლეთით აბსიდთან ორ სიბრტყეს შორის ლილვია ამართული. ლილვები სრულდება ძაბრისებრი კაპიტელებით. შუა პილასტრებიდან დასავლეთი კუთხის პილასტრებსა და აბსიდის შვერილებზე გადაყვანილია ნახევარწრიული ფორმის თაღები, რომელთა სიღრმე შეესაბამება პილასტრების ორი უკანა საფეხურის გამოწევას. თაღების ქუსლები ეყრდნობა მარტივი სახის იმპოსტებს.

კამარა ცილინდრულია. კამარის საბრჯენი თაღები პილასტრის წინა საფეხურს ეყრდნობა. კედლები შელესილია ბათქაშის სქელი ფენით. კონსტრუქციული ელემენტები: პილასტრები, თაღები, კარსარკმლები და სხვა, ამოყვანილია თლილი ქვით.

ეკლესიას შესასვლელი ორი მხრიდან აქვს. მაღალი და განიერი მთავარი კარი გაჭრილია სამხრეთ კედელში. იგი კედლის დასავლეთ მონაკვეთშია, უშუალოდ პილასტრის გვერდით. კარი სვეტთან ერთად გადახურულია არქიტრავით, რომლის თავზე იმპოსტებზე დაყრდნობილი თაღია გადაყვანილი. დასავლეთის უფრო მცირე ზომის კარი, დასავლეთი კედლის შუაშია მოთავსებული. შესასვლელი არქიტრავულია.

სამხრეთით თაღების მალებს შუა ორი სარკმელია, ერთი კი დასავლეთ კედლის ზედა ნაწილში. აღმოსავლეთი სარკმელი, რომელიც გაცილებით უფრო დიდია, გარშემოსავლელის აღმოსავლეთ მონაკვეთში გადის და აბსიდას მხოლოდ მეორად შუქს აწვდის. ყველა სარკმელი თაღოვანია.

გარშემოსავლელი წარმოადგენს დაბალ, გრძელ კამაროვან სივრცეს, რომლის სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი მონაკვეთები გაერთიანებულია, ხოლო აღმოსავლეთი გამოყოფილია ცალკე სადგომად. ეს უკანასკნელი კარით სამხრეთ გარშემოსავლელს უერთდება, ჩრდილოეთ მონაკვეთიდან კი კედლით არის გამოყოფილი. ჩრდილოეთ გარშემოსავლელის აღმოსავლეთ ნაწილში მოწყობილია განცალკევებული სათავსი - სამკვეთლო, რომელიც თვით ჩრდილოეთ გარშემოსავლელიდან ყრუ კედლით არის გამოყოფილი და კარით მხოლოდ შუა ეკლესიას უერთდება. სამხრეთი გარშემოსავლელის კედლები მოპირკეთებულია თლილი ქვის სწორი რიგებით. აქ კარის საბრჯენი თაღები კონსოლებს ეყრდნობა.

გარშემოსავლელის დასავლეთი მონაკვეთი იმავე სიგანისაა, რაც სამხრეთისა. მის ჩრდილოეთ კედელში მცირე კარია მოთავსებული. გარეთა კედლის შუაში დატოვებულია პატარა, არასწორი მოხაზულობის სარკმელი. კარის ტიმპანის ქვა შემკულია ფოთლოვანი ჯვრის დიდი რელიეფით.

აღმოსავლეთი სათავსი წარმოადგენს გრძელ სივრცეს. კამარა ცილინდრულია. კამარის საბრჯენი თაღები იმპოსტებს ეყრდნობა.

ეკლესია გარედან წარმოადგენს დადაბლებულ, განიერ ნაგებობას, გადახურულს მცირე დაქანების მქონე სახურავით.

აღმოსავლეთი ფასადი წარმოადგენს გლუვ, დეკორატიულ მორთულობას მოკლებულ კედლებს. მისი ქვედა მასივი შუაში ამაღლებულია და გადახურულია ორქანობიანი სახურავით. უკანა კედელი დაგვირგვინებულია ფრონტონით. შუა, დიდ ქვედა სარკმელს ოთხკუთხა ფორმა აქვს. გვერდითი თაღოვანი სარკმლები ამ შუა სარკმლის მიმართ ასიმეტრიულადაა განლაგებული. სამხრეთის ფასადი ორ გრძელ მასივს წარმოადგენს. ქვედა ნაწილში მოწყობილია შესასვლელი. სარკმელი, რომელიც შესასვლელის დასავლეთითაა, მორთულია საპირით, დანარჩენი ორი სარკმელი გლუვია.

დასავლეთი ფასადი საერთო მოხაზულობით აღმოსავლეთისას იმეორებს. სარკმლის საპირე, კედელზე ფართოდ გაშლილ დიდი ჯვრის მკლავებთან არის შერწყმული. ჯვრისა და საპირის რელიეფი ოდნავ გამოწეულია კედლის ზედაპირიდან.



**სამხრეთი ფასადი.**

ჩრდილოეთის ფასადი გლუვია. მისი ქვედა მასივი მოპირკეთებულია ყორე-ქვით. კარი, რომელიც ფასადის დასავლეთ ბოლოშია, უსწორო ფორმის თლილი ქვებით არის გამოყვანილი.

ეკლესიას მთელ პერიმეტრზე თარო-ლავგარდანი მიუყვება. ძეგლი სამხრეთით ორსაფეხურიან, ხოლო ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით ერთსაფეხურიან ცოკოლზე დგას. საბურავად გამოყენებულია კრამიტი.

ეკლესიის ლავგარდანი დაზიანებულია. საპირე ქვები ალაგ-ალაგ ჩამოცვენილია. კედლები დაბზარულია.

## სოფ. ერედვი

# ბერის საყდარი

### X ს-ის შუა წლები.

ნაგებობა წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას, ამაღლებული შუა ეკლესიით, რომელსაც ორფერდა სახურავი აქვს. შუა ეკლესიას სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით უვლის გარშემოსავლელი, რომელსაც ცალფერდა სახურავი აქვს.

ეკლესია ნაგებია მუქი წითელი და ღვინისფერი, კარგად თლილი ქვით. წყობა სწორხაზოვანია.

ეკლესია აღმოსავლეთით დასრულებულია ნალისებრი აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სატრიუმფო თაღი აბსიდის შეერილებს ეყრდნობა. გრძივი კედლები სამსაფეხურიანი პილასტრების საშუალებით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. ამ პილასტრების და მათი მოპასუხე აღმოსავლეთი და დასავლეთი კუთხის პილასტრების წინა საფეხურს კამარის საბრჯენი თაღი ეყრდნობა, დანარჩენ ორ საფეხურს კი ორსაფეხურიანი კედლის თაღები. პილასტრები დაგვირგვინებულია იმპოსტებით; იმპოსტების მაღალ ტანს ოდნავ ირიბად წაკვეთილი ფორმა აქვს. მის თავზე თაროა გამოკვეთილი. შუა ეკლესიაში სამი სარკმელია - ერთი აღმოსავლეთით და ორი სამხრეთით. სამხრეთის სარკმლები კედლის თაღების შუა ღერძზეა განლაგებული. შესასვლელი სამია - დასავლეთის და ჩრდილოეთის არქიტრავული, ხოლო სამხრეთის თაღოვანია; თაღში ტიმპანის ქვაა. ტიმპანზე შემოვლებულია რელიეფურად მოჩუქურთმებული სათაური.

გარშემოსავლელს მთლიანი, დაუნაწევრებელი გალერეის სახე აქვს. აღმოსავლეთით იგი აბსიდებით მთავრდება. გალერეას სამხრეთით ორთაღოვანი შესასვლელი ჰქონდა, მეორე მცირე კარი დასავლეთით. ასეთივე კარი იყო ჩრდილოეთითაც, ამჟამად იგი განადგურებულია. გარშემოსავლელის კედლები მოპირკეთებული ყოფილა უხეშად თლილი ქვით. ასევე თლილი ქვით იყო გადაყვანილი სამხრეთის კამარა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილებია შემორჩენილი.

აღმოსავლეთ ფასადის შუაში, სარკმლის ირგვლივ, განლაგებულია ცალკეული დეკორატიული ელემენტები: სარკმლის ოთხკუთხა, მთლიან ქვაში გამოკვეთილი, მოჩუქურთმებული საპირე, ბრტყელი სათაური, ჯვარი მის თავზე და კიდევ ორი მსგავსი ჯვარი საპირის აქეთ-იქით. სამივე ჯვრის ცენტრისკენ შევიწროებული მკლავები პარალელური ღარებითაა დასერილი. ქვედა მკლავები ფოთლებად იშლება.

სამხრეთი ფასადი წარმოადგენდა ორ ვიწრო, გრძელ მასივს. სამხრეთი შესასვლელიდან შემორჩენილია ნაწილობრივ მიწაში ჩაფლული სვეტი. ამ სვეტისთავისა და მასზე გადაყვანილი თაღების მოჩუქურთმებული ფრაგმენტები ცალკე დევს მიწაზე.

დასავლეთი და ჩრდილოეთი ფასადები საერთო ფორმათა აგებულებით აღმოსავლეთის და სამხრეთის ფასადებს იმეორებენ.

ეკლესია დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია, დანგრეულია გარშემოსავლელი და საკურთხეველი.



**ბერის საყდრის გეგმა.**

## · სოფ. ერედვი

# წმ. ელიას ეკლესია

### XIV საუკუნე.

ეკლესია დგას სოფლის დასავლეთ განაპირას. ნაგებია მოწითალო, კარგად თლილი კვადრებით. წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ფართე, ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო თაღოვანი ნიშაა.

აბსიდის მხრებზე სატრიუმფო თაღია გადაყვანილი.

გრძივი კედლები ორსაფეხურიანი პილასტრების საშუალებით ორ ნაწილად იყოფა. პილასტრებს ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი ეყრდნობა.

ასეთივე თაღი გადაყვანილია დასავლეთი კედლის კუთხის პილასტრებზე.

ეკლესია ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის სარკმლებით, აქედან დასავლეთისა წრიულია.

სამხრეთი შესასვლელი თაღოვანია. ტიმპანზე ამოკვეთილია გეომეტრიული ორნამენტი. თაღს ლილვები შემოუყვება. შესასვლელის ორივე მხარეს როზეტებია.

ეკლესიის ფასადები აქცენტირებულია კარნიზით. მისი ზედა თარო მორთულია ფესტონებით. შუა ნაწილი ლილვია, ხოლო ქვედა ნაწილში გამოკვეთილია თაღები, რომელთა შორის მოთავსებულია სამკუთხედების მოტივი. სარკმლებს ლილვები აჩარჩოებს.

ეკლესია დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე.



წმ.ელიას ეკლესიის გეგმა.

# ᲡᲝᲤ. ᲔᲠᲔᲓᲕᲘ

# ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲧᲓᲠᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ

## განვითარებული შუა საუკუნეები.

სოფლიდან აღმოსავლეთით 2 კმ. "საქსოფლტექნიკის" ბაზის ეზოში დგას ძლიერ დაზიანებული ეკლესია. შემორჩენილი ფრაგმენტებით ირკვევა, რომ იგი სამეკლესიანი ბაზილიკა ყოფილა. გადარჩენილია ცენტრალური ნავის აბსიდა, სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების მცირე, აღმოსავლეთის ნაწილები და გვერდითი ნავების აღმოსავლეთის ფრაგმენტები. ეკლესიას შემორჩენილი აქვს წითელი ტუფის პერანგის კვადრები. ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში მოჩანს შესასვლელი, რო-




ეკლესიის გეგმა.



ხედი აღმოსავლეთიდან.

შელიც მთლიანად მიწითაა დაფარული. გათხრა-გაწმენდის გარეშე სხვა კონსტრუქციულ დეტალებზე ძნელია რაიმეს თქმა.

## ႱႭႴ. ႥႠႪႨႠႬႧႠ

# ႱႠႶႫႰႧႭႱ ႤႩႪႤႱႨႠ

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლიდან აღმოსავლეთით 1 კმ-ზე მდებარე ეკლესია ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით, ფასადების კუთხეები კი ამოყვანილია თლილი ქვით, რომელიც შემდეგ შეულესიათ.

ეკლესია გეგმით უაბსიდო სწორკუთხედს წარმოადგენს, რომლის ცენტრში გაჭრილია შიგნით თაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმელი.

კამარა ცილინდრულია. ინტერიერი შელესილია ბათქაშით. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა.



**ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.**




ეკლესიის გეგმა.

ეკლესიის სამხრეთი მინაშენი სწორკუთხა საკურთხევლით სრულდება. აბსიდში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. ნავის ჩრდილოეთი კედლის თაღები პილასტრებს ეყრდნობა. ერთ-ერთი თაღი ეკლესიის შესასვლელის არქიტრავზე გადადის. ნავის სამხრეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. თაღოვანი შესასვლელი დასავლეთიდანაა.

ეკლესიას დასავლეთიდან კიდევ ერთი სწორკუთხა მინაშენი აქვს, რომელიც ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით. შესასვლელი სამხრეთიდანაა. კედლები შემორჩენილია 2-3 მ. სიმაღლეზე. ხაზგასმულია მინაშენის ნაკერები. ჩრდილოეთი ფასადი ძირითადად რიყის ქვითაა ნაგები. კარნიზი არ ჩანს.

ეკლესიის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

მინაშენი დაზიანებულია. ფასადები ბევრგან გამონგრეულია, საბურავი მოშლილია, იატაკი მიწურია.

## სოფ. ვალიანთა

# ღვთისმშობლის ეკლესია

### ადრე შუა საუკუნეები.

ეკლესია ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით, აგრეთვე ფიქლით. ფასადების კუთხეები ამოყვანილია თლილი ქვის კვადრებით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნალისებრი აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. აბსიდის იატაკი ერთი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკთან შედარებით. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. შემორჩენილია ნახევარსფერული კონქის ჩრდილოეთი ნაწილი.

გრძივი კედლები იყოფა ორსაფეხურიანი პილასტრების საშუალებით. პილასტრების გარდა ორ-ორი იმპოსტია, რომელთაც, შესა-



საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



აღმოსავლეთი ფასადის სარკმელი.

ძლოა, კედლის თაღები ეყრდნობოდა.

ეკლესიას სამი მხრიდან არქიტრავული შესასვლელი აქვს. დასავლეთის შესასვლელის ორივე მხარეს მაღალი ნიშებია, რომლებზეც კბილანა თაღებია გადასული.

კარის წირთხლები, სარკმლის ჩარჩოები, თაღები და პილასტრები შირიმისა და მოწითალო ტუფისაა.

ინტერიერი სავსეა ჩამონაშალი ქვით.

სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში კარის იმიტაციაა, აღმოსავლეთ სარკმელს სამმაგი ლილვი აჩარჩოებს. პირველი ლილვი გრეხილია. სარკმლის თავზე ჩადგმულ კვადრზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა, მის ზემოთ წარბია. აღმოსავლეთ ფასადს კედლის ნახევარწრიული ნიშები სამ ნაწილად ჰყოფს. დასავლეთ შესასვლელის ორივე მხარეს კრონშტეინებია.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია, კედლები შემორჩენილია 9-10 მ. სიმაღლეზე. ფასადები ძლიერ არის დაზიანებული.



ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ვანათი

# მაცხოვრის ეკლესია

### X ს.

ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, წყობის ზოგიერთ რიგში ქართული აგურია გამოყენებული. ფასადების კუთხეები ამოყვანილია თლილი ქვის კვადრებით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში თაღოვანი სარკმელია. ჩრდილოეთით და სამხრეთით მაღალი (220სმ) თაღოვანი, ღრმა ნახევარწრიული ნიშებია, რომლებსაც დატანებული აქვს თაღოვანი სარკმლები. ნახევარსფერულ კონქს თლილი ქვის ჰორიზონტალური სარტყელი აქვს. სატრიუმფო თაღი



მაცხოვრის ეკლესიის გეგმა.



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ შემორჩენილია ქვის კანკელის ფრაგმენტები. ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია. კამარის საბრჯენი, ცენტრალური თაღი სამსაფეხურიანი პილასტრების იმპოსტებს ეყრდნობა, დასავლეთის თაღი კი კედლის შვერილებს. პილასტრების საშუალებით გრძივი კედლები ორ ტოლ ნაწილად იყოფა. კედლის თაღები პილასტრების პირველ საფეხურს ებჯინება.



ინტერიერი, დეტალი.

ინტერიერი ნათდება აღმოსავლეთის სამი, დასავლეთის და სამხრეთის თითო თაღოვანი სარკმლით. კედლები შელესილი იყო მოხატად. ჩრდილოეთის არქიტრავული შესასვლელი ამოშენებულია. სამხრეთი შესასვლელი თაღოვანია, რომელსაც ტიმპანის ქვა აქვს.

ეკლესიის ყველა ფასადი სადაა. კარნიზი მარტივპროფილიანია. საბურავად გამოყენებულია კრამიტი.

ეკლესიის კამარა ჩამონგრეულია. დასავლეთი კედლის ცენტრში ღრმა ბზარია; იატაკი აყრილია; დაზიანებულია საბურავი.

## სოფ. ვანათი

# ვანათის ციხე

### განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები.

ციხე მდებარეობს მდ.პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირას.

ვახუშტის მიხედვით: „მერისჴს ზეით, ჩრდილოთ კერძ, არს ვანათი, პატარა ლიახვს კიდესა. მაღლა გორასა ზედა არს ციხე, სნეკვიდამ წამოსულს მცირე მთასა ზედა. ჩრდილოთ უდის პატარა ლიაჴხვ, სამჴრით აქუს კულბითი და ვანათი. ვანათის ციხე შემუსვრილი განაახლა შანშემ. შემუსრეს კუალად ყიზილბაშთა. ციხის უკან ჩრდილოთ, არს კლდე მაღალი, ქარაფოვანი, მჭურეტი ლია

ესა, და მას შინა ქუაბნი გამოკუეთილნი მრავალნი. კუალად განდგა ქსნის ერისთავი შანშე და თეიმურაზ არაგვის ერისთავიცა განაძეს ოსმალთა და დასჯეს რევაზ; და ეს რევაზცა არა ერჩდათ ოსმალთა, ამისათვის უბრძანა ისაყ ფაშამ მაჰმად-ყულიხანს და წარმოავლინა ახალციხის სპანი. მოვიდნენ ესენი, განაძეს რევაზ და დასჯეს პაპუა ზურაბის ძე. "მერმე მოვიდნენ, კსანი მოარბიეს და მოადგნენ ვანათის ციხესა და ქუაბიდამ მოსრვიდნენ მრავალთა ოსმალთა, არამედ ღამესა მას განივლტვენ ქუაბიდამ; იხილა შანშემ, მისცა ქრთამი ოსმალთა, ზავ-ჰყო მათ თანა".

ციხე დგას მაღალ მთაზე. კლდოვანი მთა სამი მხრიდან მიუვალია, მხოლოდ სამხრეთიდანაა მისადგომი. ციხე გეგმით მრავალწახნაგოვანია. აღმოსავლეთით 2-3 მეტრის სისქის კედელია. ამ კედელთან კვადრატული კოშკია. ოთხსართულიანი კოშკი ნაგებია რიყის ქვით დუღაბზე. კოშკის მხოლოდ აღმოსავლეთი კედელია შემორჩენილი დაახლ. 8-9 მეტრის სიმაღლეზე. კოშკის დანარჩენი კედლები 2-3 მეტრს აღწევს. აღმოსავლეთ კედელში ერთი ვიწრო სარკმელია.

სამხრეთ კედლის ცენტრალურ ნაწილში ზურგიანი კოშკია. კოშკიდან შემორჩენილია ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლის ნაწი-



**საერთო ხედი.**

ლები. დანარჩენი კედლების ფრაგმენტები მხოლოდ აბრისს ხაზავენ. იკითხება სამი სართული. კოშკის პირველი სართული პირდაპირ ეზოს დონიდან იწყება. დასავლეთ კედელში სწორკუთხა შესასვლელია. მისგან ჩრდილოეთით ვიწრო სარკმელია, ხოლო სამხრეთით - ბუხარი, რომელიც გადახურულია შეისრული თაღით. კოშკის მეორე სართულზე დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში სწორკუთხა სარკმლებია. შემორჩენილია სართულშუა გადახურვის კოჭების ბუდეები.

ციხის ჩრდილო-დასავლეთი კედელი მთლიანად ჩამონგრეულია, ჩრდილოეთი კედლის დარჩენილი ნაწილის სიმაღლე 1,5-3 მეტრს აღწევს. კედლის ცენტრალურ ნაწილში ნახევარწრიული გამონაშვერია, რომელშიც გაჭრილია შვიდი სათოფური. ასეთივე სათოფურებია გალავანშიც.

ყველაზე რთული ციხის სამხრეთი კედელია; კოშკის აღმოსავლეთით ოდნავ მომრგვალებული კედელია, რომელშიც წყვილი სათოფურია. კოშკის დასავლეთით შემორჩენილია გრძელი ნაგებობის კედლების ქვედა წყობა. ამ ნაგებობის კედლებზე მიდგმულია შესასვლელი კოშკი, რომლისგანაც შემორჩენილია პირველი სართული. აქ მოწყობილია თაღოვანი გასასვლელები, კოშკის შუა ნაწილი გადახურულია კამარით. გვერდით კედლებში მოწყობილია შეისრულთაღიანი ნიშები. მეორე სართული ჩამონგრეულია.


**ინტერიერი, ფრაგმენტი.**

# სოფ. ვილდა

## ციხე

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლიდან ჩრდილოეთით 4 კმ-ზე ნასოფლარ ტბასთან მდებარე ციხე და შემორჩენილი სათავსები ნაგებია დიდი ზომის ფიქალით, გამოყენებულია კლდის ქანებიც. წყობა მშრალია.

ციხე გეგმით ოვალურია, სამხრეთ-დასავლეთით ჩართული სწორკუთხა კოშკით. ციხეში შესასვლელი სამხრეთ კედელშია მოთავსებული. მის მარჯვნივ, ციხის კედლის გარეთ, შემორჩენილია ციხის სწორკუთხა სათავსის ნანგრევები. კედლების სიმაღლე დაახლ. 1-2 მეტრს აღწევს, ზოგან უფრო ნაკლებია. გალავნის შიგნით ერთმანეთის მიჯრით განლაგებულია გეგმით სწორკუთხა სათავსები. კედლების დაზიანების გამო მათი დანიშნულება გაურკვეველია. ციხის ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევი. იკითხება აბსიდა და კონქის მცირე ნაწილი, აგრეთვე ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი კედლების ფრაგმენტები. ეკლესიაში მიწის დონე აწეულია.



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ციხის კოშკის კედლების სიმაღლე 2,5 მეტრს აღწევს. კოშკის ჩრდილოეთ კედელში გაჭრილია სათოფურები. კოშკის ცენტრში კი ოთხკუთხა, მასიური სათვალთვალო სვეტი დგას.

ციხის ღერძი ვითარდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ტერიტორია გავსებულია ჩამონაშალი ქვებით. ძეგლი ძლიერ არის დაზიანებული.



სქემატური გეგმა.

## სოფ. ზალდა

# ღვთისმშობლის ეკლესია

1820 წ.



ხედი აღმოსავლეთიდან.

გუმბათიანი ეკლესია ნაშენია ფლეთილი და რიყის ქვით.

აღმოსავლეთით ღრმა, ნახევარწრიული აბსიდაა, რომლის კონქი სფერულია. აბსიდის კედლის ცენტრში თაღოვანი სარკმელია. აბსიდის ტრიუმფალური თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა. ეკლესიის შიდა გეგმას "ჩაწერილი ჯვრის" ფორმა აქვს. გუმბათი ეყრდნობა ოთხივე მკლავის წიბოებს. გუმბათის ყელზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება. გუმბათის სამხრეთი და დასავლეთი ნაწილი ჩამონგრეულია. ჯვრის მკლავები ოთხივე მხარეს თაღებით სრულდება. გადარ-

ჩენილია ჩრდილოეთი მკლავი და სამხრეთი მკლავის ნახევარი, დასავლეთისა კი მთლიანად დანგრეულია.

ჩრდილოეთ მკლავში ორი, ერთ ვერტიკალურ ხაზზე განლაგებული თაღოვანი სარკმელია. აბსიდს შერჩენილი აქვს შელესილობა. გუმბათის ყელი გარედან წახნაგოვანია. მისგან შემორჩენილ ნაწილს ორი სარკმელი აქვს. გადახურულია თუნუქის სახურავით.




ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ზალდა

# მარიამწმინდას ნაეკლესიარი

"დოდაანთ" უბანში, მაღალ ბორცვზე შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. გაუთხრელად თარიღისა და გეგმის დადგენა არ ხერხდება. მიმობნეულია უამრავი თლილი შირიმის ქვის კვადრები. მის გარშემო ბზის კორომია.

## სოფ. ზალდა

# წმ. გიორგის ნაეკლესიარი

სოფლის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას შემორჩენილია მცირე ზომის ნაეკლესიარი; თავდაპირველად ეკლესია დარბაზული ყოფილა. კედლის ნანგრევები მიწითაა დაფარული. გათხრა-გასუფთავების გარეშე გეგმა არ იკითხება.

მიმობნეულია შირიმის თლილი ქვები. ეკლესიის გვერდით მდგარ მუხაზე ეკიდა დიდი ზომის ზარი. მუხა წაქცეულია.

ძეგლის დათარიღება რთულია.

## სოფ. ზალდა

# წმ. გიორგის ეკლესია

### IX-X სს.

ეკლესია სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2-3 კმ-ზე მდებარეობს. ეკლესიის საკურთხევლის სარკმლის თავზე ერთსტრიქონიანი ნუსხური წარწერაა მოთავსებული: "ქრისტე. გიორგი შეიწყალე".



**სამხრეთი კედლის ფრაგმენტი.**

ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ჩაყოლებულია ნუსხურწარწერიანი ქვა. წარწერა რვა სტრიქონიანია: "ქრისტე შე იწყალე გიორგი რპ და ი სა დადვეს საძირკველი ქრონიკონ-სა".სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში ჩაყოლებულ ქვაზე, აგრეთვე, ერთსტრიქონიანი ნუსხური წარწერაა: "ქრისტე შეიწყალე ჯბღვლდი".

ეკლესია ნაგებია მონაცრისფრო-მოთეთრო ქვიშაქვის კვადრებით, წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვაა. სამხრეთით სწორკუთხა ნიშაა. აბსიდა დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით.

გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. ინტერიერი ნათდება აღმოსავლეთის თაღოვანი, სამხრეთის და დასავლეთის სწორკუთხა სარკმლებით. იატაკი მოგებულია ქვის ფილებით.

თაღოვანი შესასვლელი სამხრეთიდანაა, რომელსაც ტიმპანის ქვა აქვს. აღმოსავლეთ სარკმლის სათაურის ქვაზე ამოკაწრულია სამკუთხა ორნამენტები. სათაურის მარცხენა კუთხეში ჯვარია ამოკვეთილი.

სამხრეთ შესასვლელის მარჯვნივ, ქვის კვადრზე ბოლნური ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა, ხოლო მარცხნივ - მინოტავრის. მის გვერდით კონუსის ფორმის ქვაზე წმინდანის რელიეფია.

დასავლეთ ფასადის სამხრეთ ნაწილის ქვედა კუთხეში ჩაყოლებულ ქვის კვადრზე ასომთავრული წარწერაა.

ჩრდილოეთი ფასადი სრულიად სადაა.

სამხრეთიდან ეკლესიას მინაშენი ჰქონდა. შემორჩენილია მინაშენის საძირკველი.

ეკლესიის ჩრდილოეთით 300 მეტრზე ბუნის ქვაში ჩასმული ლომის თავის ქანდაკებაა.

ძეგლის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

ეკლესიის კამარა და კონქი ჩამოქცეულია; იატაკი აყრილია; კედლები დაბზარულია; დაზიანებულია კარ-სარკმლები.




წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.

# სოფ. ზემო აჩაბეთი

# ხუციურის ეკლესია

## გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია სოფლიდან დასავლეთით 1,5 კმ-ზე მდებარეობს.

ძეგლი ნაგებია ფლეთილი ქვით დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია ფიქალით.

დარბაზული ეკლესია გეგმით ტრაპეციას წარმოადგენს, აღმოსავლეთით კოლოფა აბსიდით, რომლის ცენტრში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მის ძირში ტრაპეზის ქვაა. აბსიდის ჩრდილოეთით ღრმა, ოთხკუთხა ნიშაა. კონქი ამოყვანილია აგურის რადიალური რიგებით. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა, რომელთაგან ჩრდილოეთის, სამხრეთისაზე უფრო ფართოა.

ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები შემორჩენილია დაახლოებით 4-5 მეტრის სიმაღლეზე, ზოგან უფრო ნაკლები. დასავლეთი კედლის სიმაღლე 6-7 მეტრს აღწევს. მასში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სამხრეთი შესასვლელი ნათხარია.

ეკლესია ადგილობრივ მოსახლეობას შიფერით გადაუხურავს.

კამარა ჩამოქცეულია. სამხრეთ-დასავლეთი, ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხეები გარღვეულია. იატაკი სავსეა ნაგვითა და ჩამონაშალი ქვით.



ხუციურის ეკლესიის გეგმა.



სამხრეთი ფასადი.

# სოფ. ზემო აჩაბეთი

# წმ. ესტატეს ეკლესია

## VIII-IX სს.

სოფლის აღმოსავლეთ განაპირას მდებარე მცირე ზომის ეკლესია ნაგებია კარგად თლილი ქვიშაქვით, რომელიც შემდეგ შელესილია. სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს მინაშენები.




წმ. ესტატეს ეკლესიის გეგმა.

დარბაზული ეკლესია გეგმით კვადრატს უახლოვდება, აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლით სრულდება. მასში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ორივე მხარეს მაღალი, ღრმა ნიშებია მოთავსებული. კონქი ამოყვანილია აგურის რადიალური რიგებით. გადასვლა აბსიდის სწორი კუთხეე-



დასავლეთი ფასადი.

ბიდან კონქის ნახევარსფეროზე ხდება გვირგვინისებურად დალაგებული აგურით.

აბსიდა დარბაზისაგან გამოყოფილია მკვეთრად გამოწეული პილასტრებით, რომელსაც ტრიუმფალური თაღი ეყრდნობა. დასავლეთ კედლის კუთხეებში ფართო შვერილებია.

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა. მინაშენის კედლები შემორჩენილია დაახლოებით 1-2 მეტრის სიმაღლეზე. დასავლეთ მინაშენის აღმოსავლეთ კედელზე და სამხრეთ შესასვლელის ორივე მხარეს კრონშტეინებია. კრონშტეინებს მინაშენების კამარის საბრჯენი თაღები ეყრდნობოდა.

სამხრეთის მინაშენი გახსნილია ერთ მრგვალ სვეტზე დაყრდნობილი თაღედით.

ფასადები სადაა, მხოლოდ აღმოსავლეთი სარკმლის ზემოთ რელიეფური თაღია, რომლის ზედა ნაწილში ჯვარია ამოკვეთილი. ფასადის მარცხენა კუთხეში ამოკვეთილია ორი ასომთავრული ასო (**ნი**).

ეკლესიის კამარა და სახურავი დაზიანებულია, კარნიზი მრავალ ადგილას ჩამონგრეულია.

## სოფ. ზემო აჩაბეთი

# აბოწმინდას ეკლესია

### განვითარებული შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს სოფლიდან დასავლეთით 1 კმ-ზე.

პერანგშემოცლილი ეკლესიიდან შემორჩენილია დასავლეთი კედელი, ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, აბსიდის ჩრდილო ნაწილი და სამხრეთი კედლის მხოლოდ ქვები.

აბსიდს ნახევარწრიული ფორმა ჰქონდა. ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ კუთხეებში პილას-




აბოწმინდის ეკლესიის გეგმა.

ტრების ნაწილი იკითხება.

დასავლეთ კედლის ცენტრში გაჭრილია გარედან არქიტრავული, შიგნიდან კი თაღოვანი შესასვლელი. თაღი გადაყვანილია სოლისებრი ფორმის ქვებით.

ეკლესიის ირგვლივ და ინტერიერში მიწის დონე ძლიერ აწეულია. ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით.



დასავლეთი ფასადი.

## სოფ. ზემო აჩაბეთი

# წმ. კვირიკეს კომპლექსი

გვიანი შუა საუკუნეები.

კომპლექსი შედგება ეკლესიის, კოშკისა და გალავნის ნანგრევებისაგან. მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის მხოლოდ გეგმა იკითხება. აღმოსავლეთით ჩანს აბსიდის რამდენიმე კვადრი და ჩრდილოეთი კედ-



წმ.კვირიკეს კომპლექსი. სქემატური გეგმა.

ლის თლილი კვადრები სამი მეტრის სიგრძეზე. ირგვლივ მიმობნეულია თლილი შირიმის კვადრები, არის ბუნის ქვაც.

ნაეკლესიარის სამხრეთ-აღმოსავლეთით 8 მ-ში დგას კოშკის ნანგრევი. იგი ოთხკუთხა ყოფილა. შემორჩენილია ჩრდილო-დასავლეთი კედლის, 6 მეტრის სიმაღლის ფრაგმენტი. კედელში პირველი სართულის დონეზე გადარჩა სამი შეწყვილებული სათოფური. სათოფურებს თავხეებად მუხის ძელები აქვს კედელში ჩატანებული. კოშკის სამი მეოთხედი, ფერდობის ჩაშლის შედეგად დანგრეულია. კოშკი ჩადგმული იყო სწორკუთხა გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. გალავნისაგან მხოლოდ საძირკველი შემორჩა. კოშკის და გალავნის სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის ქვა.

## სოფ. ზემო გორეთი

# წმ. გიორგის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე.

სწორკუთხა საკურთხევლიანი ეკლესია ნაგებია დიდი ზომის ფლეთილი ქვით დუღაბზე. იგი გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, კედლები შემორჩენილია 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე. სამხრეთიდან ქვები




წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.



ხედი სამხრეთიდან.

გვიანაა მიწყობილი. სამხრეთ-დასავლეთი კუთხე მთლიანად განადგურებულია, ისე, რომ შესასვლელის დადგენა შეუძლებელია.

ძეგლი უსახურია.

## სოფ. ზემო დოდოთი

# დოდოთის ცხრაკარას ეკლესია

**XI-ს.დასაწყისი.**

ეკლესია მდებარეობს მდ.ფრონეს ხეობაში.

სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე ასომთავრული წარწერაა: “ქ.სახელითა ღმრთისაითა ივანე ე(რის)თავმან ტბელმან აღაშენა ეს-ეს წმინდაჲ ეკლესიაჲ სალოცველად მისთვის და ხუთთა ძეთათჳს”.

დასავლეთის არქიტრავზე: “ესე ქვაი სხუისა დადვა”.

გარშემოსავლელის ტიმპანზე: “წმინდაო ნათლისმცემელო, მეოხ ექმენ მონასა შენსა ტბელსა, ძესა ქავთარისასა, ორსავე ცხოვრებასა”.

ეკლესია ნაგებია როგორც სუფთად ნათალი ღვინისფერი კვადრებით, ისე ზედაპირულად, უხეშად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვებით. წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აბსიდს ორსაფეხურიანი მხრები აქვს.



**აღმოსავლეთი ფასადი.**



ალმოსავლეთი ფასადის სარკმლის მორთულობის ფრაგმენტი.




გეგმა.

მხრებს სატრიუმფო თაღი ეყრდნობოდა.

ეკლესიის დასავლეთი შესასვლელი შიგნით თაღოვანია, გარედან - არქიტრავული. სამხრეთი შესასვლელი თაღოვანია, კარი დაბჯირგვინებულია განიერი, ორნამენტული თაღით. ტიმპანზე ჯვრის გამოსახულება დაფარულია წითელი საღებავით. ჯვარს მიუყვება ასომთავრული წარწერა. დარბაზი მთლიანად ჩამონგრეულია და დაფარულია მიწით.

ეკლესიას სამივე მხარეს გარშემოსავლელი აქვს. ჩრდილოეთის და სამხრეთის ნავების ნახევარწრიულ აბსიდებში თითო თაღოვანი სარკმელია მოთავსებული. აბსიდების მხრებს სატრიუმფო თაღები ეყრდნობა.

გარშემოსავლელის სამხრეთი ნაწილი გადახურული იყო კამარით. ორთაღიანი შესასვლელის დაბალი სვეტები მორთულია ორნამენტებით. თაღებზე ამოკვეთილია მცენარეული ორნამენტი, სვეტების კაპიტელებზე კი ლენტოვანი წნული. ძეგლის ეს ნაწილი შიგნითაც მორთულია. პროფილირებული პილასტრები სრულდება ორნამენტირებული იმპოსტებით. მათ ჩრდილოეთი კედლის თაღები ეყრდნობა.

ჩრდილოეთი ნავის ჩრდილოეთ კედელში ერთი სწორკუთხა ნიშაა. სამხრეთი კედლის თაღები იმპოსტებს ეყრდნობა. გარშემოსავლელს შესასვლელი დასავლეთიდანაც ჰქონდა.

აღმოსავლეთის ფასადთან მიწაზე დევს სარკმლის სათაურის ორნამენტირებული ქვა.

ეკლესიის ირგვლივ ყრია კონსტრუქციული ნაწილები - თაღები, კაპიტელები და მოჩუქურთმებული ქვები.

ეკლესია ძლიერ არის დაზიანებული.

## სოფ. ზემო ვილდა

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები.

კოშკი მდებარეობს სოფლიდან ჩრდილოეთით 5 კმ-ზე, ნასოფლარ "ტბასთან". ნაგებია თეთრი ფერის ფლეთილი ქვით, წყობა სწორხაზოვანია.

გეგმით ოთხკუთხა კოშკიდან შემორჩენილია ორი სართული და მესამე სართულის მხოლოდ მცირე ნაწილი. სართულშუა გადახურვები ჩამონგრეულია.

კოშკის პირველი სართული ყრუა. მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელში შესასვლელი იყო, რომლის მხოლოდ მარჯვენა წირთხლია შემორჩენილი. ამავე სართულის ჩრდილოეთ კედელში თაღოვანი ბუხარია, ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშით. ასეთივე ნიშებია მოთავსებული დასავლეთ და სამხრეთ კედლებში.



ხედი დასავლეთიდან.



აწრისხევი. წმ. მარიამის ეკლესიის სამრეკლო



თირი. საერთო ხედი.



იკორთა. ხედი დასავლეთიდან.



თირის მონასტერი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



თირის მონასტერი. ეკლესიის მთავარი შესასვლელის ფრაგმენტი



თირის მონასტერი. დასავლეთი კედლის ლავგარდანის ფრაგმენტი.



ინტერიერი, ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტი.




კოშკის გეგმა.

კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე მთელ სიგრძეზე ჩამონგრეულია. ნამონაშალი ქვა იქვე ყრია.

## სოფ. ზემო ვილდა

# ნაეკლესიარი

სოფლის ძველ სასაფლაოზე მდებარე ეკლესიიდან შემორჩენილია ერთმანეთზე უსისტემოდ დაწყობილი თლილი ქვის გროვა.

## სოფ. ზემო ვილდა

# სამების ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე; ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია შირიმის ქვა და ფიქალი.

მცირე ზომის დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო



სამხრეთი ფასადი.




სამების ეკლესიის გეგმა.

სწორკუთხა ნიშაა. აბსიდის იატაკის დონე ერთი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკთან შედარებით. სფერული კონქი ამოყვანილია ქვის რადიალური რიგებით. სატრიუმფო თაღი პილასტრებს ეყრდნობა.

ეკლესიის კამარა შეისრულია. სამხრეთის შესასვლელი არქიტ-რავულია. იატაკი მიწურია.

ეკლესიის ფასადები სადაა. შირიმის კარნიზი მარტივპროფილი-ანია. დასავლეთის კეხზე სამრეკლოა.

სამრეკლო ღია ფანჩატურს წარმოადგენს. მისი სვეტები შირიმ-ის ქვისაა.

ძეგლის საბურავად გამოყენებულია ყავარი.

## სოფ.ზემო იკორთა

# იკორთის ტაძარი

## XII ს.(1172წ.).

ძეგლი მდებარეობს მდ.მეჯუდას ხეობაში.

ვახუშტის მიხედვით: „ხოლო კუალად ორბოძლის მთის სამხრ-ით არს, მთის კალთასა შინა, იკორთას, მონასტერი დიდი, გუმბა-თიანი, კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს, ზის არქიმანდრიტი”.

წარწერა, რომელიც მ.ბროსეს 1848 წელს უნახია დასავლეთ ფა-სადის მარჯვენა ნაწილშია. ამდენად ამ წარწერიდან მხოლოდ რა-მდენიმე ასოს გარჩევა ხერხდება.

"ქ.სამებაო, ერთობაო, ადიდენ ორთავე შინა ცხოვრებათა ე გ დ ნ, სუ... და ბეშქენ... ბჭესა ვ პ დ ა პერისთავსა ესტატეს მხლ... თ

და ლოცვა ჰყავთ, ქკს ტჳბ".

ტაძრის შესახებ უფრო გვიანდელ ცნობას ძეგლის კედლის წარწერა გვაწვდის. ეკლესიის დასავლეთი კარიბჭე ადრევე მოშლილია. პორტალის თავზე მდებარე დიდ ქვაზე ვრცელი წარწერა მოუთავსებიათ. შემდგომში აქ აგებულ კარიბჭეს წარწერა ნაწილობრივ დაუფარავს:

შე... როდამ დიდ... ცოლყოფილმან მან... თის თავმან იესე ვიგულის მო... ღვთაებისაგან ეს მთავარანგელოზის... ხელ ახლად ველვყავით, ვითაც დიმ... ოთხი სამხრო გავაკეთეთ, შიგნით სახლები... ერებოდა სამრეკლო საძირკელით გავასრულეთ... თა აღვაშენეთ, სულისა ჩვენისა საოხრად ძეთა ჩვენთა სასულიარ... ეგრძელოდ, შეიწირეთ წმინდანო მთავარანგელოზნო, მეორე ესე მსახურე... ოხ გვექვენით, დღესა მას დიდსა განკითხვასა. ამასვე ქკსა ტ შანაოზ მეფის".

როგორც ბროსე აღნიშნავს, ახალი მშენებლობა მეფე შაჰ-ნავაზის დროს 1672 წელს დაწყებულა. წარწერის მიხედვით იესე ქსნის ერისთავს საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩაუტარებია.



იკორთა. ინტერიერი, საკურთხეველი.

სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა "ძელო ცხოველო, შეიწყალენ სულითა ერისთავთ-ერისთავნი ვარდან, არსენი, ჯიაბერი, ბასილი და თვალის გუგა". ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის ქვეშ: "ქრისტე შეიწყალე იგნატი სლთნ (სულთან?)." დასავლეთის ფასადზე მოთავსებულია მზის საათი ასომთავრული ანბანით, XII ს.

ძეგლი ნაგებია კარგად თლილი მოყვითალო, მოცისფრო ქვის კვადრებით. წყობა სწორხაზოვანია.

ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის გეგმა მოქცეულია მოგრძო სწორკუთხედში. აღმოსავლეთით საკურთხეველი ღრმაა. ეს გამოწვეულია ბემის სიღიდით. სატრიუმფო თაღი და ბემის კამარა შეისრულია. ნახევარწრიული აბსიდის კედლები თანაბრადაა დანაწევრებული სამი სარკმლითა და იმდენივე ნიშით. შუა სარკმელი მოზრდილია, გვერდითები კი შედარებით მომცრო. ცენტრალური ნიში მორთულია ლილვოვან პილასტრებზე გადასული თაღით.

გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის შვერილებსა და დასავლეთით ცალკე მდგომ სვეტებს. ოთხივე საყრდენს წახნაგოვანი ფორმა აქვს. გუმბათქვეშა თაღები ოდნავ შეისრულია. გუმბათის ყელი გამოყოფილია რელიეფური, ლილვებშემოყოლებული ლავგარდანით. გუმბათის ყელში განლაგებულია თორმეტი თაღოვანი სარკმელი.

საკურთხევლის გვერდით სათავსები საკმაოდ გრძელია და აბსიდებით მთავრდება. ნათდება აღმოსავლეთის თითო სარკმლით. ორივე სათავსი ეკლესიის დარბაზს განიერი თაღით უკავშირდება. გასასვლელების შეისრული თაღები იმპოსტებს ეყრდნობა. სამკვეთლო ფართო კარით უკავშირდება საკურთხეველს, მის აბსიდში ტრაპეზის ქვაა. ჩრდილოეთ კედელში ორი ოთხკუთხა ნიშია, მარჯვნივ - ერთი. ნიშები სადიაკვნეშიც არის. ამ სათავსებს კამაროვანი გადახურვა აქვს - ჩრდილოეთისას ნახევარწრიული, სამხრეთისას - შეისრული.

ტაძრის ძირითადი სივრცე ჯვრის ფორმის მოხაზულობაზე აღმართული კედლებით იქმნება. ჯვრის დასავლეთი მკლავი გვერდითი ნავებისაგან წყვილი თაღითაა გამოყოფილი. მეორე სართულზე პატრონიკეა მოწყობილი.

ეკლესიის შიდა სივრცის განათება ხდება გუმბათის თორმეტი სარკმლისა და ჯვრის მკლავებში განლაგებული სარკმლებით. შესასვლელები დასავლეთიდან და სამხრეთიდან აქვს. დასავლეთით სწორკუთხა გეგმის კარიბჭეა, რომელიც გადახურულია ორ საბრჯენ თაღზე დაყრდნობილი კამარით; კარიბჭე დასავლეთით ერთი დიდი, ხოლო


იკორთის ეკლესიის გეგმა.

გვერდებზე სამ-სამი შეტეხილი ფორმის თაღებითაა გახსნილი. სვეტები, რომლებზეც თაღები ეყრდნობა, კაპიტელებით სრულდება. კარიბჭე თლილი ქვითაა ნაგები.

ტაძრის ოთხივე ფასადის ძირითად მორთულობას თაღოვანი სისტემა წარმოადგენს. აღმოსავლეთ ფასადზე ორი მოზრდილი ნიშაა. თითო თაღით განაპირა არეებია შემოფარგლული, შემდეგ თაღები შემოუყვება ნიშებს და ბოლოს, მათ შუა დარჩენილი ფართობი კარნიზამდე ერთი თაღითაა მოხაზული. ამ მაღალ თაღს გვერდებზე კიდევ ჩამოუყვება პატარა თაღები. ცენტრალურ ღერძზე ზემოთ ჯვარია, შემდეგ ჩუქურთმიანი დიდი ვარდული, ქვემოთ სარკმელი განიერი ოლეთი, ბოლოს ორი რომბი. ჩამოთვლილ ჩუქურთმიან ელემენტებს ერთმანეთთან აკავშირებს ლილვოვანი მოჩარჩოება.

დასავლეთი ფასადი თაღებით სამ მონაკვეთადაა დაყოფილი. ზემოთ, ცენტრში, კეხის გასწვრივ, თაღიდან გამოსული ქვედა ლილვი საკმაოდ მოზრდილ ჩუქურთმიან მედალიონს შემოხაზავს. ფასადის ზედა ნაწილში ორი მაღალი, თაღებით შემოფარგლული სარკმელია. მათ განიერი ორნამენტირებული ოლე შემოუყვება. სამხრეთი ფასადიც ერთი მთლიანი თაღოვანი სისტემითაა შეკრული. ფრონტონის ქვემოთ თაღი ჰორიზონტალურად იშლება და ლილვები წიბოებზე ჩამოუყვება. ცენტრალურ ღერძზე ზემოთ ერთი სარკმელია, ხოლო ქვემოთ - ორი. სარკმლები მოჩარჩოებულია ორმაგი ლილვით. თითოეულ სარკმელს სხვადასხვა სახის ორნამენტით შემკული ოლე შემოუყვება. ჩრდილოეთი ფასადის თაღებში მოთავსებული ორ-ორი სარკმლის მორთულობიდან თითოა დარჩენილი. შედარებით კარგადაა მიღწეული წიბოების ყლორტოვანი ლილვები. ტაძარი მთლიანად ლორფინითაა გადახურული. ოთხივე მხარის კეხზე დგას ეკლესიის მოდელები.

იკორთა ბოლო საუკუნეებში ქსნის ერისთავთა საძვალეს წარმოადგენდა. აქ დასაფლავებული არიან ელიზბარ და შალვა ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი.

მიმდინარეობს რესტავრაცია.

# სოფ. ზემო იკორთა

# ციხე

### გვიანი შუა საუკუნეები.

ციხე მდებარეობს ქ.გორიდან ჩრდილოეთით 20 კმ-ზე მდ.მეჯუდას ხეობაში.

იკორთის ციხე მხოლოდ XVIII ს. იხსენიება რამდენჯერმე. მემატიანე სეხნია ჩხეიძის ცნობით, 1732 წ. ლეკები დაესხნენ ქართლს. ამჯერად მათი თავდასხმა უშედეგო აღმოჩნდა. იკორთასთან მტერი საბოლოოდ გაუნადგურებიათ. 1736 წელს ირანის შაჰს გადაუდგა შანშე ქსნის ერისთავი და იკორთას გამაგრდა. ნადირ-შაჰის გამოგზავნილი ჯარი ციხეს მოადგა, მაგრამ დამარცხდა. ერთი წლის შემდეგ იგივე სარდალი სეფე-ხანი, დიდი ჯარით დაბრუნდა. ამ უთანასწორო ბრძოლაში იკორთა დაეცა. მაშინ საკმაოდ დაზიანდა ციხეც და გალავანიც, მაგრამ XVIII ს-ის ბოლოს რომ შესა-



ციხე. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

კეთებელი ყოფილა, ამას ვიგებთ მეფე გიორგი XII მიერ შვილისადმი მიწერილი ბარათიდან: "წინამძღვარი იკორთისა მონასტრისა ჩივის მეზობლებზედ ეკლესიის მამულებსა არ გვანებებენო... გალავანიც დაქცეულა, უბრძანე სახასო გლეხთა შენობაზედ გაისარჯნენ, რადგანაც მათი სალოცავი არის".

ციხე-დარბაზის ციტადელი განლაგებულია შემაღლებულ ბორცვზე. მისი წინა ნაწილი, რომელიც ეზოში გადიოდა ორიარუსიანია. ქვედა იარუსი ეზოს დონეზეა. ჩანს, აქ გრძელი შენობა მდგარა, რომლისგანაც მხოლოდ ნაშთებია დარჩენილი. თვით ციტადელს გრძელი ეზო აქვს. მის კედლებსა და შემადგენელ ნაწილებს ეტყობა არაერთი გადაკეთება. ეზოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დგას ოთხკუთხა კოშკი, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ცილინდრული. ეს კოშკები სხვადასხვა დროისაა. ჯერ სწორკუთხა კოშკია აგებული, შემდეგ - ცილინდრული და ბოლოს ისინი შეერთებულია ახალი გალავნით. ოთხკუთხა კოშკი სანახევროდ დანგრეულია და შემორჩენილია მხოლოდ სამი სართული. შესასვლელი სამხრეთითაა. სხვა კედლებში და ზედა სართულებზე სათოფურები და სარკმლებია.

მეორე კოშკი ორფენიანია. პირველი ფენის ცილინდრულ კოშკს დასავლეთით მთის დიდ ქანობზე ძირი გამოეცალა და ნახევარი ხევში ჩაიშალა. მის ნანგრევებში ჩანს ღრმა ნიშები სათოფურებით, ბუხარი და სხვა.

ციტადელის გალავანს მაღალი კედლები ჰქონია, რომლებიც ქვემოთ ხევისკენ ყრუა, ეზოსკენ კი ხვრელობებია. დასავლეთის კედლებში მოთავსებულია ნახევარწრიული მოხაზულობის კამერა ყრუ კედლებით. მისი დანიშნულება გაურკვეველია.

ციხე ნაგებია როგორც კარგად თლილი, ისე უხეშად თლილი ქვით.

ციხე დაზიანებულია.

## სოფ. ზემო კორკულა

# ეკლესია გიგოლაანთ სალოცავი

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთ განაპირას მთაზე.

რიყის ქვით ნაგები, დანგრეული გოგოლაანთ სალოცავი, მუხნარში დგას. კედლები, მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ნახევარწრიული აბსიდა იკითხება. შემორჩენილია აბსიდის ჩრდილოეთი ფასადი.

ეკლესიის გარშემო ძველი საფლავის ქვებია.




ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ზემო მოხისი

# ეკლესია, კოშკის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კმ.-ზე ტყეში. ნაგებია ფლეთილი ქვით, სქელ დუღაბზე. შემორჩენილი კედლების სიმაღლე დაახლ. 1 მეტრს აღწევს.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ჩრდილოეთით ნიშაა მოთავსებული. ეკლესია მთლიანად ჩაქცეულია და იმის გამო, რომ ჩამონაშალი ქვითაა ამოვსებული, ზუსტი აღწერა-აზომვა ჭირს.

ეკლესიის ჩრდილოეთით შემორჩენილია კოშკის ნანგრევი, კერძოდ, კოშკის სამხრეთი კედელი, რომელიც მომრგვალებულია. კედელში დატანილია სათოფურები და ერთი ნიშა. კოშკის დანარჩენი კედლები ფრაგმენტულად იკითხება. ტერიტორიაზე შემორჩენილია ნაგებობათა ნაშთები, რომლის ფუნქცია დაუდგენელია.

კომპლექსი დიდ ტერიტორიას მოიცავს. ძეგლის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

## სოფ. ზემო სნეკვი

# წმ. გიორგის ეკლესია

### IX-X სს.

ეკლესია მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე, ნუკრიაანთ უბანში. ნაგებია სხვადასხვა ზომის, მოწითალო, უხეშად თლილი ქვით. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია რიყის ქვით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში მასიური ტრაპეზის ქვაა. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით შეისრულთაღიანი ნიშებია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. კონქი ნახევარსფერულია.



**ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.**

გრძივი კედლები სამსაფეხურიანი პილასტრებით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი პილასტრების ცენტრალურ საფეხურს ეყრდნობა. ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების თაღები პილასტრის გვერდით საფეხურებს ებჯინება. დასავლეთი კედლის თაღები კრონშტეინებს ეყრდნობა.

სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებს ერთსაფეხურიანი კარნიზი გასდევს.

დარბაზი ნათდება აღმოსავლეთის და დასავლეთის თაღოვანი სარკმლებით. დასავლეთის თაღოვანი შესასვლელი ამოშენებულია. სამხრეთის შესასვლელი შიგნით თაღოვანი, გარედან - არქიტრავულია, ოდნავ შეღრმავებული ტიმპანის ქვით.

დასავლეთის კარის ორივე მხარეს მაღალი, თაღოვანი ნიშებია.

ეკლესიის დასავლეთ სარკმელს შირიმის ქვები აჩარჩოებს. აღმოსავლეთ სარკმელს ორმაგი წარბი აქვს. წარბის ზემოთ ტოლმკლავა ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა.

ეკლესიის ფასადები შელესილი ყოფილა. კარნიზი მარტივპროფილიანია. სახურავად გამოყენებულია კრამიტი.

ეკლესიას სამხრეთიდან გეგმით სწორკუთხა მინაშენი აქვს. მინაშენის კედლების სიმაღლე 2-2,5 მეტრს აღწევს. მინაშენში შესასვლელი სამხრეთიდანაა

კედლები დაზიანებულია. ბათქაში მრავალ ადგილას ჩამოცვენილია, სახურავზე ამოსულია მცენარეები. ჩრდილოეთი ფასადი თითქმის პერანგშემოცლილია.



დასავლეთი კედლის ფრაგმენტი.




წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ზემო სნეკვი

# ყველაწმინდის ეკლესია

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ.ზე მდებარეობს მცირე ზომის უაბსიდო, დარბაზული ეკლესია. კედლები გადარჩენილია 1,5-2 მ-ის სიმაღლეზე. შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილშია.

მასალად გამოყენებულია ადგილობრივი ჯიშის რუხი ფერის ქვის კვადრები და მცირე რაოდენობით შერეულია თლილი შირიმის კვადრები.



ხედი სამხრეთიდან.




ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ზემო სნეკვი

# ნაეკლესიარი

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 1 კმ. "გაბუაანთ" უბანში, მთაზე მდებარეობს მცირე ზომის ეკლესია; ნაგებია ფლეთილი ქვითა და დიდი ზომის ფიქალით.

გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრი-



ხედი სამხრეთიდან.




გეგმა.

ული აბსიდით. კედლები შემორჩენილია დაახლოებით 1-1,5 მეტრზე.
სამხრეთით იკითხება შესასვლელის კვალი.
ძეგლის ტერიტორია სავსეა ნამონაშალი ქვით.

## სოფ. ზემო ტბეთი

# ღვთისმშობლის ეკლესია

### განვითარებული შუა საუკუნეები.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 კმ. მდებარე დარბაზული ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. ინტერიერში გრძივ კედლებს წყვილი პილასტრი აყვება.

აბსიდის ჩრდილოეთი ფრაგმენტი 50-სმ-ის სიმაღლეზეა გადარჩენილი, სამხრეთი კედელი - 1,5 მეტრზე. აბსიდს არა აქვს ჩრდილოეთი შვერილი, რადგან მოგვიანებით აქ გაიჭრა კარი. მისი ფუნქცია გაურკვეველია, მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთიდან არავითარი მინაშენის კვალი არ იკითხება. სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში (კედლის




ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.



**ხედი აღმოსავლეთიდან.**

ზედა ნაწილი მორღვეულია) და დასავლეთი კედლის ცენტრში - შიგნიდან თაღოვანი და გარედან არქიტრავული შესასვლელები იყო. დასავლეთის შესასვლელის თავზე სარკმელია, რომლისგანაც გადარჩა მხოლოდ ქვედა ნაწილი.

ეკლესია ნაშენია ადგილობრივი ჯიშის, ღია მოყვითალო ფერის, ფლეთილი ქვით. ალაგ-ალაგ შერეულია რიყის ქვებიც.

## სოფ. ზემო ტბეთი

# ყვავისაყდარას ეკლესია

### განვითარებული შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს სოფლის სამხრეთით 1,5 კმ. მისი აშენების შესახებ არსებობს ლეგენდა: „ეკლესია დგას უზარმაზარ მინდორზე, რომელიც ოდითგანვე საყანე იყო (ასეა ახლაც). ერთხელ, მკისას, მომკელებისათვის სადილი იხარშებოდა მინდორში. როდესაც დადგა სადილობის დრო და მუშები მოგროვდნენ ქვაბთან, მათ

თავზე დაიწყო ტრიალი ყვავმა. იგი ჩხაოდა, დასტრიალებდა ქვაბს და ხალხს. მუშებმა მას ქვის სროლა და მოგერიება დაუწყეს. მაშინ ყვავი მიფრინდა ქვაბთან და აღუღებულ კერძში ჩავარდა. როდესაც წახდენილი საჭმელი გადაღვარეს, ყვავთან ერთად შიგ აღმოაჩინეს გველიც. გადარჩენილმა ხალხმა იმ ადგილას ააგო ეკლესია და სახელად უწოდეს "ყვავისაყდარა".

ეკლესია დარბაზულია. იგი მთლიანადაა გაძარცული საპირე ქვებისაგან. შემორჩენილია მხოლოდ პერანგის რამდენიმე ქვა, საიდანაც ჩანს, რომ მოპირკეთებული ყოფილა კარგად დამუშავებული, დიდი ზომის, რუხი ფერის ქვის კვადრებით. გადახურვა და კონქი მთლიანად დაღუპულია. აღმოსავლეთით იკითხება ნახევარწრიული აბსიდა. მას გვერდებზე ჰქონდა მაღალი, დიდი ზომის ნიშები. შესასვლელების კონტურები იკითხება სამხრეთის და დასავლეთის კედლებში. ჩრდილოეთ კედლიდან შემორჩა დასავლეთის მცირე ფრაგმენტი. სამხრეთი კედლის მთელი ცენტრალური ნაწილი და დანარჩენი კედლების ზედა ნაწილები კი თითქმის მთლიანად მორღვეულია.



ეკლესიის გეგმა.



ხედი სამხრეთიდან.

## სოფ. ზემო ფრისი ("ქართული ფრისი")

# ღვთისმშობლის ეკლესია

### IX-X სს.

ეკლესია დარბაზულია. სამხრეთით და დასავლეთით მინაშენები ჰქონდა, მათგან საძირკვლის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ინტერიერში აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდია, ცენტრში თაღოვანი სარკმლით. ჩრდილოეთით და სამხრეთით სწორკუთხა ნიშებია. აბსიდა გადახურულია სფერული კონქით. აბსიდში ორი მასიური, სწორკუთხა ლოდია (ორივე წაქცეულია და არ ჩანს - რომელი იყო ტრაპეზის ქვა). აბსიდის იატაკი ერთი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკზე. კანკელისაგან შემორჩა ჩრდილოეთის ქვედა ნახევარი. კანკელის წინ სწორკუთხა ფორმის მასიური ბუნის ქვაა.

გრძივი კედლების ცენტრებში პილასტრებია, რომელიც მთავრდება სწორკუთხა კაპიტელებით. კაპიტელებს ეყრდნობა თაღი, რომელიც იჭერს ცილინდრულ კამარას.

სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ, ზედა ნაწილში თაღოვანი სარკმელია, დასავლეთ ნაწილში თაღოვანი კარები არქიტრავით. არ-



**ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.**

ქიტრავი ნაოთხალია. კედლის აღმოსავლეთ ნახევარს ერთსაფეხურიანი ხარისხი აქვს.

დასავლეთი კედლის ზედა ნაწილში თაღოვანი სარკმელია. ქვედა, ცენტრალურ ნაწილში - სწორკუთხა შემოსასვლელი. ამ კედლის დასავლეთის ნახევარს გააჩნია ერთსაფეხურიანი კარნიზი.

ჩრდილოეთ კედელს მთელ სიგრძეზე გაუყვება ხარისხი. ჩრდილოეთი კედელი მეტად საყურადღებოა - ქვედა ნაწილი გაცილებით სქელია ზედაზე - ეს მკვეთრადაა ხაზგასმული. კამარის დასაწყისთან კედელი კიდევ თხელდება. ძირითად სამშენებლო მასალად გამოყენებულია ტუფის თლილი ქვა და რიყის ქვა.

თაღი, პილასტრები, არქიტრავები თლილი, ღვინისფერი ტუფისაა. ინტერიერს შემორჩა შელესილობის კვალი.

აღმოსავლეთი ფასადი მთლიანად მოპირკეთებულია ღვინისფერი ტუფის დიდი კვადრებით. სარკმლის სათაურის ფილაზე ჩარჩოში ჩასმული რელიეფია - ბოლნური ჯვრის გამოსახულებით. ჯვრის მკლავებს შორის "ღილაკებია" მოთავსებული.

ჩრდილოეთი ფასადის კუთხეები თლილი კვადრებისაა, კედელი - რიყის და ფლეთილი ქვისა.

დასავლეთი ფასადიც ანალოგიურია, ქვედა ნაწილში ემჩნევა მინაშენის კედლების კვალი. მიწის დონე ამაღლებულია და მინაშენის გეგმა არ იკითხება.

სამხრეთი ფასადიც ანალოგიური მასალისაა. სარკმლის საპირეები თლილი ქვისაა, თავთან აქვს რელიეფი - ჯვარი და ოთხი წრეციური მნათობით.

ფასადის ქვედა ნაწილი შესამჩნევად განიერია ზედაზე. განსხვავება თაროს ფორმითაა გამოსახული. ეს კონსტრუქციული დეტალი მინაშენის საჭიროებისათვის იყო.

ეკლესიას შემოუყვება მარტივი, სწორკუთხა პროფილის კარნიზი. საბურავი კრამიტისაა.




ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ზემო ძერე

# ნიშა

### XX ს.

ღვთისმშობლის სახელობის ნიშა აუგიათ ძველი ეკლესიის ქვე-ბით. თვითონ ეკლესია აღარ არსებობს.

## სოფ. ზემო ჯარები

# მთავარანგელოზის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, ნაგები ფლეთილი ქვით.

აღმოსავლეთის ნახევარწრიული აბსიდის ცენტრში გაჭრილია მცირე ზომის სარკმელი, რომლის ძირში, კედელს მიშენებული აქვს მასიური ტრაპეზი. სწორკუთხა შესასვლელი სამხრეთი კედლის უკიდურეს, დასავლეთ ნაწილშია. დასავლეთი კედლის ცენტრის ზედა ნაწილში ვიწრო, პატარა სწორკუთხა სარკმელია. აბსიდის წინ ხის მასიური ფიცრებისაგან შეკრული კანკელი დგას. კამარა შეისრულია. კედლები და კამარა შელესილ-შეთეთრებულია.

ფასადები ნაშენია ფლეთილი ქვით და შელესილია. ეკლესია გადახურულია შიფერით.

კედლები დამსკდარია. კამარის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე ჩამონგრეულია.




მთავარანგელოზის ეკლესიის გეგმა.



ხედი სამხრეთიდან.

## სოფ. ზემო ხელჩუა

# კვირაცხოვლის ნაეკლესიარი

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის სასაფლაოზე მდებარე ეკლესია ნაგებია რიყის ქვით სქელ დუღაბზე. კედლები შემორჩენილია 3-4 მეტრის სიმაღლეზე. მცირე ზომის სამლოცველო სწორკუთხა საკურთხეველში ნიშების კვალია, ცენტრში კი სარკმლის ღიობი, რომელიც ძლიერ არის დაზიანებული.




ეკლესიის გეგმა.



ხედი აღმოსავლეთიდან.

სამხრეთის შესასვლელი მთლიანად მორღვეულია. დასავლეთით სარკმლის ქვედა წირთხლი ჩანს.

## სოფ. ზემო ხელჩუა

# მაცხოვრის ეკლესია

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლიდან ჩრდილოეთით 1 კმ., მთაზე მდებარე ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით დუღაბზე. გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით. შემორჩენილია აბსიდის ნაწილი



ხედი ჩრდილოეთიდან.

6-7 მეტრის სიმაღლეზე, ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტები კი 3-4 მეტრზე. სამხრეთი და დასავლეთი კედელი მიწის დონემდეა ჩამონგრეული.

ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა, რომლის წირთხლის ქვებიღა ჩანს.

ინტერიერი ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით.




მაცხოვრის ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ზვარეთი

# წმ. გიორგის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

დარბაზული ეკლესია გეგმით კვადრატს უახლოვდება, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რომლის ძირში ტრაპეზის ქვაა. აბსიდის ჩრდილოეთით თაღოვანი და შეისრული ნიშებია, სამხრეთით კი თაღოვანი. კონქი ამოყვანილია აგურის რადიალური რიგებით, რომელიც შემდეგ შელესილია. სატრიუმფო თაღი პილასტრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ ხის კანკელი და ერთსაფეხურიანი სოლეაა. კანკელი მოხატულია ფრესკებით.

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრული ფორმისაა, რომლის საბრჯენი თაღი პილასტრების მარტივად პროფილირებულ კაპიტელებს ეყრდნობა. ინტერიერი მთლიანად შელესილია. ეკლესიის დარბაზი ნათდება ოთხივე კედელში განლაგებული თაღოვანი სარკმლებით. ამათგან ჩრდილოეთისა ამჟამად ამოქოლილია. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთიდანაა. იატაკი მოგებულია ქართული აგურით.

ეკლესიის ფასადები შელესილია. ერთადერთ მორთულობას აღმოსავლეთის სარკმლის თავზე ამოკვეთილი დიდი ჯვარი წარმოადგენს.

ეკლესიას სამმაგი აგურის კარნიზი აქვს.

ძეგლს გარშემო რიყის ქვით ნაშენი გალავანი შემოუყვება.

ეკლესიის ნალესობა მრავალ ადგილას ჩამოცვენილია. კედლები დაბზარულია. კანკელი დაზიანებულია.




წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ზონკარი

# ზურგიანი კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 3 კმ., მაღალ მთაზე მდებარე კოშკის მხოლოდ შვიდი სართულია გადარჩენილი. ნაგებობა ე.წ. "ზურგიანი კოშკების" რიცხვს მიეკუთვნება, მისი სამხრეთი ნახევარი სწორკუთხაა, ჩრდილოეთისა კი - ნახევარწრიული.

პირველი სართული ამოვსებულია ნანგრევებითა და მიწით. აგრეთვე სართულშუა გადახურვის ნამუსრევებით, რაც ართულებს კოშკის აზომვას. სართულშუა გადახურვა ბრტყელი იყო. ჩანს საკოჭე ბუდეები.

კოშკში შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთ კედელშია. იგი ნათთხალია. კედლის სისქეში დატანებულია საურდულე ხვრელი. სამხრეთი კედლის მთელ აყოლებაზე პირველ და მეშვიდე სართულებს გარდა, სწორკუთხა ფორმის სარკმლებია (მეშვიდე სართულის კედლები ნახევრად მორღვეულია). კედლებში შემორჩენილია სათოფურები. კოშკის ქვედა ნაწილი ნაგებია დიდრონი ლოდებით, ზედა - ფლეთილი ქვით. ქვა ღია ფერისაა. დუღაბი მოაგურისფროა.

დაზიანებულია ზედა ნაწილი. გადახურვა და სართულების იატაკები ჩამონგრეულია.



კოშკის ინტერიერი, კედლის ფრაგმენტი.

## სოფ. ზონკარი

# შიოწმინდის ეკლესია

### განვითარებული შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე ტყეში.

ძეგლი ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე. წყობა სწორხაზოვანია. დარბაზული ეკლესიის სწორკუთხა საკურთხეველში სარკმელია გაჭრილი. აღმოსავლეთ კედელში ორი შეისრულთაღიანი ნიშაა. გრძივ კედლებზე სამსაფეხურიანი პილასტრებია. პილასტრების გვერდით საფეხურებს კედლის თაღები ეყრდნობოდა, შემორჩენილია თაღების ფრაგმენტები.



ინტერიერი,
ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ფრაგმენტი.

შეისრულთაღიანი შესასვლელი სამხრეთიდანაა. მიწის დონე იმდენად აწეულია, რომ კარის მხოლოდ თაღი და ტიმპანი ჩანს.

დასავლეთით ეკლესიას გეგმით სწორკუთხა სათავსი აქვს, რომლის კამარა ნახევარცილინდრულია. ჩრდილოეთ კედელში ერთი, ხოლო დასავლეთ კედელში ორი სწორკუთხა ნიშაა. სამხრეთით ვიწრო თაღოვანი სარკმელია, აღმოსავლეთ კედლის თაღები კი იმპოსტებს ეყრდნობა. სათავსის აღმოსავლეთი კარი ნაოთხალია. შესასვლელი შეისრულთაღიანია.



ეკლესიის გეგმა.

ეკლესიის კამარა ჩამოქცეულია, კედლები ჩამონგრეული. ამოსულია დიდი ზომის მცენარეები.

## სოფ. ზონკარი

# დარბაზი

### ადრე შუა საუკუნეები.

დარბაზი დგას სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე, გზის პირას ტყეში. ძეგლი ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს. ჩრდილოეთი კედლის სიმაღლე 2 მეტრს აღწევს, დანარჩენი კედლები შემორჩენილია 4-5 მეტრზე.




გეგმა.

დასავლეთის, სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლებში სწორკუთხა ნიშებია მოთავსებული. არქიტრავული შესასვლელი დასავლეთიდანაა. სამხრეთი კედელი ცენტრში გამონგრეულია. მიწის დონე ძალიანა არის აწეული.

## სოფ. ზონკარი

# ღვთისმშობლის ეკლესია

### VIII-IX სს.

სოფლის სასაფლაოზე მდებარე ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია ფიქალით.

დარბაზული ეკლესია სწორკუთხა საკურთხევლით სრულდება. აღმოსავლეთი კედლის ცენტრში გაჭრილია შეისრულთაღოვანი სარკმელი. საკურთხევლის წინ ქვის კანკელის ფრაგმენტებია შემორ-



ინტერიერი, ჩრდ. აბსიდის ფრაგმენტი.



ინტერიერი, კანკელის ფრაგმენტი.



ინტერიერი, აფისდის ფრაგმენტი.



ინტერიერი, სამხრ. კედლის ფრაგმენტი.

ჩენილი.

ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებში მოთავსებული ტრომპების საშუალებით ნახევარსფერულ კონქზე ხდება გადასვლა. სარკმლის აქეთ-იქით, ქვედა ნაწილში თაღოვანი ნიშებია.

სამი წყვილი სამსაფეხურიანი პილასტრებით გრძივი კედლები ორ თანაბარ ნაწილად იყოფა - პილასტრების გვერდით საფეხურებს კედლის შეწყვილებული თაღები ეყრდნობა. თაღები, პილასტრები, ტრომპები და სარკმლის წირთხლები შირიმის ქვისაა.

ინტერიერი ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის თაღოვანი სარკმლებით.

დარბაზში დგას დიდი ზომის ბუნის ქვა, რომელშიც მასიური ხის ჯვარია ჩასმული. სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია, ხოლო დასავლეთისა, შიგნით თაღოვანი, გარედან არქიტრავული. სამხრეთ შესასვლელს დიდი ლუნეტი აქვს, რომელიც ამჟამად ამოშენებულია. კარი ნაოთხალია. დასავლეთი შესასვლელი ამოვსებულია მიწით.

ეკლესიის დასავლეთით და სამხრეთით შემორჩენილია მინაშენის ფრაგმენტები.

კამარა და კონქის დიდი ნაწილი ჩამოქცეულია. კედლები დაბზარულია. მიწის დონე საგრძნობლად აწეულია. ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით, მათ შორის მრავლად ყრია საპირე ქვა.

## სოფ. ზონკარი

# ეკლესია-კოშკით

### VIII-IX ს.ს., გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლიდან სამხრეთით 3-4 კმ-ზე, მთაში დგას ეკლესია და კოშკი. ძეგლი ნაგებია ყორექვით კირის ხსნარზე. კონსტრუქციული ნაწილებისათვის გამოყენებულია შირიმის ქვა.

დარბაზული ეკლესია სწორკუთხა საკურთხევლით სრულდება, რომელიც დარბაზისაგან მხრებითაა გამოყოფილი. კონქი გადადიოდა აღმოსავლეთის კუთხეებში შემორჩენილ ტრომპებზე. ჩრდილოეთით, ქვედა დიდი ტრომპის ზემოთ შემორჩენილია ასევე ორი მცირე ტრომპი ერთ ჰორიზონტზე.

სარკმელი მორთულია შირიმის ქვით შიგნიდან.

კამარა შემაგრებული იყო ერთი თაღით, იგი ერთსაფეხურიან



ინტერიერი, აბსიდის ფრაგმენტი.



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

პილასტრებს ეყრდნობოდა, რომელიც პროფილირებული იმპოსტით არის დაგვირგვინებული. დასავლეთ კედელზე მიდგმულ ნახევარპილასტრებს, ასევე ნახევარი თაღი ეყრდნობა. ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია კედლის თაღები, რომელიც კრონშტეინებს ეყრდნობოდა; დღეისათვის კრონშტეინები ჩამოყარდნილია.

აბსიდის სამხრეთით და ჩრდილოეთით თითო ოთხკუთხა ნიშაა. ჩრდილოეთით შემორჩენილია სატრიუმფო თაღისა და საბრჯენი თაღის ქვები, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კი კედლის თაღის ფრაგმენტი.

დასავლეთი სარკმლის ოდნავ შეისრული თაღი შიგნიდან გამოყვანილია შირიმის ქვით.

სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია; მის თავზე ლუნეტია. დასავლეთ კედელზე სარკმლის ქვეშ არის მცირე ზომის ოთხკუთხა ნიშა.



ეკლესიის გეგმა.

კოშკის მხოლოდ სამი სართულია შემორჩენილი, მეოთხესი კი მცირე ფრაგმენტი. სართულებს შორის გადახურვა კოჭებზე ყოფილა, რომელიც დღეს აღარ არსებობს. ამაზე მხოლოდ

ბულეები მიგვანიშნებს. შესასვლელი დასავლეთიდანაა მესამე სართულის დონეზე. მეორე სართულზე ერთი სარკმელია, სამხრეთით.

ეკლესიის კამარა და კონქი ჩამოქცეულია; კონსტრუქციული ნაწილები დაზიანებულია; კოშკი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.

## სოფ. ზონკარი

# ზურგიანი კოშკის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის მიდამოებში, მდ.ლიახვის მარცხენა ნაპირას შემორჩენილია კოშკის ნანგრევი.

კოშკი ნაგებია ფლეთილი და რიყის ქვით, დუღაბზე.

მას ზურგი სამხრეთით აქვს. თითქმის მთლიანად არის შემორ-



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ჩენილი სამხრეთი კედლის დიდი ნაწილი, ზედა სართულზე კი სარკმელია. ნაგებობის გადახურვა ორქანობიანი ყოფილა.

კოშკი ექვსსართულიანი უნდა ყოფილიყო. პირველი სართული მთლიანად მიწითაა ამოვსებული.

ჩრდილო-დასავლეთი კედლები მთლიანად დანგრეულია.




გეგმა.



სამხრეთი კედელი.

## სოფ. თამარაშენი

# მაცხოვრის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

დარბაზული ეკლესია მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე. ძეგლი ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით, სქელ დუღაბზე. ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით შვერილი ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი. სამხრეთით ერთი თაღოვანი ნიშაა, ჩრდილოეთით კი ორი. საკურთხევლის წინ ერთსაფეხურიანი სოლეაა. ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებში შემორჩენილია კანკელის ბუდეები. კამარა და კონქი ხისაა, კამარა ნახევარცილინდრულია. სამხრეთის კედელში ერთი სწორკუთხა ნიშაა.

ინტერიერი ნათდება აღმოსავლეთის და დასავლეთის თაღოვანი



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

და სამხრეთის სწორკუთხა სარკმლებით. იატაკი შელესილია. თაღოვანი შესასვლელი სამხრეთიდანაა. კარი რკინისაა, რომლის ზედა ნაწილში რკინისავე ჯვარია მიკრული.

ეკლესიის საბურავად გამოყენებულია ყავარი.

კამარა და კონქი მრავალ ადგილას ჩამოშლილია. იატაკი დასიანებულია, კედლები დაბზარულია.



მაცხოვრის ეკლესიის გეგმა.

# სოფ. თამარაშენი

## გრიგოლწმინდის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის სამხრეთით 2 კმ-ზე მთაზე, სასაფლაოსთან მდებარე ეკლესია ნაგებია რიყის და ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე. გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლები 3-4 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი, ხოლო სამხრეთით სწორკუთხა ნიშაა. ჩრდილოეთით დევს ბუნის ქვა. შემორჩენილია აბსიდის სამხრეთი მხარის ქვედა ქვები.

შესასვლელი სამხრეთიდანაა. მისი წირთხლები მორღვეულია.



საკურთხევლის ფრაგმენტი




ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ივრეთი

# წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევი

### განვითარებული შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს სოფლის მიდამოებში. ძეგლი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე. მცირე ზომის დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში ვიწრო სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დევს. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით ღრმა, არასწორი ფორმის ნიშებია მოთავსებული. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი იმპოსტებს ეყრდნობა.

გრძივი კედლები შემორჩენილია 2-3 მეტრის სიმაღლეზე, დასავლეთი კედელი კი უფრო დაბალია. სამხრეთით ერთი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სამხრეთის შესასვლელი თაღოვანია. ეკლესიის ფასადები სადაა. ინტერიერში ყრია ჩამონაშალი ქვები. ეკლესიის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.



ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ივრეთი

# ზურგიანი კოშკის ნანგრევი

ძეგლი მდებარეობს სოფლის მიდამოებში, მთაზე. ნაგებობის სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფლეთილი ქვა, წყობა მშრალია.

ნაგებობა გეგმით ოვალურია, დასავლეთ კედელში ერთი სწორკუთხა ნიშით.

კედლების სიმაღლე 1 მეტრს აღწევს. ტერიტორიაზე მიმობნეულია ჩამონაშალი ქვები.

ძეგლის დათარიღება რთულია.




ნაგებობის გეგმა.

# სოფ. ინაური

## ციხე

### გვიანი შუა საუკუნეები.

ძეგლი მდებარეობს სოფლიდან სამხრეთით 1-კმ-ზე.

ციხე ნაგებია ფლეთილი ქვით - დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.

ციხის ღერძი განვითარებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, დაახლოებით 15 მეტრის სიგრძეზე. ნაგებობიდან შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების მცირე ფრაგმენტები. ციხეს განივი კედელი ორ არათანაბარ ნაწილად ჰყოფს. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დიდი ზომის სწორკუთხა სარკმლებია, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი ნახევარწრიული კონტრფორსი.

ციხესთან მისასვლელი ჩრდილო-დასავლეთიდანაა, დასავლეთ კედელს კოშკი ებჯინება. კოშკი შემორჩენილია ოთხი სართულის დონეზე. პირველი სართულის აღმოსავლეთ კედელში არქიტრავული შესასვლელია გაჭრილი. კარი ნაოთხალია; დატანებული აქვს საურდულე. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში მოთავსებულია დიდი ზომის, ნახევარწრიული ნიშები, რომელთა კონფიგურაცია ფასადებზეც მეორდება. ჩრდილოეთ ნიშში გაჭრილია სათოფური. დასავლეთ კედელს ღიობი ემჩნევა.

კოშკის II, III და IV სართულების აღმოსავლეთ კედლებში თითო სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.



სქემატური გეგმა.



ინტერიერის ფრაგმენტი

შემორჩენილია სართულშუა გადახურვის კოჭების ბუდეები.

კოშკის და ციხის ნაწილი განადგურებულია. მიწის დონე ძლიერ აწეულია. შემორჩენილი კედლები მრავალ ადგილას დაბზარულია.

## სოფ. ინაური

# ზურგიანი კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლიდან ნახევარი კმ-ზე მდებარე კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, წყობა მშრალია.



**ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.**

ზურგიანი კოშკი ოთხი სართულის დონეზეა შემორჩენილი. მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელში გაჭრილია არქიტრავული შესასვლელი. კარი ნაოთხალია. დატანებული აქვს საურდულე. კოშკის შესასვლელის თავზე, მესამე სართულზე სწორკუთხა სარკმელია. შემორჩენილია სართულშუა გადახურვის ბუდეები.



ზურგიანი კოშკის გეგმა.

კოშკის გარშემო მიწის დონე აწეულია.

მეოთხე სართულის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია.

## სოფ. ინაური

# ზურგიანი კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

კოშკი დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთით მთის ბორცვზე.

ძეგლი ნაგებია მოწითალო ფერის, ფლეთილი ქვით დუღაბზე. გეგმით სწორკუთხა, დასავლეთის მხრიდან ზურგიანი კოშკისაგან შემორჩენილია ექვსი სართული. ყველა სართულის აღმოსავლეთ კედელში თითო სათოფურია.

პირველი სართული ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით, მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელში გაჭრილია არქიტრავული შესასვლელი, ნაოთხალი კარით.

მეექვსე სართულისაგან კი მხოლოდ დასავლეთის კედლის ფრაგმენტებია შემორჩენილი.



ზურგიანი კოშკის გეგმა.

## სოფ. ინაური

# ნაგებობის ნანგრევი

სოფლიდან სამხრეთით, 1 კმ-ის დაშორებით, მთის ფერდზე აღმართული ნაგებობის სამშენებლო მასალად გამოყენებულია რუხი ფერის ფლეთილი ქვა. წყობა მშრალია.

შენობა გეგმით კვადრატს უახლოვდება. მისი კედლები შემორჩენილია 3,5 მ. სიმაღლეზე. შესასვლელი და სარკმლები არსად არ იკითხება. ნაგებობა შიგნიდან ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით.

ძეგლს დასავლეთიდან მართკუთხა მინაშენი აქვს, რომელიც ფლეთილი ქვითაა ნაგები. წყობა მშრალია. მინაშენის კედლების მხოლოდ მცირე ნაწილებიდა შემორჩენილა.

ძეგლის დათარიღება დაზიანების გამო რთულდება.

## სოფ. ისროლისხევი

# მაცხოვრის ეკლესია

### VIII-IX სს.

ეკლესია მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე.

ძეგლი ნაგებია ფლეთილი ქვით დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.

სწორკუთხა გეგმის დარბაზული ეკლესიის აღმოსავლეთით, კოლოფა საკურთხევლის ცენტრში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რომლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. ჩრდილოეთით მოთავსებულია სწორკუთხა ნიშა. სფერულ კონქზე გადასვლა ტრომპების საშუალებით ხდება. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. აბსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში კი მიშენებულია კიდევ ერთი ტრაპეზის ქვა.




მაცხოვრის ეკლესიის გეგმა.

ეკლესიის ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღები

კრონშტეინებს ეყრდნობა. შემორჩენილია კამარის და თაღების ქვედა წყობა. კონსტრუქციული ნაწილებისათვის გამოყენებულია ქართული აგური.

დარბაზი ნათდება სამხრეთის და დასავლეთის სწორკუთხა სარკმლებით.

ჩრდილოეთის შესასვლელი არქიტრავულია. შესასვლელის თავზე ღრმა ნიშაა.

კამარის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. კედლები დაზიანებულია. იატაკი ამოვსებულია მიწით.



ხედი აღმოსავლეთიდან.

## სოფ. ისროლისხევი

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები.

კოშკი ნაგებია ფლეთილი ქვით. წყობა მშრალია.

ოთხკუთხა კოშკისაგან შემორჩენილია ორი სართული. პირველი სართულის დასავლეთ კედელში არქიტრავული შესასვლელია გაჭრილი. შესასვლელის თავზე მეორე სართულის დონეზე ვიწრო სარკმელია. სამხრეთ კედელში ერთი სწორკუთხა, ფართო სარკმელი და ერთი ნიშაა მოთავსებული. ჩრდილოეთ კედელში კი სამი, სხვადასხვა ზომის, სწორკუთხა ნიშაა.

ნაწილობრივ არის შემორჩენი-



კოშკის გეგმა.



**ხედი დასავლეთიდან.**

ლი მეორე სართულის კედლები. კოშკი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით. ძეგლზე ამოსულია დიდი ზომის მცენარეები.

## სოფ. ისროლისხევი

# ღვთისმშობლის ეკლესია

### VIII-IX სს.

ძეგლი მდებარეობს სოფლის მიდამოებში.

ეკლესია ნაგებია ადგილობრივი წარმოშობის რუხი ფერის ქვით დუღაბზე. წყობა ქაოსურია.

დარბაზული ეკლესია აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ჩრდილოეთ ნაწილში შემორჩენილია ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები. აბსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ტრაპეზის ქვა დგას, საკურთხეველში მოთავსებულია ოთხი სწორკუთხა ნიშა, აქედან სამი აღმოსავლეთით, ერთი სამხრეთით. სფერულ კონქზე გადასვლა ხდება ტრომპების საშუალებით. სატრიუმფო თა-

დი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

გრძივი კედლები ორსაფეხურიანი პილასტრების საშუალებით ორ ნაწილად იყოფა. მათ ეყრდნობა როგორც კედლის თაღები, ასევე ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღებიც. დასავლეთი თაღები კუთხის პილასტრებს ეყრდნობა.

ეკლესია განათებულია სამხრეთის და დასავლეთის თაღოვანი სარკმლებით. დარბაზს ორსაფეხურიანი ხარისხი შემოუყვება.

სამხრეთი შესასვლელი არქიტ-



ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.



აღმოსავლეთი ფასადის სარკმელი.

რავულია. კარი ნათოხალია. ეკლესიას სამხრეთით სწორკუთხა მინაშენი აქვს, რომლის შესასვლელი გაჭრილია აღმოსავლეთის კედელში. აქვეა მოთავსებული სწორკუთხა სარკმელიც. მინაშენის დასავლეთის კედელში ერთი სწორკუთხა ნიშაა.

ეკლესიის გარშემო იკითხება გალავნის ფრაგმენტები.

ეკლესიის კედლები დაზიანებულია. ჩრდილოეთ ფასადს დიდ ადგილზე პერანგი აქვს შემოცლილი. მინაშენის სახურავი ჩამონგრეულია. ეკლესია მიწითაა ამოვსებული.

## სოფ. კეხვი

# წმ. გიორგის ეკლესია

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლიდან სამხრეთით 1 კმ-ზე მდებარე დარბაზული ეკლესია ჩრდილოეთი მინაშენით, ნაგებია შერეული მასალით - რიყის, ყორე და თლილი ქვით. იგი ძლიერ დაზიანებულია: საერთოდ არ არ-



აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტი.

სებობს დასავლეთი კედელი, დანარჩენები კი 2 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი.

დარბაზს აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდა აქვს. ძირითად სივრცესა და ჩრდილოეთის მინაშენს შორის კედელი დანგრეულია. მინაშენი აღმოსავლეთით სწორკუთხად მთავრდება, ცენტრში კი თლილი ქვების ჩარჩოიანი სარკმელია. დარბაზის აბსიდში დგას ტრაპეციის ფორმის ქვის ტრაპეზი.




წმ.გიორგის ეკლესი გეგმა.

## სოფ. კეხვი

# ცილინდრული კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები.



II-სართულის ინტერიერის ფრაგმენტი.

ცილინდრული კოშკი, რომელიც მდებარეობს ზაურ ბლიაძ-ის კარ-მიდამოში, ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია პირველი და მეორე სართულის კე-




ცილინდრული კოშკი.
I და II სართულის გეგმა.

დლების ქვედა ნაწილები. შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია. მისგან გადარჩენილია ქვედა ნაწილი. მოგვიანებით პირველ სართულში მოუნგრევიათ შესასვლელი. თავდაპირველად ეს სართული ყრუ სათავსს წარმოადგენდა. ჩრდილოეთით გააჩნია თაღოვანი კარები, რომლის გვერდით, მეორე სართულზე ამავალი, ჩვიდმეტსაფეხურიანი კიბეა. შიდა სივრცე გადახურულია შეისრული გუმბათით. 1,5 მ-ის სიმაღლეზე კედელში ჩატანებულია 28 გამჭოლი, ირიბი ხვრელი. დარბაზი განათებულია სამი სარკმლით, რომლებიც საკმაოდ ზევითაა კედლებში დატანებული და მათი ღიობები ირიბად ეშვებიან დარბაზისაკენ.

მეორე სართულის კედლები რამდენიმე ადგილას დანგრეულია, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კარებია, იქვე პირველ სართულზე ჩამავალი კიბეა. კედლის აღმოსავლეთ ნაწილში თაღოვანი "თაღჩაა", ცენტრში სათოფურით.

კოშკი ნაშენია მთლიანად რიყის ქვისაგან. ამჟამად ავარიულია, ჩამოდის წყალი.

## სოფ. კეხვი

# წმ. გიორგის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე, ნაგებია რიყის ქვით, რომელიც მოგვიანებით შეუბათქაშებიათ.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი. მის ძირში ხის ტრაპეზია. აბსიდის ჩრდილოეთ მხარეს თაღოვანი, ხოლო სამხრეთით სწორკუთხა ნიშაა მოთავსებული. სატ-



წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.

რიუმფყო თაღი მარტივპროფილიან კრონშტეინებს ეყრდნობა. კონქი ნახევარსფერულია. საკურთხევლის წინ ხის კანკელი და ერთსაფეხურიანი სოლეაა. კანკელი მოხატულია.

ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღები, პილასტრების მარტივად პროფილირებულ კაპიტელებს ეყრდნობა.

დასავლეთით მოწყობილია ხის პატრონიკე.

ინტერიერი ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის თაღოვანი სარკმლებით, იატაკი მიწურია. ინტერიერი შებათქაშებულ-შეთეთრებულია.

თაღოვანი შესასვლელები დასავლეთიდან და სამხრეთიდანაა. სამხრეთი შესასვლელის ზედა ნაწილი მორთულია აგურის კბილანისებრი წყობით. კარის თავზე ამოკვეთილი ჯვარი დაფერილია ყავისფერი ზეთის საღებავით.

ანალოგიური მორთულობა აქვს დასავლეთ ფასადსაც. ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ფასადები სადაა.


დასავლეთი ფასადი.

ლავგარდანი აგურისაა. საბურავად გამოყენებულია თუნექი. სამხრეთი ფასადისათვის შექმნილია რიყის ქვის ხელოვნური სუბსტრუქცია.

ინტერიერში ბათქაში მრავალ ადგილას ჩამოცვენილია. იატაკი დაზიანებულია. კონქი დაბზარულია.

# კეხვის ციხე

## განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები.

კეხვის ციხე დგას სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ-ზე, შედარებით ადვილად მისადგომ მთაზე. მშენებლებისათვის, როგორც ჩანს, მთავარი იყო არა მიუდგომლობა, არამედ ადგილმდებარეობა - ციხიდან კონტროლდება დიდი ლიახვის ხეობა, გზა და მიმდებარე ქედების კალთები.

ციხე სამი ნაწილისაგან შედგება. ჩრდილოეთით, ყველაზე ამაღლებულ ადგილას ციტადელია - დიდი ზომის (დიამეტრი -9 მ.) ცილინდრული კოშკი. კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კედლებიდან იწყება გალავანი. იგი სამხრეთით წაგრძელებული და უსწორმასწორო გეგმისაა. გალავანს სამხრეთიდან მიდგმული ჰქონდა მესამე გალავანი, რომელიც საძირკვლის სახითაა შემორჩენილი. კოშკის და გალავნის ზედა ნაწილები მორღვეულია. კოშკს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს - მიწის დონიდან 4 მეტრზე. პირველი სართულის კედლებს შემორჩა ხუთი პილასტრის კვალი. მათზე გადასული თაღები იჭერდნენ გადამხურავ გუმბათს. პირველი სართულის გარდა, კედლები გვიანი პერიოდისაა. გალავან-



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ში შესასვლელი ჩრდილო-დასავლეთიდანაა; გარედან მიშენებული ჰქონდა კარიბჭე; სამხრეთ და დასავლეთ ნაწილებში გაჭრილია სათოფურები და ნიშები.

გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩართულია მცირე კოშკი, რომელიც სამი სართულის სიმაღლეზე შემორჩა. მის გვერდით წყლის რეზერვუარია, აღმოსავლეთით - კედელში ჩატანებულია საპირფარეშო. მეორე გალავანი (სამხრეთი) მთლიანად დანგრეულია. ციხე ნაშენია ფლეთილი და რიყის ქვით.

წერილობით წყაროებში კეხვის ციხე იხსენიება 1578 წლის ამბებთან დაკავშირებით, როდესაც მეფე სიმონ I-მა დაამწყვდია თურქთა მომხრე ვახტანგ მუხრან-ბატონი. ვახუშტის ცნობით, 1625 წელს, გიორგი სააკაძემ სხვა ციხეებთან ერთად გაამაგრა კეხვის ციხეც. XVIII ს-ის მეორე მეოთხედში ციხეს ფლობს გივი ამილახვარი. მან 1736 წელს უარი თქვა დამორჩილებოდა ირანის შაჰს და კეხვის ციხეში გამაგრდა; მოიგერია ირანელების სამი შეტევა და მათი ჯარი გაანადგურა. შემდგომში გივი ამილახვარი სურამის ციხეში გადავიდა და გარნიზონის უფროსად დატოვა არაგვის ერის-



**საერთო ხედი.**

თავის ვაჟი სარიდანი. 1744 წელს თეიმურაზ II ალყა შემოარტყა ციხეს და ოთხი თვის უშედეგო ბრძოლის შემდეგ ზარბაზნების ძალით აიძულა სარიდანი წასულიყო მოლაპარაკებაზე. მეფემ უყოყმანოდ მიიღო ციხისთვის ყველა პირობა და ამ უკანასკნელმაც მხოლოდ ამის შემდეგ ჩააბარა მას ციხე. ირანის შაჰმა გამოგზავნა ამირინდო ამილახვარი დავალებით - დაენგრია სურამის და კეხვის ციხეები. ვინ აღადგინა ციხე - არ მოგვეპოვება ცნობები. მოგზაურმა გიულდენშტედტმა 1770 წელს მოინახულა ციხე და მის შესახებ წერს, რომ ციხე უმოქმედოა. შესაძლებელია მას მხედველობაში ჰქონდა ის, რომ აქ მუდმივი გარნიზონი არ იდგა. შემოინახა ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი სარდალ ამილახვრისადმი, სადაც ის წერს, რომ ამაგრებს კეხვის ციხეს და შიგ ხალხს აყენებს. წერილი დათარიღებულია 1798 წლით.



**კეხვის ციხის გეგმა.**



**დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი.**

# წინა დედაღვთისას ნაეკლესიარი

## განვითარებული ფეოდალური ხანა.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ-ზე დგას მცირე ზომის, ძლიერ დაზიანებული დარბაზული ეკლესია. მისი კედლები 2 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის და ფლეთილი ქვა.

აღმოსავლეთით შებრტყელებული ნახევარწრიული აბსიდით სრულდება. მის კუთხეებში ორი



ნაეკლესიარის გეგმა.



კანკელის ქვის ფრაგმენტი.

სწორკუთხა ნიშაა. ინტერიერი ამოვსებულია ნანგრევი ქვებით. ეკლესიის ჩრდილოეთი ფასადი მთლიანად დაფარულია ფერდობიდან ჩამოშლილი მიწით.

ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილშია. აბსიდში შენახულია რელიეფური ფილის ფრაგმენტი (შესაძლებელია კანკელის ქვის ფრაგმენტი), რომელზედაც გამოსახული იყო "აყვავებული ჯვრის" კომპოზიცია. მისგან გადარჩენილია ჯვრის ქვედა ნახევარი. ქვედა მკლავის ორივე მხარეს გამოსახულია "ბრიალები". კომპოზიცია ჩასმულია წნულ ჩარჩოში.

## სოფ. კულბითი

# წმ. მარინეს ნაეკლესიარი

### შუა საუკუნეები.

ეკლესია ნაგები იყო ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე. შემორჩენილია ჩრდილოეთი კედელი, რომლის სიმაღლე 1 მეტრს აღწევს. დანარჩენი კედლები მიწასთანაა გასწორებული. გეგმა არ იკითხება. ინტერიერში ჩრდილოეთ კედელზე პილასტრის ქვედა ქვა ჩანს.

ძეგლის ტერიტორიაზე ყრია ქვები, მათ შორის შირიმის კარგად დამუშავებული კვადრები.



ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.




წმ.მარინეს ნაეკლესიარის გეგმა.

# წმ. გიორგის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის სამხრეთით 1 კმ-ზე მდებარე დარბაზული ეკლესია ძლიერ დანგრეულია. გადარჩენილია დასავლეთი კედელი, ჩრდილოეთი კედლის მცირე მონაკვეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე. ინტერიერში აღმოსავლეთით კედელი ოდნავ მრგვალდება. დასავლეთი კედლის ცენტრში სარკმელია შემორჩენილი. ეკლესია ნაშენია რიყისა და ფლეთილი ქვით.




**წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.**



**დასავლეთი ფასადი.**

## სოფ. კუსირეთი

# ეკლესია

## VIII-IX სს.

ძეგლი მდებარეობს სოფლის სამხრეთით 1 კმ., სასაფლაოზე.

ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა:

"ქრისტე შეიწყალე თეკლა".

ეკლესია ნაგებია შირიმისა და ქვიშაქვის კვადრებით. კონსტრუქციულ ნაწილებზე გამოყენებულია მოღვინისფრო თლილი ქვა.

გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით მსუბუქად წახნაგოვანი შვერილი აბსიდით. საკურთხევლის მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილია შემორჩენილი, რომლის სიმაღლე 7-8 მეტრს აღწევს. აბსიდის წინ ქვის კანკელის ფრაგმენტებია.



აღმოსავლეთი ფასადი.

შიდა სივრცეს სამსაფეხურიანი პილასტრები ორ ტოლ ნაწილად ყოფს. პილასტრების კაპიტელებს კედლის თაღები და კამარის საბრჯენი თაღი ეყრდნობოდა. დასავლეთი კედლის შეისრული თაღებ[ი] იმპოსტებს ეყრდნობა. ამავე კედელში გაჭრილია შიგნით თაღოვანი, გარედან არქიტრავული შესასვლელი.

ინტერიერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით. ეკლესიას სამივე მხრიდან გარშემოსავლელი ჰქონდა. ამჟამად გარშემოსავლელი

მთლიანად განადგურებულია. ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია კრონშტეინები, რომლებსაც კამარის საბრჯენი თაღები ეყრდნობოდა.

დასავლეთ ფასადზე შემორჩენილია მარტივპროფილიანი კარნიზის ნაწილი.

ეკლესიის სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლების დიდი ნაწილი მთლიანად განადგურებულია. შემორჩენილი დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები მრავალ ადგილას გაბზარულ-ჩამონგრეულია. კედლების სიმაღლე ზოგან 8-9 მეტრს აღწევს, ზოგან უფრო ნაკლებს. ეკლესიის ირგვლივ მიწის დონე საკმაოდ აწეულია.



ეკლესიის გეგმა.



ინტერიერი, დასავლეთი კედელი.

## სოფ. კუსირეთი

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები (XVII ს.).

სოფლიდან სამხრეთით 1 კმ. მდებარე ექვსსართულიანი კოშკის გეგმა კვადრატს უახლოვდება. ზემო ნაწილში საბრძოლო ბანია. პირველი სართული ქვის ჭერითაა გადახურული, დანარჩენ სართულებს ძელური გადახურვა ჰქონია.

პირველი სართულის გადახურვა გუმბათისებრია. ჩრდილო-დასავლეთ კედლის ცენტრში ვიწრო და დაბალი შესასვლელია, სამხრეთ-დასავლეთ კედლის ცენტრში მაღალი, თაღოვანი ბუხარია, გვერდებზე სწორკუთხა ნიშებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში ორი მცირე ირიბად გაჭრილი სათოფურია. ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის კუთხეებში ნიშებია, ცენტრში - სათოფური.



ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

მეორე სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის ცენტრში - თაღოვანი ბუხარია, მის გვერდებზე - თითო სათოფურია. ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლის ცენტრში თაღოვანი წირთხლებიანი შესასვლელია, აღმოსავლეთით - სათოფური. ორ დანარჩენ კედელში გაჭრილია ორ-ორი სათოფური. იატაკის ჩრდილოეთ კუთხეში გაჭრილია ხვრელი პირველ სართულში ჩასასვლელად.

მესამე სართულის ჩრდილო-დასავლეთი კედლის ცენტრში თაღოვანი ბუხარია. მისგან დასავლეთით შეწყვილებული სათოფურია. ჩრდილოეთით ერთი სათოფურია, ჩრდილო-აღმოსავლეთ კე-

დელში - ორი. ასეთივე სათოფურებია დანარჩენ ორ კედელშიც. აღმოსავლეთი კუთხის სიღრმეში მოთავსებულია ტუალეტი. იატაკის კოჭებისაგან მხოლოდ კედელში ჩასმული ბოლოები გადარჩა.

მეოთხე სართულის კედლებში ორ-ორი სათოფურია. იატაკის კოჭებისაგან გადარჩა ერთი ძელი.

მეხუთე სართულის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ცენტრში თაღოვანი ბუხარია.

ჩრდილოეთით ორი სათოფურია. სამხრეთით - ასევე ორი სათოფური. მათ ზემოთ ვიწრო სარკმელია. სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის ცენტრში ვიწრო სარკმელია, გვერდებზე ორ-ორი სათოფურით. სამხრეთ-დასავლეთ კედელში ოთხი სათოფურია; ჩრდილო-დასავლეთ კედელში - ცენტრში სარკმელი, გვერდებზე - ორ-ორი სათოფური. ჭერისაგან გადარჩა სამი დამპალი კოჭი, იატაკისაგან - ოთხი.

VI სართულის აღწერა შეუძლებელი (სპეც.მოწყობილობის გარეშე ასვლა არ ხერხდება).

საბრძოლო ბანს შემორჩენილი აქვს, ძალზე დაზიანებული რამდენიმე ქონგური.

კოშკი ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე.

ფასადების კუთხეები თლილი კვადრებითაა ამოყვანილი, სათოფურებსა და სარკმლების თავზე მუხის მასიური ხეა გადებული.

ფასადების ზოგიერთი ნაწილი დაზიანებული ყოფილა და შემდგომში ხელახლა აღუდგენიათ.



კოშკის სართულების გეგმა.

## სოფ. ლაცაური

# ნაგებობის ნაშთი

### შუა საუკუნეები.



ნაგებობის ნაშთი. დასავლეთი კედელი.

სოფ. ლაცაურში, მოსახლის კარ-მიდამოს წინ, დანგრეული ნაგებობის ნაშთია შემორჩენილი.

ნაგებობა ვითარდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე. კედლები შემორჩენილია 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე. ნაშენია რუხი ფერის ქვით; ტერიტორია ამოვსებულია მიწით და ქვით. ძეგლი დაფარულია მცენარეებით.

## სოფ. ლაცაური

# კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფ. ლაცაურში მოსახლის კარ-მიდამოში დგას 5 სართულის დონეზე შემორჩენილია ზურგიანი კოშკი, ნაგები ადგილობრივი წარმოშობის, მოწითალო ფერის თლილი ქვით. ქვის წყობა მშრალია, თარაზული.

არქიტრავული შესასვლელი დატანებულია დასავლეთიდან, მეორე სართულზე.

ფასადები ბევრ ადგილას დაზიანებულია, გადახურვა მთლიანად ჩამონგრეულია.



კოშკი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

კოშკი შიგნიდან ამოვსებულია მიწით და ჩამოცვენილი ქვით.

## სოფ. ლაცაური

# კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლის განაპირას, ნაკრძალის ტერიტორიაზე, მთის ფერდობზე დგას ზურგიანი კოშკი (5 სართულის დონეზე). კოშკი ნაგებია მოყვითალო ფერის ნათალი ქვის თარაზული წყობით. კედლები რამდენიმე ადგილას დაბზარულია. შემორჩენილია გადახურვის ძელის ბუდეები. შიგნიდან კოშკი ამოვსებულია მიწით და ჩამოცვენილი ქვით. ძეგლზე ამოსულია მცენარეები.



კოშკი. ხედი აღმოსავლეთიდან.

## სოფ. ლაცაური

# კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

ხეობის პირას, მთის ფერდობზე დგას კოშკის ნანგრევი. აღმოსავლეთი კედელი 4 სართულის დონეზეა შემორჩენილი, დასავლეთი კი მთლიანად დანგრეულია.

ზურგიანი კოშკი ნაგებია რუხი ფერის თლილი ქვით დუღაბზე; ქვის წყობა ქაოსურია. კოშკი ამოვსებულია მიწით და ქვით.



ნაეკლესიარი. დასავლეთი კედლის ფრაგმენტი.

## სოფ. ლეკვანი

# ნაეკლესიარი

სოფლის სასაფლაოზე მდებარე ეკლესიიდან შემორჩენილია დასავლეთი კედლის ქვედა წყობა. გეგმის წაკითხვა შეუძლებელია.

## სოფ. მარალეთი

# ნაეკლესიარი

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით. კედლები შემორჩენილია 1-1,5 მეტრზე, ზოგან უფრო ნაკლები.

გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარ-



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.




ნაეკლესიარის გეგმა.

წრიული აბსიდით. აბსიდის მხოლოდ ქვედა ქვები ჩანს.

შესასვლელი სამხრეთით იკითხება. მიწის დონე საგრძნობლად აწეულია.

## სოფ. მერია

# ღვთისმშობლის ეკლესია

### XII-XIII სს.

ეკლესია მდებარეობს ნასოფლარ "დიდი ღრომის" ტერიტორიაზე. ნაგებია დიდი ზომის შირიმის ქვით და კარგად დამუშავებული ადგილობრივი ჯიშის ქვის კვადრებით. წყობა თარაზულია.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ძირში და აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით ნახევარწრიული ფორმის ნიშებია მოთავსებული. აბსიდის კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. აბსიდში შემორჩენილია მოხატულობის კვალი.

საკურთხევლის წინ შემორჩენილია კანკელის ფრაგმენტები. ქვის კანკელი მდიდრულადაა მოჩუქურთმებული. ჩუქურთმაში წარმოდგენილია გეომეტრიული წნულის მრავალსახეობა. იგი დიდი ოსტატობითაა შესრულებული.

გრძივი კედლები ორსაფეხურიანი პილასტრების საშუალებით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრებს კამარის საბრჯენი თაღი და კედლის თაღები ეყრდნობა. სამხრეთი პილასტრი პირდაპირ



ღვთისმშობლის ეკლესია. დასავლეთი ფასადი.

შესასვლელის წირთხლს ებჯინება. შესასვლელს ტიმპანი აქვს.

დარბაზი ნათდებოდა სამხრეთიდან და დასავლეთიდან თაღოვანი სარკმლებით.

სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებს ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს.

ეკლესიას სამხრეთიდან ეკვდერი და კარიბჭე აქვს. ეკვდერი აღმოსავლეთით აბსიდით სრულდება, რომლის ცენტრში სარკმელია გაჭრილი. ეკვდერი კარიბჭეს თაღოვანი გასასვლელით უკავშირდება.

ღია თაღებიან კარიბჭეს ვარსკვლავა კამარა აქვს, რომლის ცენტრში მოთავსებულია ლილვოვანი ვარდული. კარიბჭე გადახურუ-



ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტი.



ინტერიერი. ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტი.

ლია ორქანობიანი სახურავით. კარიბჭეს ფართო, თაღოვანი შესასვლელი აქვს. კარიბჭე და ეკვდერი შირიმის ქვითაა მოპირკეთებული.

ეკლესიის ფასადები მოკლებულია დეკორატიულ მორთულობას. აღმოსავლეთ სარკმელს სამმაგი ლილვი აჩარჩოებს, ხოლო დასავლეთ სარკმელს - ორმაგი ლილვი. ამჟამად ჩარჩოების მხოლოდ ქვედა ნაწილებია შემორჩენილი.



ეკლესიის გეგმა.

ეკლესიის კარნიზის შემორჩენილი ნაწილი თარო-ლავგარდანია.

ეკლესია დაზიანებულია. კამარისა და კონქის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. იატაკი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით. ფასადებს დიდ ნაწილზე საპირე ქვა შემოცლილი აქვს. ჩრდილო-დასავლეთი კუთხე მორღვეულია. კედლები დაბზარულია.

## სოფ. ნაქალაქევი

# წმ. გიორგის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფელში დგას წმ. გიორგის მცირე ზომის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია, ნაგებია ძირითადად შირიმის ქვით. გამოყენებულია ყორე-ქვაც.

ეკლესიას ღრმა, შვერილი, ხუთწახნაგა აბსიდა აქვს. ინტერიერში აბსიდის ჩრდილოეთით ერთი თაღოვანი ნიშაა. საკურთხევლის წინ სოლეაა.

ეკლესიას მოკლე მკლავები აქვს. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წახნაგოვან ყელზე გადასვლა განხორციელებულია



წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.

აფრების საშუალებით.

აბსიდის კონქი ამოყვანილია მცირე ზომის, შირიმის ქვით. აღმოსავლეთით ერთი სწორკუთხა ნათხალი სარკმელია. ეკლესიას სამივე მხრიდან კარიბჭე აქვს. ამათგან დასავლეთისა თითქმის განადგურებულია. ისინი სამივე მხრიდან თაღებითაა გახსნილი. სამხრეთი კარიბჭით თუ ვივარაუდებთ, გადახურვა ნახევარსფერულია.

აღმოსავლეთი კედლიდან სარკმლის საპირე ქვები ჩამოყრილია. ეკლესიას დეკორატიული მორთულობა არ გააჩნია, გარდა გუმბათის წახნაგებში მოთავსებული თაღედისა.

ეკლესიას სამი მხრიდან ფრონტონები აქვს. ნაგებობას ასრულებს თარო ლავგარდანი.



**ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.**

## სოფ. ნიფარეთი

# ნაეკლესიარი

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლიდან სამხრეთით 1 კმ-ზე შემორჩენილია ნაეკლესიარი ქვის გროვის სახით. აქა-იქ მიმობნეულია ნათალი და შირიმის ქვა. ქვებისაგან მოუწყვიათ სალოცავი, რომელიც გადახურულია ოთხ ხის სვეტზე დაყრდნობილი შიფერით.

## სოფ. ნიში

# ნიშა

### XX ს.

ნიშა დგას ძველი ეკლესიის ადგილას.

სალოცავი ნიშა აშენებულია ფლეთილი ქვით დუღაბზე. ფორმით სწორკუთხაა.

## სოფ. ნოგყაუ (ახალსოფელი)

# ნიშა იჭნა (დღეობა)

### XX ს.

ნიშა დგას ძველი ეკლესიის ადგილზე. აგებულია ეკლესიის ძველი ქვებით, რომელიც სოფელ პანტნაურიდან ჩამოუტანიათ. ქვებზე გადასხმულია ბეტონი. შიგადაშიგ მოსჩანს ფიქალი.



ნიშა.

# სოფ. პატარა დრომი

# ღვთისმშობლის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია დგას ადგილ "ჯვარეთში" და ნაგებია რიყის ქვით სქელ დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით ნიშებია მოთავსებული.



ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.

საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით. გრძივ კედლებზე შემორჩენილია პილასტრების ქვედა ნაწილები. თაღოვანი შესასვლელი დასავლეთიდანაა. სამხრეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით თითო სარკმელია გაჭრილი. დაზიანების გამო მათი ფო-



ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან..

რმები დაუდგენელია.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. მთლიანად არის ჩამონგრეული ჩრდილოეთი კედლის შუა ნაწილი და დასავლეთი ფასადის ზედა ნაწილი. ეკლესია ძლიერ არის დაზიანებული.

## სოფ. პატარა დრომი

# წმ.გიორგის ეკლესია

### VIII-IX სს.

ეკლესია მდებარეობს ადგილ "ჯვარეთში", სასაფლაოზე. ნაგებია როგორც რიყის, ისე ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია ფიქალით. დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნალისებრი ფორმის აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში მასიური ტრაპეზის ქვაა. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით სწორკუთხა ნიშებია. საკურთხეველს ერთსაფეხურიანი ხარისხი მიუყვება. კონქი ნახევარსფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.



ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

საკურთხევლის წინ ქვის კანკელია. გრძივი კედლები პილასტრების საშუალებით ორ ტოლ ნაწილად იყოფა.

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია. მისი საბრჯენი თაღი პილასტრების კაპიტელებს ეყრდნობა. ჩრდილოეთ და დასავლეთ კედელს ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს.

დარბაზი ნათდება აღმოსავლეთის თაღოვა-

ნი და დასავლეთის სწორკუთხა სარკმლებით.

ინტერიერი შელესილია. იატაკი მიწაყრილია. სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია.

აღმოსავლეთი სარკმლის სათავის ქვა შირიმისაა. ქვაზე ამოკვეთილია შეისრული თაღი.



წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.

სამხრეთი ფასადი თითქმის პერანგშემოცლილია. დასავლეთი ფასადის ზედა კუთხეები ჩამონგრეულია. დაზიანებულია ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლებიც. სახურავი მოშლილია. ამოსულია დიდი ზომის მცენარეები.

## სოფ. ორტევი

# წმ. გიორგის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის სასაფლაოზე მდებარე ეკლესია ნაგებია როგორც რიყის, ისე ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე. კუთხეებში გამოყენებულია კარგად თლილი ქვა.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია კოლოფა აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. მის ორსავე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. სატრიუმფო თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა. აბსიდის იატაკის დონე ერთი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკთან შედარებით.




წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრული ფორმისაა. კამარის საბრჯენი თაღი

კრონშტეინებს ეყრდნობა. პილასტრების საშუალებით გრძივი კედლები თითქმის ორ ტოლ ნაწილად იყოფა. პილასტრების კაპიტელები მარტივპროფილიანია. კაპიტელებს და აბსიდის მხრებს კედლის თაღები ეყრდნობა.

დარბაზი ნათდება აღმოსავლეთის და დასავლეთის თაღოვანი და სამხრეთის სწორკუთხა სარკმლებით. დასავლეთი სარკმელი შიგნიდან გარეთ ვიწროვდება.

ინტერიერი შეთეთრებულია, იატაკი დაგებულია ქართული აგურით.

სამხრეთი შესასვლელი თაღოვანია, ტიმპანი სადაა. შესასვლელის ორივე მხარეს კრონშტეინებია.

სამხრეთ ფასადის ქვედა ნაწილში ჩაყოლებულია თლილი ქვის დიდი კვადრები, რომლებზეც ტოლმკლავა ჯვრების რელიეფური გამოსახულებაა.

დასავლეთის სარკმელს შირიმის ქვა აჩარჩოებს. ეკლესიის ფასადები სადაა. კარნიზი მარტივპროფილიანია.

ეკლესია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გადახურულია შიფერით.

ეკლესიაში იატაკი ბევრგან აყრილია. ინტერიერში ნალესობა ჩამოცვენილია. აღმოსავლეთი სარკმელი ძლიერ დაზიანებულია.



**ჩრდილო-აღმოსავლეთი ფასადი.**

## სოფ. რეჭომი

# ციხის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები.

მაღალ მთაზე აღმართული ციხე ნაგები იყო ფლეთილი ქვის მშრალი წყობით. შემორჩენილია ჩრდილოეთი კედლის მცირე ნაწილი, 1 მ. სიმაღლის და ციხის შიდა სათავსის ნანგრევები.

დანარჩენი კედლები განადგურებულია. ციხის ღერძი ვითარდებოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.



ციხის ნანგრევი. ხედი ჩრდილოეთიდან.

## სოფ. რუსთავი

# მთავარანგელოზის ეკლესია

### განვითარებული შუა საუკუნეები.

დარბაზული ეკლესია სამხრეთი მინაშენით, როგორც გარედან ისე შიგნით აგებულია ადგილობრივი ჯიშის ღია მოყვითალო ფერის ქვის უხეშად დამუშავებული კვადრებით.

ინტერიერში აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა ცენტრში ვიწრო სწორკუთხა სარკმლით. აბსიდს სამხრეთით



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

და ჩრდილოეთით ორი სწორკუთხა ნიშა აქვს. ცენტრში კედელზე მიდგმულია ტრაპეზი. აბსიდის მხრები ორსაფეხურიანია. აბსიდა დარბაზისაგან გამოყოფილია ქვისაგან აშენებული და შელესილი მასიური კანკელით. კანკელი 160 სმ-ის სიმაღლისაა, მის სამხრეთ და ჩრდილოეთ კუთხეებში სწორკუთხა ნიშებია. აბსიდის კონქი სფერულია.



მთავარანგელოზის ეკლესიის გეგმა.

ცილინდრული კამარისაგან გადარჩენილია აღმოსავლეთი ნახევარი. გრძივი კედლების ცენტრებში მძლავრი პილასტრებია. დასავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში არქიტრავული შესასვლელია. მეორე შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთშია გაჭრილი. მას გარედანაც და შიგნიდანაც ნალისებრი თაღები, შუაში კი განიერი არქიტრავი აქვს.

მთავარ დარბაზს სამხრეთიდან მიდგმული ჰქონდა მინაშენი. მისგან გადარჩენილია სამხრეთ-დასავლეთი კუთხე და საძირკველი. სამხრეთი ფასადის ცენტრიდან ოდნავ აღმოსავლეთით, კედელში ჩატანებულია კრონშტეინი. სამხრეთ მინაშენს შესასვლელი დასავლეთის კედელში ჰქონდა.

## სოფ. სათიხარი

# ციხე

### XVIII ს-ის დასაწყისი.

ციხე დგას მთაზე. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვებით.

ციხე გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, კუთხეებში ცილინდრული კოშკებით. ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი კოშკები უკეთეს მდგომარეობაშია. დანარჩენი ორი კოშკი მიწის პირამდეა ჩამონგრეული. შემორჩენილი კოშკების პირველი სართული ყრუა, მეორე სართულზე გაჭრილია სათოფურები. სამხრეთ-დასავლეთი კოშკის მეორე სართული დანაწევრებულია ნიშებით, სამხ-

რეთი კედლის ცენტრში ბუხარია.

ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკის კედლის ნაწილი ციხის ეზოში შემოდის. დანარჩენი კოშკები ციხეს გარედან აქვს მიდგმული.

ციხიდან შემორჩენილია დასავლეთი, სამხრეთი და ნაწილობრივ აღმოსავლეთი კედლები. სამხრეთ კედელში მოთავსებულია სამი სწორკუთხა ნიშა. ასეთივე ერთი ნიშაა დასავლეთ კედელში.

ციხესთან მისასვლელი ჩრდილოეთიდანაა.



**სათიხარის ციხე. საერთო ხედი.**

# ღვთისმშობლის ეკლესია

## IX-X სს.

ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებული ნახევარწრიული აბსიდით. მისი შუა ნაწილი დანგრეულია. შემორჩენილია სატრიუმფო თაღის სამხრეთი ქუსლი, რომელიც აბსიდის მხარს ეყრდნობა. აბსიდის გვერდითი ნიშები მიწის დონეზეა.

კედლები შემორჩენილია 6-7 მეტრის სიმაღლეზე. კამარა და კონქი ჩამოქცეულია.

სამხრეთი შესასვლელი მიწის დონიდან 50 სმ-ზე მოჩანს. ინტერი-



ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.



ინტერიერი, ჩრდილოეთი კედელი.

ერი ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით.

ჩრდილოეთი ფასადი პერანგშემოცლილია.

ეკლესიას ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან გარშემოსავლელი აქვს, რომლის კედლები შემორჩენილია დაახლოებით 1-2 მეტრზე.

კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით დუღაბზე.

ეკლესიის კედლების მიჯრით დიდი ზომის ხეებია ამოსული.

## სოფ. სათიხარი

# ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე.

გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ასევე სწორკუთხა საკურთხევლით დასრულებული, რომელშიც გაჭრილია ვიწრო სარკმელი. დასავლეთ კედელში სწორკუთხა ნიშაა. კედლები შემორჩენილია 5-6 მ სიმაღლეზე, ზოგან კი 1-2 მეტრამდე.

შესასვლელი სამხრეთიდან იყო, ამჟამად კარის წირთხლები მორღვეულია.




ეკლესიის გეგმა.



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

## სოფ. საცხენეთი

# კვირაცხოვლის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

დარბაზული, შვერილაბსიდიანი ეკლესია ქართული აგურითაა აშენებული. სამხრეთი კედლის ზედა შუა ნაწილი და კამარის სამხრეთი ნაწილი დანგრეულია. აბსიდა ძირითადი სივრციდან ორსაფეხურიანი მხრებითაა გამოყოფილი. მათზე სატრიუმფო თაღია გადაყვანილი.

აბსიდის ცენტრში თაღოვანი სარკმელია, რომლის ორსავე მხარეს განიერი, თაღოვანი ნიშებია მოთავსებული. თაღი შეისრული ფორმისაა. დასავლეთ კედელზე შეისრული ფორმის თაღია გადაყვანილი.



კვირაცხოველი. ეკლესიის გეგმა.

გრძივი კედლები წყვილი პილასტრებითაა დანაწევრებული, მათზე გადაყვანილი იყო კამარის საბრჯენი თაღები;

ეკლესია განათებულია ოთხი თაღოვანი სარკმლით. შესასვლელი კარი დატანებულია სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან.



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

## სოფ. საცხენეთი

# წმ. გიორგის ეკლესია

### განვითარებული შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას მთაზე. ნაგებია ყორექვით, კირის დუღაბზე.

გეგმით მართკუთხაა, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. მასში სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. სარკმლის ქვედა ნაწილში გამოყენებულია შირიმის ქვები. საკურთხეველში დგას მოწითალო ფერის ქვა, რომელზეც წრეში ჩაწერილი ჯვარია გამოსახული.

კამარის საბრჯენი თაღი, ორსაფეხურიან პილასტრებს, ხოლო კედლის თაღები აღმოსავლეთით აბსიდის მხრებს, დასავლეთით კი ნახევარპილასტრებს ეყრდნობოდა.

ეკლესიას გააჩნია ორი თაღოვანი კარი, ერთი სამხრეთით, ხოლო მეორე დასავლეთით. მოგვიანებით, ნაგებობას სამხრეთ-დასავლეთით გარშემოსავლელი გაუკეთეს. დასავლეთის გარშემოსავლელში შემორჩენილია კამაროვანი გადახურვის ფრაგმენტი და სარკმელი. დასავლეთი მინაშენი ჩრდილოეთით სცილდება ძირითადი ეკლესიის პერიმეტრს. შესაძლებელია გარშემოსავლელი ჩრდილოეთიდანაც იყო.

აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის თავზე მოთავსებულ ქვაზე, ნაკაწრით შესრულებულია ადამიანთა ფიგურები.

ეკლესია ძლიერ არის დაზიანებული; ჩამოქცეულია კამარა და კონქი; კედლების ზედა ნაწილი მორღვეულია. დასავლეთის მინაშენის სამხრეთი ნაწილი ჩამონგრეულია. სარკმლები დაზიანებულია. გადახდილია საბურავი მასალა.



წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.

# სოფ. საცხენეთი

# გომართის ეკლესია

## VIII-IX სს.

დარბაზული ეკლესია სამხრეთით დიდი სწორკუთხა მინაშენით, სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3-4 კმ. მდებარეობს.

აღმოსავლეთით ეკლესიას გააჩნია ოდნავ შებრტყელებული აბსიდა, ცენტრში თაღოვანი სარკმლით. კედელზე მიდგმულია შირი-



**დასავლეთი კედლის ფრაგმენტი.**

მის კვადრისაგან თლილი, ვიწრო და მაღალი ტრაპეცი. კონქი ნახევარსფერულია. აბსიდის ჩრდილოეთ კუთხეში სწორკუთხა ნიშაა. ტრიუმფალური თაღი ეყრდნობა აბსიდის მხრების კაპიტელებს.

გრძივი კედლები ერთი წყვილი პილასტრით ორ მონაკვეთად იყოფა. დაბალ, სამსაფეხურიან პილასტრებს კაპიტელები გააჩნია. მათზე გადაყვანილი იყო თაღი, რომელიც არ შემორჩა. კამარა ცილინდრული იყო. მისი ცენტრალური ნაწილი მთელ სიგრძეზე ჩამონგრეულია. სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში არქიტრავული, ნაოთხალი შესასვლელია.

დასავლეთი კედლის ცენტრში თაღოვანი სარკმელია. ამავე კედელს კუთხის პილასტრები აუყვება, მათში გადაყვანილი თაღი კაპიტელებს ებჯინება. ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა.

თაღები, კაპიტელები, პილასტრები და კონქი შირიმის თლილი ქვითაა ამოყვანილი. კედლები ფლეთილი და შირიმის თლილი კვადრებითაა ნაშენი.

ეკლესიას სამხრეთიდან სწორკუთხა მინაშენი აქვს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია შირიმი და ფლეთილი ქვა. შესასვლელი სამხრეთი კედლის ცენტრშია.

ფასადების კუთხეები თლილი შირიმისაა, კედლები - ფლეთილი ქვის. ეკლესიას შემოუყვება მარტივი, სწორკუთხა პროფილის კარნიზი.

ეკლესიის დასავლეთი ფასადის სარკმლის თავზე ფილაა "აყვავებული ჯვრის" კომპოზიციით. ეს რელიეფური ფილა უფრო კანკელის ფრაგმენტს წარმოადგენს.

გადახურვა არ შემორჩა.



აღმოსავლეთი ფასადი.




გომართის ეკლესიის გეგმა.

# ხეთაგაანთ კოშკი

## გვიანი შუა საუკუნეები.

კოშკი დგას "ხეთაგაანთ" უბანში.

ოთხკუთხა ფორმის კოშკი ძლიერ არის დაზიანებული. შემორჩენილია ჩრდილოეთი კედელი, აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების ჩრდილოეთი მონაკვეთები. კედლები საკმაოდ სქელია. კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი და რიყის ქვით დუღაბის სქელ ხსნარზე. ჩრდილოეთი კედლის ქვედა, ცენტრალურ ნაწილში, პირველი სართულის დონეზე, დიდი ზომის ბუხარია. ექვსიოდე მეტრის სიმაღლეზე (ასევე ჩრდილოეთ კედელში) მოჩანს სართულშუა გადახურვის ძელების ბუდეები. კედლის ზედა ნაწილი დანგრეულია და კოშკის სიმაღლის დადგენა შეუძლებელია.



კოშკის გეგმა.



ინტერიერი, ჩრდილოეთი კედელი.

# სოფ. სვერი

# ზაქარწმინდის ნაეკლესიარი

## განვითარებული შუა საუკუნეები.

ნაეკლესიარი მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით 800 მ. ძეგლის კედლები დაფარულია მიწით და ზედ ამოსული მცენარეებით. შემორჩა ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი ნაწილი და დასავლეთი კედლის ფრაგმენტი. გარშემო მიმობნეულია კარგად დამუშავებული თლის ქვები და კაპიტელი. კაპიტელს ორი პარალელური სწორკუთხა თარო და ერთი ირიბი ზოლი აქვს.

ეკლესიის ბორცვს შემოუყვებოდა გალავანი. მისგან შემორჩა სამხრეთ-დასავლეთის მცირე ფრაგმენტი.




ზაქარწმინდის ნაეკლესიარის გეგმა.



ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

## სოფ. სვერი

# სვერის ციხე

### გვიანი შუა საუკუნეები.

ციხე დგას მდ.ლიახვის მარცხენა ნაპირას, მთაზე.

ვახუშტის მიხედვით: "ამილახორმან წამოიყვანა მაჰმად-ყული-ხანითურთ ოსმალთა სპანი და დაესხა მაჩაბელს გეგუთს, შემუსრეს ციხე სვერისა, რომელი აღაშენა თეიმურაზ მაჩაბელმან".

ძეგლი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე.

ციხე გეგმით წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს. ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში გეგმით კვადრატული კოშკებია, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მცირე ზომის ცილინდრული კოშკი. გარდა ამისა, აღმოსავლეთ კედლის ცენტრს მიდგმული აქვს ნახევარცილინდრული კოშკი. მოცულობით ყველაზე დიდია სამხრეთ-დასავლეთი კოშკი, რომლის პირველი სართული ყრუა; შესასვლელი მოწყობილია მეორე სართულზე, ეზოდან. დასავლეთი კედლის ცენტრში ბუხრის ფრაგმენტებია. მესამე სართულის კედლებში სათოფურებია გაჭრილი. ჩრდილო-დასავლეთ კოშკშიც შესასვლელი მეორე სართულიდანაა. პირველი სართული განათებულია სამხრეთ კედელში გაჭრილი



საერთო ხედი.



სვერის ციხის გეგმა.

მცირე ზომის სარკმლით. ჩრდილოეთ კედელში ორი სათოფურია, ხოლო აღმოსავლეთ კედელში ბუხარია.

აღმოსავლეთის ნახევარცილინდრულ კოშკში გაჭრილია სათოფურები. ციხის კედლები ორიარუსიანია. 3-4 მეტრის სიმაღლეზე კედლების გასწვრივ მოწყობილი იყო საბრძოლო ბილიკი. ჩრდილოეთ კედელში, კვადრატული კოშკის გასწვრივ კერამიკული მილის ფრაგმენტებია.

დასავლეთი კედლის ჩრდილოეთი ნაწილი მთლიანად ჩამონგრეულია. ციხესთან მისასვლელი სამხრეთიდანაა. ღერძი ვითარდება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

## სოფ. სიათა

# ზურგიანი კოშკი

### განვითარებული ფეოდალური ხანა.



ინტერიერი.

კოშკი დგას მდ.პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს, მაღალ მთაზე.

ისტორიულ წყაროებში სიათა იხსენიება ქსნის უკანასკნელი ერისთავის აჯანყებასთან დაკავშირებით.

1777 წელს გიორგი ქსნის ერისთავი მეფეს აუჯანყდა და დიდი ციხეები გაამაგრა. ერეკლემ ქსნის ხევს ბატონიშვილები გიორგი და ლევანი შეუსია, ლიახვისას კი - მილახორი, როცა ყველა ციხე დაკარგა, ერის-

თავმა შორს მთებში მდებარე სიათას მიაშურა. ერეკლემ მთელი ძალები სიათას შემოახვია, რასაც ერისთავმა ვერ გაუძლო და დანებდა.

მდ.პატარა ლიახვის ხეობაში, მარჯვენა მხარეს დგას ზურგიანი კოშკი. მისთვის ისეთი სტრატეგიული ადგილია შერჩეული, საიდანაც შორ მანძილზე კარგად ჩანს მდინარის ორივე მხარე. უფრო გვიან კოშკისათვის გალავანიც მიუშენებიათ.

კოშკი შვიდსართულიანია. შესასვლელი მეორე სართულზეა. პირველ სართულს აქვს სარკმელი. მესამე სართულზე კარის მხარეს, ბრტყელ კედელში ერთ ჰორიზონტზე ორი სარკმელია გაჭრილი. მეოთხე და მეხუთე სართულებზე - თითო, მეექვსე სართულის კედლების უმეტესი ნაწილი დარღვეულია, მაგრამ სარკმლის კვალი აქაც ჩანს. მეშვიდე სართულის მხოლოდ ზურგის კედელია გადარჩენილი. მასში მოჩანს კვადრატული სარკმელი.



ზურგიანი კოშკი. ხედი ჩრდილოეთიდან.

კოშკი ზემოთ თანდათან ვიწროვდება. ხის სართულშუა გადახურვა მთლიანად ჩაქცეულია. კოშკის ფასადებს მეხუთე და მეექვსე სართულების მიჯნაზე სწორკუთხა კარნიზი გამოჰყოფს. კარნიზის ქვემოთ კოშკი ნაგებია დიდი ქვით, ზემოთ კი წვრილი ქვით სქელ დუღაბზე.

# სოფ. სიათა

# ნაგებობის ნაშთი

## გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის მიდამოებში მდებარე, სათავსისათვის სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვა.

ნაგებობა გეგმით მართკუთხედს წარმოადგენს, რომელიც წაგრძელებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. კედლების სიმაღლე 2 მეტრს აღწევს, ზოგან უფრო ნაკლებია. სამხრეთიდან სწორკუთხა მინაშენის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

მიწის დონე ძლიერ აწეულია. ტერიტორია სავსეა ნამონაშალი ქვით.



**ნაგებობის ნაშთი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.**

სოფ. სიათა

# ეკლესია კოშკით და მინაშენით

## გვიანი შუა საუკუნეები.

მაღალ მთაზე მდგარი ეკლესია და კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, ალაგ-ალაგ გამოყენებულია ფიქალი.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია სწორკუთხა საკურთხევლით, რომლისგანაც მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხეა შემორჩენილი. კედლების სიმაღლე 1,5 მ, ზოგან უფრო ნაკლებს აღწევს. ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია პილასტრის ქვედა ნაწილი.



ეკლესია კოშკით და მინაშენით. გეგმა.

ნათოხალი შესასვლელი დასავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილშია დატანებული.

ეკლესიას სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მინაშენები ჰქონდა; აქედან სამხრეთ მინაშენის მხოლოდ დასავლეთი ნაწილია გადარჩენილი, დასავლეთი მინაშენი კი ეკლესიას მთელ სიგანეზე გაუყვება. ორივე მინაშენი ნათოხალი შესასვლელებით უკავშირდება კოშკს, რომელიც ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშია მიშენებული.



კოშკის აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი.

კოშკი შემორჩენილია სამი სართულის დონეზე. იგი გეგმით კვადრატს უახლოვდება. პირველი სართული ამოვსებულია მიწითა და ჩა-

მონაშალი ქვით.

მეორე და მესამე სართულის სამხრეთ კედელში წყვილი, სწორკუთხა სათოფურია, ხოლო აღმოსავლეთ კედელში გაჭრილია არქიტრავული კარი.

შემორჩენილია სართულშუა გადახურვის ძელის ბუდეები. ეკლესიაში და კოშკში მიწის დონე ძლიერ აწეულია; ამოსულია უამრავი მცენარე. ტერიტორია სავსეა ნამონაშალი ქვით.



ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთით.

## სოფ. სუართა

# კოშკის ნანგრევი



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

**ადრე შუა საუკუნეები.**

კოშკი ნაგები იყო სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით.

მისგან შემორჩენილია დასავლეთი კედლის მცირე ნაწილი, რომლის სიმაღლე 5 მეტრს აღწევს და სამხრეთ-დასავლეთი კუთხე. დანარ-

ჩენი კედლები განადგურებულია.

მიწის დონე საგრძნობლად აწეულია.




**კოშკის ნანგრევის გეგმა.**

## სოფ. ტბეთი

# კოშკი

**გვიანი შუა საუკუნეები.**

სამსართულიანი ოთხკუთხა კოშკი დგას სოფლის ჩრდილოეთით. მისაგან გადარჩენილია სამხრეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლების მცირე მონაკვეთი. საძირკვლის მიხედვით შეგვიძლია აღვადგინოთ კოშკის მთლიანი გეგმა.



**ხედი დასავლეთიდან.**

კოშკის ქვედა სართული ამოვსებულია ნანგრევებით, მიწით და მაღალი ბუჩქნარით, რაც ძლიერ ართულებს აღწერას.

სართულშუა კოჭოვანი გადახურვა დღეს აღარ არსებობს.

პირველი სართულის აღმოსავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილში ვიწრო და მაღალი სარკმელია. სამხრეთი კედლის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში სათოფურია, მთელ კედელზე კი - სამი ვიწრო, მაღალი სარკმელია, რომელთა შორის თითო სათოფურია დატანებული.

მეორე სართულის აღმოსავლეთ კედლის სამხრეთ ნაწილში სარკმელია,

სამხრეთი კედლის ცენტრში კარი.

სამხრეთ კედელს, გარედან, ნახევარწრიული კონტრფორსი აქვს მიდგმული. იგი მთელ დარჩენილ სიგრძეზე აუყვება კედელს.



კოშკის გეგმა.

კოშკს ჰქონდა გალავანი, რომელიც სამხრეთი კედლის გაგრძელებას წარმოადგენს.

კოშკი ნაგებია სხვადასხვა ჯიშის ქვით, გამოყენებულია ფლეთილი, რიყის და დამუშავებული კვადრები.



სამხრეთი ფასადი.

# ႱႭႴ. ႲႡႤႧႨ

# ႡႭႰႺႥႨႱႿႥႠႰႨႱ ႤႩႪႤႱႨႠ

### განვითარებული შუა საუკუნეები.

სოფლის ჩრდილოეთით 2 კმ. მდებარე ეკლესიის სამხრეთ შესასვლელის ბალავრის ქვაზე ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: "ქ.სახელითა-ღმრთისაითა ესე ბალაჰვარი მე, ტბელმან პა-



**დასავლეთი ფასადი.**

ტრიკმან ძემან ქავთაოისაგან დავდევ, სალოცველად სულისა ჩემისა და შვილთა ჩემთათუის. ჯუარი ბორცკ საო მელს ექმენ".

ეკლესია დარბაზულია. სამხრეთიდან მიშენებული აქვს დიდი კარიბჭე-სამრეკლო. ეკლესიას ეტყობა მრავალგზის გადაკეთების კვალი. შესასვლელები სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია. თაღები მოგვიანებით აღდგენილია ქართული აგურით.

ინტერიერში აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა, ცენტრში თაღოვანი სარკმლით. აბსიდის სამხრეთ ნაწილში მაღალი, ტრაპეციის ფორმის ნიშაა. აბსიდის ტრიუმფალური თაღის ჩრდილოეთი ნახევარი ეყრდნობა ცალკე მდგომ სვეტს, რომელიც ჩრდილოეთი კედლიდან 1 მეტრითაა დაშორებული. ეს მანძილი გადიდებულია კედელში გამოღებული ღიობით და იქმნება გვერდითი შესასვლელი აბსიდში. სვეტს მიდგმული აქვს კანკელი თაღოვანი აღსავლის კარებით.

ჩრდილოეთი კედლის ცენტრში სარკმელია. დასავლეთი კედლის ქვედა ცენტრალურ ნაწილში თაღოვანი შესასვლელია, მის ზემოთ - თაღოვანი სარკმელი. კამარა ცილინდრულია. ინტერიერის კედლები დაფარული იყო ფრესკებით. ისინი ფრაგმენტების სახი-



**დასავლეთი კედლის ფრაგმენტი.**




ეკლესიის გეგმა.

თაა შემორჩენილი.

კარიბჭე სამივე მხარეს გახსნილი იყო ნახევარწრიული თაღებით. ასეთივე (შედარებით დიდი ზომის) თაღითაა იგი მიდგმული ეკლესიის სამხრეთ ფასადს. კარიბჭეზე დადგმული სამრეკლო კიდევ უფრო გვიანი პერიოდისაა. წყობაში შერეულია ქართული აგური. გაჩნია შეუფერებელი პროპორციების სვეტები და კაპიტელები. სამრეკლოდან გადარჩენილია აღმოსავლეთის ორი სვეტი და სამხრეთ-დასავლეთის ერთი სვეტი. სამრეკლოსა და კარიბჭეს გამყოფი გადახურვა ჩამონგრეულია. კარიბჭე გადახურული იყო ცილინდრული კამარით.

ეკლესიას შემოუყვებოდა კარნიზი - წრეთარგი და ლილვი. მასიური კარნიზის ყველა ქვა ჩამოცვენილია.

ეკლესიის ფასადები ნაგებია ღია ფერის, ადგილობრივი ჯიშის ცუდად დამუშავებული ქვის კვადრებით.



ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

## სოფ. ფარაზა

## კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით; შემორჩენილია დაახლოებით ცხრა მეტრის სიმაღლეზე. დასავლეთი კედელი მთლიანად ჩამონგრეულია. დაზიანებულია ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლებიც. კოშკის აღმოსავლეთ კედელში გაჭრილია არქიტრავული

შესასვლელი, რომლის თავზე დატანებულია სათოფური.

კოშკი მეორე სართულის დონემდე ამოვსებულია მიწით და ნამონაშალი ქვებით.



კოშკის გეგმა.

## სოფ. ფარაზა

# კოშკის ნანგრევი

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლიდან დასავლეთით ნახევარი კილომეტრის მოშორებით, ფერდობზე შემორჩენილია კოშკის დასავლეთი კედლის ნაწილი, რომლის სიმაღლე დაახლოებით 4 მეტრს აღწევს; ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვის მშრალი წყობით. დასავლეთი კედელი მომრგვალებულია, დანარჩენი კედლები მთლიანად განადგურებულია. ნამონაშალი ქვები გაზიდულია.



კოშკის ნანგრევი. ხედი დასავლეთიდან.

# სოფ. ფარაზა

## კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

ფერდობზე შემორჩენილი ოთხსართულიანი კოშკი ნაგებია ფლეთილი ქვით. პირველი სართულის აღმოსავლეთი კედელში გაჭრილია არქიტრავული შესასვლელი, კარი ნათოთხალია. დატანებული აქვს საურდული. მეორე სართულის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედელში სწორკუთხა სარკმლებია მოთავსებული.

დასავლეთ კედლის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. კოშკი ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით.




კოშკის გეგმა.

# სოფ. ქემერტი

## ეკლესია გერის ძმა

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის სასაფლაოზე, მინდიაანთ უბანში მდებარე ეკლესია გეგმით კვადრატს უახლოვდება, აღმოსავლეთით გაშლილი ნახევარწრიული ფორმის აბსიდში მაღალი თაღოვანი სარკმელია, ხოლო ჩრდილოეთით თაღოვანი ნიშაა. საკურთხევლის ცენტრში შემორჩენილია ტრაპეზის ქვედა ქვები. აბსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით.




ეკლესიის გეგმა.

გრძივ კედლებს ყოფს წყვილი

პილასტრი. ინტერიერი შებათქაშებულ-შეთეთრებული იყო. იქ, სადაც ბათქაში ჩამოცვენილია, ჩანს ქართული აგურის წყობა. დარბაზი ნათდებოდა აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის სარკმლებით.

თაღოვანი შესასვლელი სამხრეთიდანაა დატანებული.

აღმოსავლეთ ფასადზე ნაძირული ჯვარი პირდაპირ სარკმელს ებჯინება. დასავლეთი ფასადის ზედა ნაწილში აგურის წყობით შესრულებული გოლგოთის ჯვარია.

ადგილობრივ მოსახლეობას ეკლესია კავრით გადაუხურავს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის ქვა.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. ოთხივე კედელი გარღვეულია. სარკმლები და კარი დაზიანებულია. იატაკი აყრილია.



**დასავლეთი ფასადი.**

# სოფ. ქემერტი

## კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები.

ძეგლი დგას ოთიაანთ უბანში.

სამსართულიანი კოშკი ნაგებია დიდი ზომის რიყის ქვით სქელ დუღაბზე.

გეგმით კვადრატს უახლოვდება. ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები შემორჩენილია დაახლოებით 8-9 მ-მდე, დასავლეთი და სამხრეთი კი 3-4 მეტრამდე. სართულშუა გადახურვა კოჭოვანი ყოფილა. კედლებში ჩანს ძელის ბუდეები.

კოშკის გარშემო მიწის დონე საგრძნობლად აწეულია.




კოშკის გეგმა.



ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

## სოფ. ქემერტი

# მინდიაანთ კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები.

მინდიაანთ უბანში მდგარი სწორკუთხა კოშკიდან მხოლოდ ჩრდილოეთი კედელი გადარჩა 7-8 მეტრის სიმაღლეზე. კედლის ზედა ნაწილში სარკმელი და სამი სათოფურია. კოშკი ნაგებია რიყის და ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე.

კოშკს ვიზუალური კავშირი ჰქონდა "ყაულაანთ", კეხვის და აჩაბეთის ციხეებთან, აგრეთვე "კასრაანთ" და "ოთიაანთ" კოშკებთან.




კოშკის გეგმა.



ჩრდილოეთი ფასადი.

## სოფ. ქემერტი

# კოშკი

### XVIII ს.

კოშკი დგას სოფლის ცენტრში, "კასრაანთ უბანში".

სამსართულიანი, ცილინდრული კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით, სქელ დუღაბზე.

სართულები ერთმანეთს ქვის ხვეული კიბეებით უკავშირდება. პირველიდან მეორეზე ასასვლელი კიბე სამხრეთ კედელშია, ხოლო მეორედან მესამეზე - ჩრდილოეთით. კოშკი სრულდება ქონგურებით.

მესამე სართული გეგმით კვადრატია. აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ კედლებში ფართო, თაღოვანი ნიშებია. ნიშებში სათოფურებია გაჭრილი. სამხრეთით ორ ნიშს შორის თაღოვანი ბუხარია. ჩრდილოეთი კიბის უჯრედში ორი სათოფურია.



**კოშკი. I-II-III სართულების გეგმა.**



**ხედი ჩრდილოეთიდან.**

მეორე სართული გეგმით წრიულია. კედლები დანაწევრებულია შეისრულთაღიანი ნიშებით. ნიშებში დატანილია სათოფურები. ჩრდილოეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. აღმოსავლეთით ხის ნათოხალი კარია, დასავლეთით თაღოვანი ბუხარი.

გადახურვა მეორესა და მესამე სართულს შორის სფერული იყო, ამოყვანილი აგურის რადიალური რიგებით, რომელიც ამჟამად ჩამონგრეულია.

პირველი სართული გეგმით კვადრატია. გადახურულია შეისრული კამარით. აღმოსავლეთ კედელში ერთი სწორკუთხა სარკმელია, ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებში თითო სწორკუთხა ნიში. თაღოვანი შესასვლელი დასავლეთიდანაა. კარის წირთხლები მორღვეულია.

კოშკის სამხრეთი კედელი დაშენებულია კლდის ქანზე.

ინტერიერი სავსეა ჩამონაშალი ქვით. კედლები შიგნიდან დაბზარულია.

## სოფ. ძემერტი

# წმ. გიორგის ეკლესია

### IX-X სს., გვიანი გადაკეთებებით.

ძეგლი მდებარეობს ოთიაანთ უბანში, სასაფლაოზე.

ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად თლილი ქვებით, რომელიც შემდეგ შელესილ-შეთეთრებულია.



წმ. გიორგის ეკლესიის გეგმა.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი, რომლის ქვეშ ტრაპეზის ქვაა. ჩრდილოეთით თაღოვანი, ხოლო სამხრეთით - სწორკუთხა ნიშებია. კონქი ნახევარსფერულია. სატრიუმფო თაღი პილასტრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ ერთსაფეხურიანი სოლეაა.

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია. კამარის საბრჯენი ორსაფეხუ-


**სამხრეთი ფასადი.**

რიანი თაღი, პილასტრების ქურდნობა.

ინტერიერი მთლიანად შეთეთრებულია კირით. დარბაზი ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთის ორი და დასავლეთის ერთი თაღოვანი სარკმლებით. იატაკი ხისაა.

თაღოვანი შესასვლელები დასავლეთიდან და სამხრეთიდანაა. ორივე შესასვლელის თაღი ნათხალია. თაღებში ტიმპანის ქვებია. დასავლეთის კარი ამოშენებულია.

სამხრეთ შესასვლელის მარცხენა მაღალ კუთხეში, კედლის თაღოვან შეღრმავებაში მოთავსებულია ქვის კანკელის ფრაგმენტები. ქვები მოგვიანებით არის ჩადგმული. აქ გამოსახულია აყვავებული ჯვარი, გარშემოვლებული რვაიანისებური წნულით. ჯვრის ოთხივე მკლავის კუთხეებში გეომეტრიული წნულისაგან შექმნილი მარყუჟებია. სამხრეთის ორივე სარკმელს მოჩუქურთმებული წარბები აქვს. სარკმლებს შორის ქვის ფილაზე ტოლმკლავა ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში ჩასმულ ქვის ფილაზე

რელიეფური სიუჟეტის ფრაგმენტია - წმინდანის გამოსახულებით.

დასავლეთი ფასადის ცენტრში ერთ ღერძზეა შესასვლელი და ვიწრო თაღოვანი სარკმელი მოჩუქურთმებული წარბით. მათ შორის ქვის ფილაზე აყვავებული ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. დასავლეთი ფასადის კეხზე გვიან დაშენებული სამრეკლოა. სამრეკლო ღია თაღოვანია.

ჩრდილოეთი ფასადი გლუვია. ეკლესიას გარს უვლის "კბილანა" ლავგარდანი. საბურავად გამოყენებულია თუნუქი.

ეკლესიას სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მინაშენები ჰქონდა. შემორჩენილია მინაშენების ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეების მცირე ნაწილები.

ეკლესიის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია.

ეკლესიას ეტყობა გვიანდელი შეკეთების კვალი.

ფასადებზე ნალესობა ჩამოცვენილია. კამარა და კონქი დაბზარულია. იატაკი დაზიანებულია.

## სოფ. ქვემო აჩაბეთი

# წმ. ნიკოლოზის ეკლესია

### ადრე შუა საუკუნეები.

მცირე ზომის ეკლესია დგას სოფლის სასაფლაოზე, ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, რომელიც შემდეგ შელესილია.




წმ.ნიკოლოზის ეკლესიის გეგმა.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხაა, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ცენტრში გაჭრილია ვიწრო სარკმელი. სარკმლის ქვეშ დგას ხის, ტრაპეციის ფორმის ტრაპეზი. სამხრეთით ერთი სწორკუთხა, ხოლო

ჩრდილოეთით - ერთი სწორკუთხა და ერთი თაღოვანი ნიშა. აბსიდა დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით, რომელთაც სატრიუმფო თაღი ეყრდნობა. საკურთხევლის წინ მოწყობილია ხის კანკელი.კანკელი მოხატულია.

ეკლესიის კამარა შეისრულია. მთელი ინტერიერი შელესილ-შეთეთრებულია. ინტერიერი ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის სარკმლებით. იატაკი მოგებულია ქართული აგურის ფილებით.

თაღოვანი შესასვლელი სამხრეთიდანაა. კარი ნაოთხალია. აღმოსავლეთი ფასადის ქვედა ნახევარი ოდნავ წინ გამოწეულია. ზედა შედარებით ვიწროა. დანარჩენი ფასადები გლუვია. კარნიზი ქართული აგურისაა.

საბურავად გამოყენებულია კრამიტი. ეკლესიის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

ეკლესიის იატაკი მრავალ ადგილას აყრილია; ბათქაში ჩამოცვენილია. ნიშები დაზიანებულია; საბურავი მოშლილია.



**სამხრეთი ფასადი.**

## სოფ. ქვემო დმანისი

# მთავარანგელოზის ეკლესია

### X ს-ის პირველი ნახევარი.

ეკლესია ნაგებია დიდი ზომის კარგად თლილი, ღვინისფერი ქვის კვადრებით.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში მაღალი თაღოვანი სარკმელია. ჩრდილოეთით და სამხრეთით მცირე ზომის სწორკუთხა ნიშებია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები შემორჩენილია 5-6 მეტრის სიმაღლეზე,



მთავარანგელოზის ეკლესიის გეგმა.



აღმოსავლეთი ფასადი.

სამხრეთი და დასავლეთი კი 3-4 მეტრს აღწევს.

სამხრეთი შესასვლელი შიგნით თაღოვანი, გარედან - არქიტრავულია.

აღმოსავლეთი სარკმლის თავზე ნადგმულია ქვის ფილა, რომელზეც ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. ჯვარს გარს შემოუყვება ვაზის სტილიზებური ორნამენტი.

ეკლესიას დასავლეთიდან და სამხრეთიდან მინაშენები ჰქონდა, რომლისგანაც მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ეკლესიის ტერიტორია სავსეა ნამონაშალი ქვით.



აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის მორთულობა.

## სოფ. ქვემო დმანისი

# წმ. მარინეს ეკლესია

**ადრე შუა საუკუნეები.**

ეკლესია ნაგებია როგორც რიყის, ისე ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე.



აღმოსავლეთი ფასადი.

გეგმით წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით შეერილი, ნახევარწრიული



წმ.მარინეს ეკლესიის გეგმა.

წახნაგოვანი აბსიდით.

ეკლესიიდან შემორჩენილია ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლების ნაწილები, რომელთა სიმაღლე ზოგან 4 მეტრია, ზოგან უფრო ნაკლები.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების შემორჩენილ ნაწილებზე ორსაფეხურიანი პილასტრის ფრაგმენტებია.

ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით.

## სოფ. ქვემო ვილდა

# ეკლესია

### განვითარებული შუა საუკუნეები.

მდ. მეჯუდას მარცხენა ნაპირას დგას მოყვითალო შირიმის ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია. კვადრები სხვადასხვა ზომისაა.

გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში შეისრულთაღიანი, ნათოხალი სარკმელია. ჩრდილოეთით და სამხრეთით მაღალი სწორკუთხა ნიშებია. აბსიდა დარბაზისაგან გამოყოფილია შვერილებით, რომელთაც სატრიუმფო თაღი ეყრდნობოდა. კამარა და კონქი ჩამოქცეულია. ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია კამარის თაღის საბრჯენი კრონშტეინი.




ეკლესიის გეგმა.

დასავლეთი კედლის სიმაღლე 6-7 მეტრს აღწევს, სამხრეთისა კი 1-2 მეტრს.

სამხრეთის შესასვლელი მთლიანად მორღვეულია. ინტერიერი შირიმის ქვითაა მოპირკეთებული.

აღმოსავლეთის სარკმელს ორმაგლილვიანი სათაურის ქვა აქვს. დასავლეთის კედლის წყობაში ჩაყოლებულია კვადრი ჯვრის რე-

ლიეფური გამოსახულებით. ამ ფასადზე შემორჩენილია მარტივპროფილიანი კარნიზის ნაწილი.

ჩრდილოეთ ფასადთან მიწის დონე ძლიერ აწეულია.

ინტერიერი სავსეა ჩამონაშალი ქვით.



**დასავლეთი ფასადი**

## სოფ. ქვემო მონასტერი

# თირის სამონასტრო კომპლექსი

### XIII- ს-ის ბოლო, სამრეკლო XIVს. ბოლო.

ვახუშტის მიხედვით: "თამარაშენს ზეით ერთვის თირის მონასტრის ხევი. ამის დასავლეთით არს, მთაში, თირის მონასტერი, უგუმბათო, არამედ ყრიად კეთილშენი, კეთილს ადგილს. ზის წინამძღვარი.

ისტორიული სახელწოდება "თირი", როგორც ჩანს, მომდინარეობს ამ ადგილებში არსებული ქარაფების ძველი სახელწოდებიდან - თირის კლდე იგივე ქვიშაქვის კლდეა. სულხან-საბას განმარტებით - "თირი არს კლდე ლბილი და ადვილ სათლელი".

სამხრეთ მინაშენის დასავლეთ კედელზე ასომთავრული წარწერაა: "ქ. მოლარეთ უხუცესისა ხელას ერთგ(ულსა), მახატლიშვილსა, ბევრონს შეუნდოს ღმერთმან".

ჩრდილოეთ მინაშენის დასავლეთ შესასვლელის ტიმპანზე ამოკვეთილია მხედრული წარწერა: "შეწევნითა ღვთისათა მეოხებითა თავდების ღვთისმშობლისათა, ჩვენ თაქთაქიძემ, მროველ ეპისკოპოსმან ფილიპემ, არდაშელმა, ჩემან ელიზბარ, აღვაშენეთ საყდარი ესე წმიდისა ნიკოლოზისა. სულისა ჩვენისა სახსრად. ოდეს ბედნიერის ხელმწიფისაგან ჩვენს ნათესავთა სასაფლაოდ, სამკვდროდ,



**მონასტრის ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.**

სამამულოდ მოსცემოდა ესე მონასტერი, მამა-პაპანი მარხეულ იყვნეს, მათი მოშლა აღარ იქმნებოდეს, საყდარი აღვაშენეთ, სასაფლაოს შეუმატეთ, ქორონიკონს ტო".

სამონასტრო კომპლექსი საკმაოდ მაღალი ქედის თავში, მის სამხრეთ კალთაზე ქარაფების გაყოლების ბუნებრივად შექმნილ ტერასაზეა განთავსებული. კომპლექსში გაერთიანებულია სხვადასხვა დროის საკულტო და საცხოვრებელ-სამეურნეო ხასიათის რამდენიმე ნაგებობა.

თირის ღვთისმშობლის ეკლესია კომპლექსის მთავარი საკულტო ნაგებობაა. დღევანდელი შენობის გეგმა გართულებულია გვიანდელი მინაშენებით. თავდაპირველი გეგმა წარმოადგენდა დარბაზული ტიპის სწორკუთხა ნაგებობას, სწორკუთხედშივე მოქცეული აბსიდით - ჩრდილოეთით სამკვეთლოთი და დასავლეთით ეკვდერით, რომელიც მთავარი ნავისაგან გამიჯნულია კამარამდე აღმართული კედლით და მას უკავშირდება მხოლოდ ღია თაღოვანი განიერი გასასვლელით. აბსიდის მოხაზულობა ნახევრადოვალურს უახლოვდება. იგი დარბაზის იატაკიდან ერთი საფეხურითაა შემაღლებული. საკურთხეველი ამ საფეხურზე შედგმული ქვის კანკელითაა გამოყოფილი. აბსიდასა და ნავს შორის ვიწრო ბემაა მოქცეული. აღმოსავლეთ სარკმლის ქვეშ ტრაპეზი დგას, ჩრდილოეთით მცირე ზომის ნიშაა. აბსიდის კედელი კონქის ქუსლამდე გვიანდელი ნალესობითაა გასქელებული. ეკლესიის საკურთხეველში შემორჩენილია მხატვრობის ფრაგმენტები. ნავისა და აბსიდის კედლებს მაღალი ხარისხი გასდევს.

გრძივი კედლები დანაწევრებულია პილასტრებითა და კედლის დეკორატიული თაღებით. პილასტრები განსხვავებულია: სამხრეთისა - ორსაფეხურიანია, ხოლო ჩრდილოეთისა ერთსაფეხურიანი და ორიარუსიანი. სატრიუმფო თაღი ორსაფეხურიანია. მისი სიმაღლე კამარას არ აღწევს, იგი უფრო დაბალია. ამის გამო კონქის თავზე ცენტრისკენ შემაღლებული შუბლია ამართული.

ეკლესიის ინტერიერი ნათდება ცხრა სარკმლით. აქედან ხუთი მთავარ ნავშია გაჭრილი (ერთი მრგვალი სარკმელია), დანარჩენი სამი კი - დასავლეთ სათავსშია მოთავსებული. სარკმლები თაღოვანია.

გარედან ეკლესიას მდიდრულად გაფორმებული ორი შესასვლელი აქვს: მთავარი პორტალი სამხრეთი ფასადის შუაშია გაჭრილი და უშუალოდ ნავში გადის, მეორე ისეთივე, მხოლოდ უფრო მცირე ზომისა, სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან მდებარეობს და დასავლეთ სათავსს უკავშირდება.

ეკლესიის დასავლეთ სათავსის აღმოსავლეთ კედელზე შესას-

ლელის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. ნიშებს სიბრტყიდან გამოწეული თაროები აქვს. ეკლესიის სამხრეთი და ჩრდილოეთი მინაშენები მცირე ზომის მარტივი სათავსებია. სამხრეთი სათავსი დამოუკიდებელი ნაგებობაა, რომელსაც შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. აღმოსავლეთით ოდნავ შეზნექილი აბსიდაა, შუაში შეისრული სარკმლით და მის ქვეშ დაკიდული ტრაპეზის პატარა ქვით. მინაშენის ჩრდილოეთი კედლის მაგივრობას ეკლესიის სამხრეთი ფასადი ასრულებს. მინაშენს სამხრეთით ორი შეისრული სარკმელი აქვს, რომლებიც გარედან წრიული ლილვებითაა გაფორმებული. კამარა გაბრტყელებული და საკმაოდ დაბრეცილია. მინაშენი ნაგებია ქვიშაქვის ყვითელი კვადრებით.

ჩრდილოეთ მინაშენს შესასვლელი აქვს დასავლეთით. შიგნით ორი კარი აკავშირებს საკურთხეველთან და ნავთან. მინაშენს ორი სარკმელი აქვს, აღმოსავლეთით - ნახევარწრიულ აბსიდში და დასავლეთით კარის ზემოთ. მინაშენის ჩრდილოეთი კედელი, ნაწილობრივ აბსიდა, და დასავლეთის კედელი კლდეშია ნაკვეთილი. კამარა ოდნავ შეისრულია. კონსტრუქციული ელემენტებისათვის გამოყენებულია ბაზალტი.

სამხრეთი და ჩრდილოეთი მინაშენები ეკლესიის ძირითადი კორპუსის გარე ხაზს უსწორდება, ხოლო დასავლეთით უფრო მოკლეა და საერთო აბრისში საფეხურების სახითაა შეწეული.

ეკლესიის ფასადები (გარდა ჩრდილოეთისა) მდიდრულადაა გაფორმებული. სამივე ფასადს პროფილირებული, თავიდან ბოლომდე ორნამენტით შემკული კარნიზი აგვირგვინებს. ფასადთა კუთხეები შეწყვილებული ლილვაკებითაა მოჩარჩოებული. ფასადებზე განთავსებული კარ-სარკმლები ორნამენტიანი საპირეებით, ლილვაკებითა და მათს ზემოთ დამატებითი დეკორატიული ელემენტებითაა გაფორმებული. მინაშენების ფასადთა გაფორმება ძუნწადაა გადაწყვეტილი, მხოლოდ შესასვლელებია რამდენადმე ხაზგასმული.



**თირის სამონასტრო კომპლექსი. ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.**

ეკლესია და მინაშენები თლილი ქვის ლორფინებითაა დახურული. სამრეკლო და სამხრეთი მინაშენი კარიბჭით აგე-

ბულია XIV-XVII სს. XVII ს. ეკლესიას ჩრდილოეთით საძვალე მიუშენეს. ეკლესიისაგან დასავლეთით სატრაპეზოა, ჩრდილოეთით კლდეში ნაკვეთი ბერების სამლოცველო სადგომი-სენაკები. ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან - სამეურნეო საცხოვრებელი ხასიათის სათავსი, ხოლო აღმოსავლეთით კოშკი. მონასტრის ტერიტორია ჩრდილოეთით შემოზღუდულია ქარაფოვანი კლდით, დანარჩენი მხარეები დაბალი გალავნით იფარგლება.

## სოფ. ქვემო სარაბუკი

# ნაგებობის ნაშთი

სოფელში შემაღლებულ ბორცვზე შემორჩენილია ძველი ნაგებობის საძირკველი. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით აქ ეკლესია იყო. მიმოფანტული ქვა მეტწილად ფლეთილია. გეგმა არ იკითხება.

დათარიღება შეუძლებელია.

## სოფ. ქვემო სნეკვი

# ზურგიანი კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

კოშკი დგას "გაბუაანის" უბნის აღმოსავლეთით 1,5 კმ.-ტყიანი გორის წვერზე და მიეკუთვნება ე.წ. "ზურგიანი კოშკების" რიცხვს. მისი სამხრეთი ნახევარი სწორკუთხაა, ჩრდილოეთი კი ნახევარწრიული.



ზურგიანი კოშკის გეგმა.

შესასვლელი სამხრეთის კედელში მეორე სართულის დონეზეა. იგი სწორკუთხაა, 130 სმ. სიმაღლისაა. აქვს საურდულე ბუდე. კოშკი 5 სა-



სამხრეთი კედლის ფრაგმენტი.

რთულის დონეზე შემორჩა. სამხრეთ კედელს I,III,IV და V სართულზე თითო სარკმელი აქვს. კოშკის პროპორციები მეტყველებენ, რომ იგი გაცილებით მაღალი უნდა ყოფილიყო. სართულშუა გადახურვები ბრტყელი, კოჭოვანი იყო. შემორჩენილია მხოლოდ საკოჭე ბუდეები.

კოშკის კედლებში სათოფურები არ შეიმჩნევა. იგი ნაშენია უხეშად დამუშავებული სხვადასხვა ჯიშის ქვის კვადრებით. ქვა უმეტესად რუხი ფერისაა.

## ნასოფლარი ქვემო ქლივანა

# ეკლესია

### XIII-XIV სს.



ეკლესიის გეგმა.

ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვებით, სქელ დუღაბზე. წყობა შერეულია.

ეკლესიის შიდა სივრცე ორი წყვილი სვეტების საშუალებით სამ ნავად იყოფა. შუა ნავი გვერდით ნავებთან შედარებით უფრო მაღალია და ვიწრო. სამივე ნავის აბსიდებში გაჭრილია ვიწრო, თაღოვანი სარკმლები. ცენტრალური აბსიდის კონქი ამო-

ყვანილია აგურის რადიალური რიგებით. სატრიუმფო თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა. გვერდითა აზიდები დარბაზს თაღოვანი გასასვლელებით უკავშირდება.

ჩრდილოეთი ნავის კამარა კრონშტეინებს ეყრდნობა, ხოლო სამხრეთი ნავის კამარა - იმპოსტებს.

ნავების გამყოფი აგურის თაღები სვეტების კაპიტელებს ეყრდნობა. დასავლეთით თაღები პილასტრებს ებჯინება. ცენტრალური ნავის ორივე კედელში გაჭრილია მაღალი სარკმლები.

ეკლესიას დასავლეთიდან და სამხრეთიდან თაღოვანი შესასვლელები აქვს. დასავლეთის ტიმპანის ქვაზე შემორჩენილია ბოლნური ჯვრის გამოსახულება, რომელიც ძლიერ არის დაზიანებული.

ეკლესიის ფასადების მორთულობას წარმოადგენს ფართო, პროფილირებული საპირე, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ სარკმლებს აჩარჩოებს და ოდნავ გამოწეულია საფასადო სიბრტყიდან.

ეკლესიის დასავლეთით და სამხრეთით შემორჩენილია მინაშენის ფრაგმენტები. დასავლეთით შესაძლოა კარიბჭე იყო.

ეკლესიის გარშემო შეინიშნება გალავნის ფრაგმენტები.

ეკლესია დაზიანებულია.

ცენტრალური ნავის კამარა ჩამონგრეულია. ინტერიერში მიწის დონე ძლიერ არის აწეული. ეკლესიის ფასადების ყველა კუთხე ჩამონგრეულია. ჩრდილოეთი ფასადი თითქმის პერანგშემოცლილია.



**აღმოსავლეთი ფასადი.**



სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი.

## ნასოფლარი ძლივანა

# ნაეკლესიარი

### შუა საუკუნეები.

ეკლესია ნაგები იყო სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. მისი კედლების სიმაღლე 1-1,2 მეტრს აღწევს.

ეკლესიის შემორჩენილი ნაწილის მიხედვით გეგმის დადგენა და დათარიღება შეუძლებელია.

## სოფ. ძსუისი

# ღვთისმშობლის ნაეკლესიარი

ეკლესია, რომელიც "ნანიაურის" უბანში მდებარეობდა მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია საძირკვლის ფრაგმენტები და სამხრეთი კედლის მცირე მონაკვეთი.

ეკლესიის გეგმის დადგენა და დათარიღება გაწმენდის გარეშე შეუძლებელია. სავარაუდოდ ეს უნდა ყოფილიყო დარბაზული ეკლესია სამმხრივი გარშემოსავლელით.



ღვთისმშობლის ნაეკლესიარის გეგმა.



სამხრეთი კედლის ფრაგმენტი.

## სოფ. ქსუისი

# მთავარანგელოზის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

"შოშიტაანთ" უბანში მდებარე ეკლესია დარბაზულია, შესასვლელი მოთავსებულია სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში. გაუქმებულ ფურნეს თითქმის მთელი შიდა სივრცე აქვს დაკავებული. ინტერიერის აღწერა-აზომვა გართულებულია. გადარჩენილია კამარა, აბსიდა და პილასტრები. კედლები შელესილ-შეთეთრებულია.

ფასადები ნაგებია საშუალო ზომის, ფლეთილი და რიყის ქვით. შერჩენილია შელესილობის ფრაგმენტები. ეკლესია გადახურულია კრამიტით.

ეკლესიის საერთო ზომებია (გარედან) 10,50 X 6,80 მ.



**სამხრეთ-აღმოსავლეთი ფასადი.**

## სოფ. ქურთა

# სამების წმ. გიორგის ეკლესია

### XIX ს.

აწ განსვენებული ადგილობრივი მცხოვრების, ყარამან ბასიშვილის გადმოცემით მას ჭაბუკობაში უმუშავია ეკლესიის მშენებლობაზე, რომლის მშენებელიც იყო ბერძენი ხელოსანი.

სამების წმ.გიორგის დარბაზული ეკლესია ნაგებია შერეული მასალით - რიყის ქვით, ფლეთილი ქვით და ქართული აგურით. აქვს ნატანებული ძველი ეკლესიიდან გადარჩენილი შირიმის თლილი კვადრებიც. ეკლესია შელესილი და შეთეთრებულია.

ინტერიერში აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა ცენტრში განიერი, თაღოვანი სარკმლით. აბსიდის ჩრდილოეთ ნაწილში ღრმა, განიერი, თაღოვანი ნიშაა (155X78სმ.), სამხრეთით - მაღალი, იგივე ფორმის დიდი ნიში (290X100 სმ.). აბსიდის კუთხეების ზედა ნაწილში ჩატანებულია სააკუსტიკო ხვრელები. აბსიდის ცენტრში ტრაპეზის მასიური ქვაა. იატაკი ქართული აგურისაა და ერთი საფეხურით მაღალია დარბაზის ფიცრულ იატაკზე. აბსიდის იატაკს გააჩნია ნახევარწრიული სოლეა. მის წინ რუსული იკონოსტასის



სამხრეთ-დასავლეთი ფასადი.



ეკლესიის გეგმა.

ჩარჩოა. აბსიდის კონქი და დარბაზის კამარა ფიცრულია და შელესილი. კამარის ცენტრში ასევე ფიცრული თაღია. გრძივი კედლების ცენტრებში ქართული აგურით ამოყვანილი განიერი პილასტრებია. აღმოსავლეთით - განიერი, თაღოვანი სარკმლები. ასეთივე სარკმელია დასავლეთი კედლის ზედა, ცენტრალურ ნაწილში. სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში თაღოვანი შესასვლელია, ინტერიერის კედლებიდან ჩამოცვენილი ბათქაშის ქვეშ ჩანს კედლის წყობა - აგური და რიყის ქვა.

ეკლესია გადახურულია თანამედროვე თუნუქის სახურავით.

ეკლესიაში დასაფლავებულია ზაალ მაჩაბელი.

ამჟამინდელი ეკლესია დაშენებულია ძველ ნაეკლესიარზე, რომლის საძირკვლის ფრაგმენტები ჯერ კიდევ შეინიშნება, რის მიხედვითაც იგი საკმაოდ დიდი ზომის უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია ეკლესიის გაორმაგებული სახელი - "სამების წმ.გიორგი" ამ გარემოებამაც განაპირობა.

## სოფ. ღვრია

# სამების ეკლესია კოშკით

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით დუღაბზე. ალაგ-ალაგ გამოყენებულია ფიქალი.

შემორჩენილია დასავლეთი კედელი დაახლოებით 3-3,5 მეტრზე, დიდი ზომის სწორკუთხა სარკმლით. სამხრეთით შიგნით თაღოვანი, გარედან არქიტრავული შესასვლელია. კარი ნაოთხალია. მიწის დონე თითქმის შესასვლელის თაღს აღწევს. სამხრეთით და ჩრდილოეთით პილასტრის ქვედა ქვები ჩანს.

აღმოსავლეთით აბსიდის მხოლოდ სამხრეთი ნაწილია შემორჩენილი.




სამების ეკლესიის გეგმა.

სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში კრონშტეინია. ინტერიერი სავსეა მიწითა და ჩამონაშალი ქვით.

ეკლესიას დასავლეთიდან კოშკი ებჯინება. კოშკი მთლიანად ამოვსებულია მიწით, სართულიანობის დადგენა ჭირს.

ეკლესია ძლიერ არის დაზიანებული.

## სოფ. ღვრია

# ზურგიანი კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.



ზურგიანი კოშკი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

კოშკი დგას მაღალ მთაზე და ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე. წყობა სწორხაზოვანია.

კედლების სიმაღლე დაახლოებით 12-13 მეტრს აღწევს.

კოშკი სამხრეთით ზურგიანია. შესასვლელი აღმოსავლეთით, მეორე სართულიდანაა. დასავლეთით კედელში ნალისებრი ნიშაა; აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში სწორკუთხა სარკმლები და სამ-სამი სათოფურია.

კოშკის შიგნით ამოსულია დიდი ზომის ხეები. ამდენად სართულიანობის დადგენა შეუძლებელია. კედლებს ბზარები აქვს გაჩენილი. ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით.

## სოფ. დრომი

# ზურგიანი კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლის ცენტრში დგას სამსართულიანი, სწორკუთხა გეგმის ზურგიანი კოშკი, ნაგები სხვადასხვა ზომის რიყის ქვით სქელ დუღაბზე. მესამე სართულიდან მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი.

მეორე სართულის აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებში სწორკუთხა ნიშებია მოთავსებული, მათში გაჭრილია ვიწრო სათოფურები. სამხრეთ კედელში ბუხრის კვალია.

შემორჩენილია სართულშუა გადახურვის კოჭების ბუდეები. მიწის დონე საგრძნობლად აწეულია.

დანგრეულია სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი კუთხეები. მორღვეულია აღმოსავლეთი შესასვლელის დიდი ნაწილი. შიგნით ამოსულია დიდი ზომის მცენარეები.



სამხრეთ-აღმოსავლეთი ფასადი.

# ეკლესია

## გვიანი შუა საუკუნეები.

მცირე ზომის ეკლესია, რომელიც სოფლის ჩრდილოეთით 1 კმ. მანძილზე მთაზე დგას ნაგებია როგორც რიყის, ისე ფლეთილი ქვით დუღაბზე.

დარბაზული ეკლესია გეგმით კვადრატს უახლოვდება, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სამხრეთით სწორკუთხა ნიშაა. ნახევარსფერული კონქის მცირე ნაწილია შემორჩენილი. აბსიდა დარბაზისაგან გამოყოფილია განიერი შვერილებით. შესასვლელი სამხრეთიდანაა.

კამარა და კონქი ჩამოქცეულია. შესასვლელის წირთხლები მორღვეულია. კედლები ჩამონგრეულია.



ინტერიერი, საკურთხევლის ფრაგმენტი.




ეკლესიის გეგმა.

## სოფ. დრომი

# ღვთისმშობლის ეკლესია

### VIII-IX ს.ს.

ეკლესია მდებარეობს მთაზე და ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, სქელ დუღაბზე.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია შებრტყელებული საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშია. სატრიუმფო თა-



**აღმოსავლეთი ფასადი.**



ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.

ლი კრონშტეინებს ეყრდნობა. აბსიდში შემორჩენილია მოხატულობა.

ჩრდილოეთი კედელი პილასტრების საშუალებით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. პილასტრებზე გადაყვანილია კედლის თაღები. შემორჩენილია კამარის საბრჯენი თაღის ქვედა ნაწილი, რომელიც კრონშტეინებს ეყრდნობა. კედლების ძლიერი დაზიანების გამო სარკმლები არ იკითხება.

ეკლესიას სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მინაშენები ჰქონდა. სამხრეთი მინაშენი სწორკუთხაა, აღმოსავლეთით დასრულებულია შებრტყელებული აბსიდით. მინაშენის აბსიდი, ეკლესიის აბსიდის ანალოგიურია. ცენტრში იკითხება სარკმლის კვალი. მინაშენის დასავლეთი კედელი უფრო გრძელია ეკლესიის აღმოსავლეთ კედელთან შედარებით. იგი ეკლესიას უკავშირდება ფართო, თაღოვანი გასასვლელით.

ჩრდილოეთი მინაშენის მხოლოდ საძირკვლის მცირე ფრაგმენტები ჩანს.

ეკლესიას ეტყობა მრავალი გადაკეთების კვალი.

ძეგლი ძლიერ არის დაზიანებული.

## სოფ. დრომი

# ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია სოფლიდან აღმოსავლეთით 3 კმ-ში, მთაზე მდებარეობს.

ძეგლი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია ფიქალი.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღ-




ეკლესიის გეგმა.

მოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო ღრმა ნიშია. კონქი სფერულია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ შემორჩენილია ქვის კანკელის ფრაგმენტები. აბსიდის იატაკის დონე ერთი საფეხურით მაღალია დარბაზისაზე.

ეკლესიის კამარა კოლოფაა. კამარის საბრჯენი თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა. ჩრდილოეთ კედელში მოთავსებულია ნიშა. ნიშის მარცხენა, ქვედა კუთხეში მცირე სარკმელია; სარკმელია დასავლეთ და სამხრეთ კედლებშიც.

სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია. შესასვლელის თავზე ლუნეტია. ეკლესიის ფასადები სადაა, ყოველგვარი დეკორის გარეშე.

კამარა და კონქი დაზიანებულია. კედლები მრავალ ადგილას დაბზარულია. მიწის დონე ძლიერ არის აწეული. საბურავი ჩამოცვენილია.

## სოფ. ღრუბელა

# მიქელ-გაბრიელის ნიშა

### XX ს.

ძველი ეკლესიის ადგილას დგას სალოცავი ნიშა. იგი ნაგებია დიდი ზომის ფლეთილი ქვით. წყობა მშრალია.

# მიქელ-გაბრიელის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ძეგლი მდებარეობს სოფლიდან ჩრდილოეთით 2-3 კმ.-ზე ტყეში. დარბაზული ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვით.

გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს. აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვაა. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით სწორკუთხა ნიშებია. კონქი ნახევარსფეროულია, სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ მასიური ბუნის ქვაა.



აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი.

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია. სამხრეთ კედელს ერთსაფეხურიანი ხარისხი მიუყვება.

სამხრეთი შესასვლელი ძლიერ დაზიანებულია. ინტერიერი სავსეა მიწითა და ჩამონაშალი ქვით.

ეკლესიის კედლები ჩამალულია დიდი ზომის მცენარეებში და ეკალ-ბარდებში. დასავლეთიდან და სამხრეთიდან შემორჩენილია მინაშენის ჩამონგრეული კედლები.

ეკლესიას გარშემო გალავანი შემოუყვება, რომლის სიმაღლე 1-2 მეტრს აღწევს.

ძეგლი ძლიერ არის დაზიანებული.



ეკლესიის გეგმა.

# კოშკი

## გვიანი შუა საუკუნეები.

კოშკი სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 1 კმ-ზე, მაღალ მთაზე დგას.

ძეგლი ნაგებია დიდი ზომის ფლეთილი ქვით დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვებით.



კოშკის გეგმა.

სამსართულიანი კოშკი გეგმით კვადრატს წარმოადგენს. სამხრეთით მეორე სართულზე თაღოვანი შესასვლელია, აღმოსავლეთით სწორკუთხა სარკმელი და სათოფურებია.

მესამე სართულის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია.

პირველი სართულის სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი ჩამონგრეულია.

კოშკის კედლები დაბზარულია.



ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

# სოფ. ყუფთა

# ზურგიანი კოშკი

### განვითარებული ფეოდალური ხანა.

რვასართულიანი კოშკი დგას სოფლის მიდამოებში. ნაგებია სხვადასხვა ზომის ყვლეთილი ქვით დუღაბზე.

გეგმით სწორკუთხა კოშკს, ჩრდილოეთიდან ზურგი აქვს. არქიტრავული შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთ კედელშია გაჭრილი. კარი ნათოხალია. დატანებული აქვს საურდულე.

კოშკის სამხრეთი კედლის ცენტრალურ ღერძზე გაჭრილია სათოფურები. მერვე სართულზე სწორკუთხა სარკმელია. დანარჩენი კედლები ყრუა. შემორჩენილია სართულშუა გადახურვის კოჭის ბუდეები.

კოშკის მოცულობა ქვემოდან ზემოთ ვიწროვდება.



ზურგიანი კოშკის გეგმა.



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

## სოფ. ყუფთა

# წმ. გიორგის ეკლესია

### განვითარებული შუა საუკუნეები.

მდ. შამბიეთის მარჯვენა ნაპირას მდებარე "წმ. გიორგის" ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ფიქალით, ალაგ-ალაგ გამოყენებულია ფლეთილი ქვა. დუღაბი თხელია.

დარბაზული ეკლესია გეგმით კვადრატს უახლოვდება, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. ამჟამად ამოქოლილია და დატანებული აქვს მცირე ზომის წრიული ღიობი. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. შემორჩენილია სფერული კონქის მცირე ნაწილი და სატრიუმფო თაღის ქვედა ქვები (შირიმის). საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია ორსაფეხურიანი მხრებით.

ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებში თითო განიერი სწორკუთხა ნიშაა, დასავლეთის ნიშის თავზე სარკმელია გაჭრილი.

არქიტრავული შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილშია მოთავსებული. შესასვლელის თავზე მცირე ზომის სარკმელია.

ეკლესიას სამხრეთიდან და დასავლეთიდან სწორკუთხა მინაშენები აქვს. მათგან შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1-1,5 მეტრს აღწევს.



**წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.**



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ეკლესიის სამხრეთით 2-3 მეტრში შემორჩენილია გეგმით სწორკუთხა ნაგებობის ნაშთი. ნაგებობა სამი სათავსისაგან შედგებოდა. იგი ძლიერაა დაზიანებული. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ფიქალი და ფლეთილი ქვა.

ეკლესიის კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლები დაბზარულია. ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით.

## სოფ. შამბიეთი

## ზურგიანი კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.




ზურგიანი კოშკის გეგმა.

სოფლის მიდამოებში მდებარე რვასართულიანი კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით დუღაბზე.

კოშკი გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, ჩრდილოეთით მომრგვალებული ზურგით. არქიტრავული შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთ კედელშია გაჭრილი. კარი ნაოთხალია; დატანებულია საურდული.



**ხედი ჩრდილოეთიდან.**

კოშკის სამხრეთი კედლის ცენტრალურ ღერძზე გაჭრილია სათოფურები. მერვე სართულზე სწორკუთხა სარკმელია. დანარჩენი კედლები ყრუა. შემორჩენილია სართულშუა გადახურვის კოჭების ბუდეები.

## სოფ. შამბიეთი

# სასახლის ნანგრევი

### განვითარებული შუა საუკუნეები.

სოფლიდან აღმოსავლეთით 1 კმ-ზე შემორჩენილი სასახლე და სხვა სამეურნეო ნაგებობანი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით; ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია ფიქალი. წყობა მშრალია.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, აქ უნდა იყოს სალოცავი ხატი, მაგრამ მისი გარჩევა სხვა ნაგებობებს შორის შეუძლებელია. კომპლექსში ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია სასახლის ნანგრევს, რომლის გაბარიტები გაცილებით აღემატება საერთო განაშენიანებაში არსებულ სხვა ნაგებობებს. სასახლიდან შემორჩენილია დარბაზი და სხვა სათავსები, საერთო გეგმაში კომპაქტურადაა ჩაწერილი საჯინიბო (ან ბოსელი).

დარბაზი გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, რომელსაც დასავლეთით თაღოვანი შესასვლელი აქვს. დარბაზს დასავლეთიდან ებჯინება ორსათავსიანი ნაგებობა და საჯინიბო (ან ბოსელი). სა-



სასახლის ნანგრევები. სამხრეთი ფასადი.

ჯინიბოს ჩრდილოეთ კედელში ორი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.

სასახლის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები. იმის გამო, რომ ტერიტორიაზე მოდებულია მაღალი და მრავალრიცხოვანი მცენარეები, მისი დაწვრილებითი აღწერა არ ხერხდება.

## სოფ. შამბიეთი

# ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია მდებარეობს სოფლის მიდამოებში. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით დუღაბზე. გუმბათი ამჟამად მთლიანად ჩამოქცეულია. მკლავები თანაბარი ზომისაა. აღმოსავლეთით ნახევარწრიულ აბსიდს განიერი ბემა აქვს. შვერილი აბსიდი გარედან წახნაგოვანია. მისი ცენტრალური ნაწილი ჩამონგრეულია. ეკლესიას სამხრეთიდან დიდი ზომის თაღოვანი სარკმელი, ჩრდილოეთით და დასავლეთით კი



ეკლესიის გეგმა.

თაღოვანი შესასვლელები აქვს. სამივე შესასვლელს კარიბჭე აქვს. აქედან ჩრდილოეთი შესასვლელი ამო'შენებ'ულია და მოწყობილია სარკმელი. ჩრდილოეთი კარიბჭის მხოლოდ ერთი სვეტია შემორჩენილი. სამხრეთი კარიბჭე მთლიანად მორღვე'ულია. დასავლეთი კარიბჭის ნახევარწრი'ული თაღები ოთხკ'უთხა სვეტებს ეყრდნობა. ეკლესიის მკლავები გარედან წახნაგებს ქმნიან. ძეგლის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

ძეგლი ძლიერ არის და'ზიანებ'ული.



**ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.**

# სოფ. შელეული

## კოშკის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები.

კოშკი მდებარეობს სოფლის განაპირას, სამხრეთ-აღმოსავლეთით 300-400 მეტრში. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვებით, სქელ დუღაბზე.

შემორჩენილია სამხრეთი კედელი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე. სიმაღლე 4-5 მეტრს აღწევს.

დანარჩენი კედლები არ იკითხება. სართულიანობის დადგენა არ ხერხდება.



სამხრეთ-აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი.




კოშკის ნანგრევის გეგმა.

## სოფ. შუა მოხისი

# ეკლესია

### განვითარებული შუა საუკუნეები.

ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, სქელ დუღაბზე. კედლები შემორჩენილია 1 მეტრის სიმაღლეზე, ზოგან უფრო ნაკლები.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ჩრდილოეთით ნიშის კვალია. ჩრდილოეთით შემორჩენილია პილასტრის მხრის ნაწილი და სამხრეთი შესასვლელის მარჯვენა წირთხლის ქვედა ნაწილი. ფასადებზე შემოცლილია პერანგი. ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით.




ეკლესიის გეგმა.

## ნასოფლარი შულაური

# ნასოფლარი

მდ.ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, სოფლების გაბილთასა და გნულს შორის მთის ფერდობზე მდებარეობს ნასოფლარი შულაური. ბანიანი სახლები ტერასულად იყო განლაგებული. სახლები გეგმით კვადრატულია. მათი გადახურვა მთლიანად ჩამონგრეულია. შენობები ნაგებია ფლეთილი ქვით, წყობა მშრალია.

ნასოფლარის ქვემოთ, ფერდობის ძირას შემორჩენილია 9 აკლდამა. მცირე ზომის აკლდამები გეგმით კვადრატულია და გადახურულია ფიქალით.

## სოფ. ჩანდიანი

# ეკლესიის ნანგრევი

### განვითარებული შუა საუკუნეები.

ეკლესიიდან შემორჩენილია ნახევარწრიული აბსიდის ნაწილი, რომლის სიმაღლე 3-4 მეტრს აღწევს. აბსიდის სარკმელი წირთხლებმორღვეულია.

გრძივი კედლების შემორჩენილი ნაწილები ერთი მეტრის სიმაღლისაა. კედლები პერანგშემოცლილია.



ეკლესიის გეგმა.



აღმოსავლეთი ფასადი.

## სოფ. ჩაფარუხი

# ზურგიანი კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

კოშკი სოფლის მიდამოებში დგას. ნაგებია რუხი ფერის, სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით.

გეგმით მართკუთხა კოშკს ჩრდილოეთიდან ზურგი აქვს. კოშკი შემორჩენილია ექვსი სართულის დონეზე. მეორე სართულის სამხრეთ კედელში გაჭრილია არქიტრავული შესასვლელი; კარი ნაოთხალია. დატანებული აქვს საურდულე.

კოშკის სამხრეთი კედლის პირველ, მესამე და მეოთხე სართუ-

ლებზე გაჭრილია სათოფურები. მეხუთე სართულის სამხრეთ კე-
დელში შესასვლელის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია.

მეექვსე სართულის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი.

კოშკი ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვით.



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.




ზურგიანი კოშკის გეგმა.

## სოფ. ჩაფარუხი

# ეკლესია

### VIII-IX სს.

ძეგლი ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ასევე სწორკუთხა საკურთხევლით დასრულებულს, რომლის ცენტრში შემორჩენილია სარკმლის კვალი. მხოლოდ ჩრდილოეთი კედელია 4 მეტრის სიმაღლეზე, დანარჩენი კედლები 50-100 სმ-ს აღწევს.

ეკლესიას სამხრეთიდან სწორკუთხა,




ეკლესიის გეგმა.



ხედი დასავლეთიდან.

თანადროული მინაშენი ჰქონდა. მისგან მხოლოდ აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლის მცირე ნაწილია შემორჩენილი. აღმოსავლეთის კედელში მოთავსებულია სწორკუთხა სარკმელი.

ეკლესია ძლიერ არის დაზიანებული.

## სოფ. ჩაფარუხი

# კოშკის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები.



ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტი.

კოშკი სოფლის - ("როენთას") მიდამოებში მდებარეობს. ნაგები იყო სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით.

კედლები შემორჩენილია 1 მეტრის სიმაღლეზე, ზოგან უფრო ნაკლები.

გეგმა არ იკითხება. ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით.

## სოფ. ჩაფარუხი

# ზურგიანი კოშკი

### ადრე შუა საუკუნეები.

ზურგიანი კოშკი მდებარეობს სოფ. ჩაფარუხის დასავლეთით 700-600 მეტრში, ძველ ნასახლართან.

ძეგლი 8 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი; მისი ზედა ნაწილი დანგრეულია. სართულიანობის დადგენა ჭირს. ნაოთხალი შესასვლელი გაჭრილია სამხრეთ კედელში.




ზურგიანი კოშკის გეგმა.

## სოფ. ჩაფარუხი

# ზურგიანი კოშკის ნანგრევი

### ადრე შუა საუკუნეები.



ხედი დასავლეთიდან.

სოფლის მიდამოებში შემორჩენილი კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით.

გეგმით კვადრატს უახლოვდება, რომელსაც ჩრდილოეთით ზურგი აქვს. კოშკი მთლიანად ამოვსებულია მიწით და ქვით, ამდენად ზუსტი აღწერა ჭირს.

კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთით შემორჩენილია ნასოფლარი. აქ მდებარე სათავსების ფრაგმენტები ფლეთილი ქვისაა.

## ქ. ცხინვალი

# ამაღლების ეკლესია

### XVI-XVII სს.

ქალაქის აღმოსავლეთ განაპირას მდებარე ეკლესია რიყის ქვით და ქართული აგურითაა აშენებული. იგი დარბაზულია. ინტერიერში აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა, ცენტრში თაღოვანი სარკმლით. აბსიდას კუთხეებში თაღოვანი ნიშები აქვს. კონქი სფერული ფორმისაა.

გრძივი კედლების აღმოსავლეთ ნაწილში განიერი, თაღოვანი სარკმლებია, ამ კედლების ცენტრებში პილასტრებია. მათზე გადადის განიერი თაღი, რომელიც იჭერს ცილინდრულ კამარას. დასავლეთი კედლის ზედა, ცენტრალურ ნაწილში თაღოვანი სარკმელია.

ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილშია. იგი გარედან თაღოვანია. შიგნიდან კარები არქიტრავული იყო, მაგრამ არქიტრავი ჩამოვარდნილია. შიდა კედლები შელესილია.

აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის თავზე აგურის წყობაში ჩაძირული, გოლგოთის ჯვარია გამოსახული. ეკლესიას გარს უვლის აგურის სამი ზოლისგან შემდგარი ლავგარდანი. აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადების კუთხეებში ორ-ორი პილასტრია. სამხრეთი-



**ხედი სამხრეთიდან.**



ეკლესია ამაღლება. აღმოსავლეთი ფასადი.

სა და ჩრდილოეთისაზე სამ-სამი.

ფასადები ნაშენია რიყის ქვით, აგურის წყობის მონაცვლეობით. დასავლეთ ფასადს კეხზე დადგმული აქვს აგურის მცირე სამრეკლო.

კამარა და დასავლეთი კედელი დამსკდარია. ჩამოდის წყალი.

## ქ. ცხინვალი

# წმ. გიორგის ეკლესია (ზღუდერი)

### XVII საუკუნე.

ქალაქის სასაფლაოზე მდებარე ეკლესიის სამხრეთის შესასვლელის თავზე შემორჩენილია ქვის ფილა ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერით: "ჵოი, ახოვანო მოწამეთა შორის მთავარ მოწამეო წმინდაო გიორგი (მწე და) მფარველ გვექმენ ორთავე შინა ცხოვ(რებასა მადიდე) ბელსა დედოფალთ დედოფალსა ხელმწიფის დად(იანის დასა) მარიამს და ნაცვალ გვაგე მადლი დაფარევა შენ მიერი დღესა მას დიდისა გან (კით) ხვისასა, ამინ."

აღმოსავლეთი ფასადის წარწერა მოთავსებულია სარკმლიდან მარცხნივ. წარწერა სამსტრიქონიანია: "წმინდაო, ღვაწლისა მძლეო, მოწამეთა შორის წარჩინებულო წმინდაო (გიორგი) ზღუდრი (საო მწე და) მფარველ ექმენ ტაძრისა შენისა და ზედა მდგომელსა მ (იქაელსა)... ძეს იოანეს ცოდვანი მის(ნი შეუნდვენ, ამინ).

დარბაზული ეკლესია დგას ხელოვნურ სუბსტრუქციაზე. იგი

მთლიანად შეთეთრებულია, წარწერიან ქვაზე კირია გადასმული. სადა, ეკლესიის ერთადერთ მორთულობას წარმოადგენს ჯვრის რელიეფური გამოსახულება, რომელიც მოთავსებულია დასავლეთ ფასადზე.

ეკლესია არ გამოირჩევა ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით. იგი მნიშვნელოვანია თავის ორი წარწერით.



**წმ.გიორგის ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი.**

## ქ. ცხინვალი

# ღვთისმშობლის სამრეკლო-სამლოცველო

## XIX ს.

ჯაფარიძის ქ.№8 -ში მდებარე სამრეკლოს ქვედა სართული სამლოცველოდ გადაუკეთებიათ, ხოლო ეკლესია დაანგრიეს XX ს-ის 60-იან წლებში. მის ადგილას ააშენეს საცხოვრებელი სახლი. ეკლესია და სამრეკლო ქართული აგურით იყო ნაშენი.




სამრეკლო-სამლოცველოს გეგმა.

სამრეკლო-სამლოცველო სწორკუთხა ნაგებობაა. შესასვლელი სამხრეთ კედელშია. სათავსი გადახურულია დაბალი გუმბათით. იგი ოთხივე მხარეს თაღებს ეყრდნობა. დასავლეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია. იატაკი ბეტონისაა. კედლები შელესილ-შეთეთრებულია.



დასავლეთი ფასადი.

მეორე სართული მონგრეულია. გადარჩენილია აგრეთვე სვეტე-ბის ბაზისები. ისინი მრგვალი ფორმისაა.

სამრეკლოს აღმოსავლეთიდან გაურკვეველი დანიშნულების კე-დლის ფრაგმენტები ემიჯნება.

ძეგლი ავარიულია. აღმოსავლეთიდან სამრეკლოს მიშენებული აქვს ავტოსადგომი.

## ქ. ცხინვალი

# კოშკი

### გვიანი შუა საუკუნეები.

კოშკი, რომელიც საბანოვის ქ.№4 დგას ნაგებია დიდი ზომის რიყის ქვებით სქელ დუღაბზე. გეგმით კვადრატია, სამხრეთით გა-აჩნია თაღოვანი შესასვლელი. შესასვლელის ორივე მხარეს სწორ-კუთხა ნიშებია. ასეთივე თითო ნიშა დატანებულია დანარჩენ კედ-ლებში. კოშკი გადახურული იყო შეისრული კამარით. შემორჩენი-ლია კამარის ქვედა წყობის ფრაგმენტები. დასავლეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია.

შემორჩენილია მეორე სართულის ჩრდილოეთი კედლის ნაწილი.

ჩამონგრეულია კოშკის აღმოსავლეთი კედელი. იატ-აკი ავსებულია ჩამონაშალი ქვა-ღორღით. კედლებზე შე-მოხვეულია სურო.




კოშკის გეგმა.

## ქ. ცხინვალი

# კავთის წმ.გიორგის ეკლესია

### X-XI სს.

ტელმანის ქ.№85-ში მდებარე ეკლესია აგებულია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით სქელ დუღაბზე, რომელიც შემდეგ შეულესიათ. ფასადების კუთხეები კარგად თლილი ქვითაა ამოყვანილი.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ცენტრში მაღალ თაღოვან ნიშში ორმაგჭრილიანი, თაღოვანი სარკმელია, შუაში ქვის სვეტი. აბსიდის სამხრეთით სწორკუთხა და ჩრდილოეთით თაღოვანი ნიშებია. ნახევარსფერულ კონქში შემორჩენილია ფრესკების ფრაგმენტები. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღები და კედლის თაღები ორსაფეხურიან პილასტრებს ეყრდნობა. კამარის ცენტრალური თაღი ორსაფეხურიანია. სამხრეთი კედლის თაღის მალებში



**ხედი ჩრდილო აღმოსავლეთიდან**

გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმლები. ინტერიერი მთლიანად შელესილია. ნალესობა მრავალ ადგილას ჩამოცვენილია.

ეკლესიას შესასვლელი სამივე მხრიდან ჰქონდა, აქედან ჩრდილოეთისა და სამხრეთის ამოშენებულია. დასავლეთ შესასვლელს შეისრული თაღი აქვს. კარი ნათხალია. შესასვლელის თაღი მასიურ წირთხლებს ეყრდნობა. დასავლეთ ფასადზე ორი უსისტემოდ ჩალაგებული ჩუქურთმიანი ქვაა.



წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.

აღმოსავლეთ სარკმლის შუა სვეტზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადები გლუვია.

ეკლესიის კარნიზი თაროა. საბურავად გამოყენებულია კრამიტი. ერთსაფეხურიანი ცოკოლი საკმაოდ მაღალია.

## ქ. ცხინვალი

# წმ. გიორგის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

რიყის ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია მდებარეობს სომხის ქ.№16.

ძეგლის კუთხეები ქართული აგურითაა ამოყვანილი.

ინტერიერში აღმოსავლეთით არის ნახევარწრიული აბსიდა. იგი ცენტრში მონგრეულია და სწორკუთხა შესასვლელი აქვს დატანებული. ზედა ნაწილში ოდნავ შეისრულთაღიანი სარკმელია. სამხრეთ და ჩრდილოეთ კუთხეებში აბსიდას შეისრული ფორმის თაღოვანი ნიშები აქვს. აბსიდა გადა-



წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.

ხურულია სფერული კონქით.

ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში შეისრულთაღიანი სარკმელია. მის მოპირდაპირე მხარეს, სამხრეთ კედელში, ნახევარწრიული თაღის მქონე სარკმელია.

გრძივი კედლების ცენტრებში განიერი პილასტრებია. თაღი ეყრდნობა ორივე პილასტრს და იჭერს კამარას (თაღი და კამარა შეისრულია). სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში გარედან თაღოვანი და შიგნიდან სწორკუთხა ფორმის განიერი შესასვლელია. დასავლეთი კედლის ზედა, ცენტრალურ ნაწილში შეისრულთაღიანი სარკმელია. ამ კედელს კუთხეებში ადუყვება პილასტრები და შეისრული ფორმის კედლის თაღი. გრძივ კედლებს კამარის დასაწყისში აქვს ოთხ-ოთხი მცირე ნიშა.

ძირითად სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის ქვა; კონქი, კამარა, პილასტრები და თაღები ქართული აგურით არის ამოყვანილი.

ეკლესიის ფასადებს შემოუყვებოდა ქართული აგურის კარნიზი, რომელიც ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. აღმოსავლეთ ფასადის ზედა ცენტრალურ ნაწილში, აგურის წყობაში გამოყვანილია ჯვარი. სახურავს დასავლეთ კეხზე დადგმული აქვს ოთხსვეტიანი აგურის სამრეკლო-ფანჩატური. ფასადები რიყის ქვისაა, კუთხეები - ქართული აგურის, სახურავი დაფარულია მიწით და ზედ ბალახია ამოსული.



**სამხრეთი ფასადი.**

## სოფ. ძარი

# მთავარანგელოზის ეკლესია

### X ს.



ინტერიერი. ჩრდილო-აღმოსავლეთი ფრაგმენტი

სოფლის სასაფლაოზე მდგარი ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის მოყვითალო ფერის უხეშად დამუშავებული ქვით. წყობა შერეულია.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს; აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის სამხ-



მთავარანგელოზის ეკლესიის გეგმა.



ჩრდილოეთი ფასადი.

რეთით და ჩრდილოეთით დიდი ზომის სწორკუთხა ნიშებია. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია პილასტრებით.

გრძივი კედლები წყვილი პილასტრების საშუალებით თითქმის სამ თანაბარ ნაწილად იყოფა. ფართო შესასვლელები დასავლეთიდან და სამხრეთიდანაა. წირთხლები ამოყვანილია კარგად დამუშავებული ქვებით.

ეკლესიის კამარა და კონქი ჩამოქცეულია. აბსიდის კედლების სიმაღლე 2-3 მეტრს აღწევს. გრძივი კედლების ნახევარზე მეტი ჩამონგრეულია. აღმოსავლეთი სარკმელი მორღვეულია. ეკლესია ძლიერ არის დაზიანებული.

## სოფ. ძარწემი

## გალავნები

### შუა საუკუნეები.

სამხრეთ-დასავლეთით 1 კმ-ზე, (ადგილი "გალავნები"), მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირზე შემორჩენილი გალავანი სწორკუთხა ფორმისაა. იგი ძლიერ დაზიანებულია. მდინარისპირა ფლატის ჩამოშლისას მთლიანად დაიღუპა დასავლეთი კედელი. გადარჩენილია ჩრდილოეთი კედლის 20 მ-ის სიგრძისა და 3 მ. სიმაღლის, აღ-



**"გალავნები". სამხრეთ-დასავლეთი კედლის ფრაგმენტი.**

მოსავლეთი კედლის ხუთიოდე მეტრის სიგრძისა და 3,5 მეტრი სიმაღლის ფრაგმენტები. სამხრეთი კედლიდან მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის მცირე ფრაგმენტი გადარჩა; ჩანს საძირკველი. აღმოსავლეთ კედელთან იკითხება ნაგებობათა ნაშთი, რომელთა გეგმისა და ფუნქციის დადგენა გათხრა-გაწმენდის გარეშე შეუძლებელია.

გალავანი ნაშენია რიყის და ფლეთილი ქვით.

## სოფ. ძარწემი

# სპარსეთის წმ. გიორგის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 4-5 კმ. მდებარე ეკლესია დარბაზულია, სამხრეთი მინაშენით. ნაშენია რუხი ტუფის უხეშად დამუშავებული კვადრებით და დუღაბის სქელი ხსნარით.

მთავარი დარბაზი აღმოსავლეთით ოდნავ შებრტყელებული ნახევარწრიული აბსიდითაა დასრულებული. ცენტრში თაღოვანი სარკმელია. კონქი და კამარა ცილინდრული ფორმისაა. ტრიუმფალური თაღი ეყრდნობა კრონშტეინებს. სამხრეთი კრონშტეინის ქვეშ მცირე ზომის სარკმელია. აბსიდში, კედელთან, მიდგმულია მასიური ტრაპეზის ქვა. აბსიდის იატაკი სამი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკზე. აბსიდა დარბაზისაგან გამოყოფილია ოთხსვეტიანი ქვის კანკელით. სამხრეთ კუთხეში მცირე ზომის სწორკუთხა ნიშაა.

სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში სწორკუთხა შესასვლელია. აქ ჩამობმულია ხის მასიური, რკინით შეჭედილი კარები, ასეთივე წირთხლებით. სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნახევარს, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებს ერთსაფეხურიანი ხარისხი გაუყვება. დასავლეთი კედლის ზედა, ცენტრალურ ნაწილში თაღოვანი ნიშაა. ეკლე-




ეკლესიის გეგმა.

სიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დგას მრგვალი ფორმის, მასიური ბუნის ქვა, რომელშიც ჩადგმულია ორი მეტრის სიმაღლის ხის ჯვარი. ინტერიერი შელესილ-შეთეთრებულია.

სამხრეთი მინაშენი გარანდულია, ეკლესიის ფასადსა და მინაშენს შორის საკმაოდ შესამჩნევი ღიობებია. მინაშენი შუაში გადატიხრულია ორ ნაწილად. დასავლეთ ნაწილის სამხრეთ კედელში შიგნიდან თაღოვანი და გარედან არქიტრავული შესასვლელია (არქიტრავი ჩამოვარდნილია). შესასვლელს რკინის ფირფიტებით შეჭედილი კარები აქვს. დასავლეთ კედლის ცენტრში მცირე ზომის, სწორკუთხა ფორმის სარკმელია; სამხრეთით - ნიშა. მინაშენის ტიხარში დაბალი, სწორკუთხა წირთხლებიანი შესასვლელია. მინაშენის აღმოსავლეთი ნაწილი უაბსიდოა. აღმოსავლეთ კედელში მცირე ზომის სარკმელია. მინაშენი ნახევარკამარითაა გადახურული. ნაშენია ფლეთილი ქვით.

ყველა ფასადი ნაშენია რუხი ფერის ტუფის უხეშად დამუშავებული კვადრებით. ეკლესიას შემოუყვება სწორკუთხა პროფილიანი, მარტივი კარნიზი. დასავლეთი სარკმლის გვერდებზე და თავზე ბაზიანი ჯვრებია გამოსახული.

ეკლესიას და მინაშენს ერთიანი გადახურვა აქვს. სახურავ მასალად კრამიტია გამოყენებული.

## სოფ. ბარწემი

# წმ. გიორგის ეკლესია

### X-XII სს. გვიანდელი შეკეთებით.

ეკლესია ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით, რომელიც შემდეგ შელესილია. კარ-სარკმლებზე გამოყენებულია თლილი ქვები.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვაა. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით სწორკუთხა ნიშებია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ ხის კანკელი და სოლეაა. კანკელი მოხატულია.

ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი პილასტრის კაპიტელებს ეყრდნობა. დასავლეთით მოწყობილია ხის პატრონიკე.

ინტერიერი ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის თაღოვანი სარკმლებით. იატაკი დაგებულია ქართული აგურით. კედლები შელესილ-შეთეთრებულია. სამხრეთი შესასვლელი გარედან არქიტრავული, შიგნიდან - თაღოვანია. კარი ნათხალია. არქიტრავის ქვის მარჯვენა ზედა კუთხეში ჩაყოლებულია ორნამენტირებული ქვა (კანკელის ფილის ფრაგმენტი).

ეკლესიას სამხრეთიდან მინაშენი აქვს. მინაშენის ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა. ამ კრონშტეინებსვე ეყრდნობა ჩრდილოეთ კედელზე გადასული დეკორატიული თაღები. აღმოსავლეთით დიდი ზომის შეისრულთაღიანი ნიშაა, რომელშიც გაჭრილია მცირე ზომის სარკმელი. მინაშენში



**სამხრეთი ფასადი.**




**წმ.გიორგის ეკლესიის გეგმა.**

შესასვლელი დასავლეთიდანაა.

ფასადები მოკლებულია დეკორატიულ მორთულობას. კარნიზი მარტივპროფილიანია. საბურავად გამოყენებულია კრამიტი.

ფასადების მორთულობის დეკორატიული სისტემის მიხედვით ეკლესია განეკუთვნება X-XI საუკუნეებს.

ეკლესიას მრავალი შეკეთება-გადაკეთების კვალი ატყვია, რამაც ნაწილობრივ ფასადებს დაუკარგა თავდაპირველი სახე.

დაზიანებულია ეკლესიის კამარა, სარკმლები, მინაშენის იატაკი. სახურავზე ამოსულია მცენარეები.

## სოფ. დრომი

# ეკლესია

### ადრე შუა საუკუნეები.

სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კილომეტრზე, ნასოფლარ "სარკინეთში" **მდებარეობს სამნავიანი ეკლესია, ნაგები სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობაში გამოყენებულია ფიქალი.**



**ეკლესიის გეგმა.**

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით მკვეთრად მოხაზული ნალისებრი აბსიდით. ცენტრალური ნავის აბსიდის ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. აბსიდა დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით. ჩრდილოეთი ნავის აბსიდა სწორ-

კუთხაა. ნავები ორ არათანაბარ მონაკვეთად იყოფა. შიდა სივრცე მაღალი, ღია თაღების საშუალებით სამ ნავად იყოფა. თაღები კუთხის პილასტრებს და თავისუფლად მდგარ მასიურ სვეტებს ეყრდნობა. ნავებში მოთავსებულია სამკვეთლო და სადიაკვნე. სამხრეთი ნავი აღმოსავლეთით ნალისებრი აბსიდით სრულდებოდა. შემორჩენილია მისი მცირე ნაწილი.

არქიტრავული შესასვლელი დასავლეთიდანაა. ეკლესიაში მიწის დონე ძლიერ აწეულია.

დასავლეთ ფასადის ზედა წყობაში ჩაყოლებულია რელიეფური ჯვარი.



დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი.

ეკლესიის კამარა და კონქი ჩამოქცეულია. ფასადები თითქმის პერანგშემოცლილია. კედლები დეფორმირებულია. თაღები და სარკმლები დაზიანებულია. კედლებზე მოდებულია მცენარეები.



ინტერიერი, ცენტრალური ნავის გრძივი კედლის ფრაგმენტი.

## სოფ. წიფორი

# ეკლესია წმ. გიორგი

### VIII-IX სს.

ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით და ფიქალით თხელ დუღაბზე.

ეკლესიიდან შემორჩენილია აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების მცირე ნაწილი.

ეკლესია სწორკუთხა საკურთხევლით სრულდება, ცენტრში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. სარკმლის მარჯვენა მხარეს სწორკუთხა ნიშაა მოთავსებული. კონქზე გადასვლა ხდებოდა ტრომპების საშუალებით.

აღმოსავლეთ ფასადს ფართო ზოლად მიუყვება დიდი ზომის ფიქალის რიგი.



წმ. გიორგის ეკლესიის გეგმა.



აღმოსავლეთი ფასადი.

## სოფ. წიფორი

# წითელი ჯვარი - ნაგებობის ნაშთი

### ადრე შუა საუკუნეები.

წმ.გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთით 20 მეტრის მოშორებით შემორჩენილია ნაგებობის ნაშთი, რომელსაც "წითელ ჯვარს" ეძახიან.

ნაგებობა გეგმით სწორკუთხედს უახლოვდება. შემორჩენილია დასავლეთი და სამხრეთი კედლები, რომელთა სიმაღლე ორ მეტრს აღწევს. დანარჩენი კედლები განადგურებულია.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია დიდი ზომის ფლეთილი ქვა.

ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით.



დასავლეთ ფასადის ფრაგმენტი.




ნაგებობის გეგმა.

## სოფ. წიფორი

# კოშკი

### განვითარებული შუა საუკუნეები.

წიფორის კოშკი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წვრილი ქვით.

კოშკი გეგმით კვადრატს უახლოვდება. იკითხება ორი სართუ-



ხედი ჩრდილოეთიდან.




კოშკის გეგმა.

ლი; აქედან პირველი სართული ამოვსებულია მიწით და ჩამონაშალი ქვებით. მეორე სართულის სამხრეთ კედელში მოთავსებულია თაღოვანი ნიშები, რომლებშიც სათოფურებია გაჭრილი. დასავლეთი სათოფური ამოქოლილია.

დასავლეთ კედელში გაჭრილია არქიტრავული სარკმელი. ჩრდილოეთი კედელი მთლიანად ჩამონგრეულია.

კოშკის გარშემო მიწის დონე აწეულია.

## სოფ. წყალწმინდა

# ნაეკლესიარი

ეკლესია მდებარეობს სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2 კმ-ში მთაზე. ძეგლი ნაგებია ფლეთილი ქვით, ალაგ-ალაგ შეიმჩნევა დუღაბი. დიდი ზომის ქვებისგან ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გაკეთებულია სალოცავი ნიში.

გათხრის გარეშე გეგმის წაკითხვა და დათარიღება შეუძლებელია.

## სოფ. ჯალისუბანი

# ეკლესია მინაშენით და კოშკით

### VIII-IX ს.ს. და გვიანი შუა საუკუნეები.

ეკლესია მდებარეობს მდ.მეჯუდას მარცხენა ნაპირას, მთაზე. ნაგებია სხვადასხვა ზომის ფიქალით და ფლეთილი ქვით-დუღაბზე.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ასევე სწორკუთხა საკურთხევლით, რომლის ცენტრში გაჭრილია შიგნით თაღოვანი, გარეთ სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო ნიშაა. სფერულ კონქზე გადასვლა ტრომპების საშუალებით ხდება. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. აბსიდის იატაკის დონე ორი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკთან შედარებით. საკურთხევლის წინ შემორჩენილია კანკელი.

ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია, კარის დასავლეთი საბრჯენი თაღი იმპოსტებს ეყრდნობა. დარბაზი განათებულია დასავლეთ სწორკუთხა სარკმლით. სამხრეთ და დასავლეთ კედელს ერთსაფეხურიანი ხარისხი გასდევს.



აღმოსავლეთი ფასადი.

არქიტრავული შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა, შესასვლელის თავზე ღრმა, თაღოვანი ნიშაა, კარი ნათოხალია. ეკლესიაში შემორჩენილია ნალესობის კვალი.

ეკლესიას ჩრდილოეთიდან სწორკუთხა მინაშენი აქვს. იგი ორი სათავსისაგან შედგება. დიდი სათავსის ჩრდილოეთ კედელში ერთი სარკმელია გაჭრილი. სათავსის კედლებს პი-

ლასტრები ორ ნაწილად ჰყოფს. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. მინაშენის კედლების სიმაღლე 1-1,5 მეტრს აღწევს.



ეკლესიის გეგმა.

ეკლესიის დასავლეთის მიჯრით სამსართულიანი ოთხკუთხა კოშკი დგას. აქედან პირველი სართული მიწითაა ამოვსებული. ამ სართულზე არქიტრავული შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. კარი ნაოთხალია. შემორჩენილია სართულშუა გადახურვის კოჭების ბუდეები. პირველი სართულის სამხრეთ კედელში ერთი სათოფურია, ხოლო დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებში თითო სწორკუთხა ნიშა.

მეორე სართულის სამხრეთ კედელში ერთი ნიშაა, დანარჩენი კედლები ყრუა. ეკლესიას და კოშკს ერთი საერთო სარკმელი აქვს.

მესამე სართულის აღმოსავლეთ კედელში სარკმელია გაჭრილი. მესამე სართული ნაწილობრივ შემორჩენილია.

ეკლესიის გარშემო ბზის ტყეა.

## სოფ. ჯალისუბანი

# ქვირაცხოვლის ეკლესია

### VIII-IX სს.



ეკლესიის გეგმა.

ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით დუღაბზე. გეგმით მართკუთხედს წარმოადგენს. აღმოსავლეთით გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი, რომლის ძირში ტრაპეზის ქვა დგას. ეკლესიის კამარა ნახევარცილინდრულია. ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებში მოთავსებულია სწორკუთხა ნიშები. სამხრეთი შესასვლელი არქიტრავულია. კარი ნაოთხალია.

ინტერიერი ამოვსებულია მიწით.



აღმოსავლეთი ფასადი.

ეკლესიის ფასადები სადაა.

ძეგლის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

ეკლესია ძლიერ არის დაზიანებული.

## სოფ. ჯარები

# ღვთისმშობლის ეკლესია

### X-XI საუკუნეები, გადაკეთებულია XIV ს.

დარბაზული ეკლესია ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით დუღაბზე. ალაგ-ალაგ წყობა შევსებულია წერილი ქვით. დასავლეთ ფასადზე შემორჩენილია შელესილობის კვალი.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებული ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი. აბსიდის ჩრდილოეთით ერთი თაღოვანი, სამხრეთით კი ღრმა ნახევარწრიული ნიშაა, რომელშიც გაჭრილია ვიწრო სარკმელი და კიდევ ერთი მცირე ნიშა. აბსიდის კონქი სფერულია. სატრიუმფო თალი აბსიდის სამსაფეხურიან



**ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.**

მხრებს ეყრდნობა.

საკურთხევლის წინ შემორჩენილია სოლეა და ხის კანკელის მცირე ნაწილი.

გრძივი კედლები სამსაფეხურიანი პილასტრების საშუალებით ორ ნაწილად იყოფა. პილასტრების ცენტრალურ საფეხურს, ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი ეყრდნობა. გვერდით საფეხურებს კი კედლის თაღები ებჯინება.

ეკლესია ნათდება აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის ორი თაღოვანი სარკმლით. სარკმლის წირთხლებისათვის და კედლის თაღებისათვის ქართული აგურია გამოყენებული.

დასავლეთი შესასვლელი შიგნით არქიტრავული, გარეთ - თაღოვანია. კედლები შელესილ-შეთეთრებულია. იატაკზე დასხმულია ბეტონი.

ეკლესიის ფასადები სადაა. დასავლეთ კეხზე მცირე ზომის თაღოვანი სამრეკლოა. სამრეკლო ნაგებია ქართული აგურით.



კარნიზი მარტივპროფილიანია.

ეკლესიის კედლები მრავალ ადგილას დაზიანებულია. სახურავი დაზიანებულია. ეკლესიის გარშემო მიწის დონე აწეულია.

**ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.**

## სოფ. ჯარები

# სამების ნაეკლესიარი

სოფლიდან აღმოსავლეთით 7-8 კმ-ზე, (ადგილი "მერია) შემორჩენილია ნაეკლესიარი.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ქვების გროვას, რომლის გეგმა არ იკითხება, სამებას ეძახიან. ძნელი დასადგენია რა სახის ეკლესია იდგა ამ ადგილას.

მოთეთრო ფერის ადგილობრივი ჯიშის კლდის ნამტვრევები მოიცავს დიდ ტერიტორიას. შესაძლებელია სწორედ ეს მასალა იყო გამოყენებული ეკლესიის მშენებლობისათვის.

ძეგლის დათარიღება გათხრა-გაწმენდის გარეშე არ ხერხდება.



**ნაეკლესიარი სამება. ხედი სამხრეთიდან.**

## სოფ. ჯარები

# ქარქიაანთ ეკლესია

### ადრე შუა საუკუნეები.



ქარქიაანთ ეკლესიის გეგმა.

სოფლიდან აღმოსავლეთით 5-6 კმ-ზე (ადგილი "მერია"), დგას დარბაზული ეკლესია, ნაგები სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით.

გეგმით სწორკუთხა, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით სრულდება. გრძივ კედლებზე შემორჩენილია პილასტრები. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა. ამათგან სამხრეთისა - ნათხალია.

კედლების სიმაღლე 4 მეტრს აღწევს, ზოგან უფრო ნაკლებია. მიწის დონე ძლიერ აწეულია.

ეკლესიის სამხრეთით მწორკუთხა გეგმის გაურკვეველი დანიშნულების



ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტი.

ნაგებობათა ნანგრევებია. ასეთივე ნანგრევია მიჯრილი ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხეზე. ტერიტორია სავსეა ჩამონაშალი ქვით.

ძეგლი ძლიერ დაზიანებულია.

## სოფ. ხადურიანთუბანი

# ციხე-სიმაგრის ცილინდრული კოშკი

## XVIII. ს.

სიმაგრე შედგება ორი ცილინდრული კოშკისა და გალავნისაგან. დასავლეთით მდებარე კოშკი თითქმის მთლიანად დანგრეულია. სიმაგრე მდებარეობს მდ.პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე, მდინარეში შეჭრილ კლდოვან კონცხზე, რომელსაც სამი მხრიდან მდინარე შემოუყვება.

აღმოსავლეთის კოშკი ოთხი სართულის დონეზე შემორჩა.

პირველ სართულს გარედან შესასვლელი არ გააჩნია. მასში მოხვედრა შეიძლება მეორე სართულიდან, კედელში ჩატანებული 10 საფეხურიანი კიბით. ჩრდილოეთით სწორკუთხა კარებია. კოშკის შიდა ფორმები იმეორებს გარეთა ფორმებს, სათავსები მრგვალი გეგმისაა. ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დაბალი და განიერი, სწორკუთხა ნიშია, რომლის კუთხეებში ორი სათოფურია გაჭრილი. კედლის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში გაჭრილია ირიბი სარკმლები, რომლის გარეთა ღიობები ცერად მიემართებიან და საკმაოდ მაღლა გამოდიან გარეთა ზედაპირზე. სამხრეთ-აღმოსავლეთით და დასავლეთით ისეთივე ნიშებია, როგორიც ჩრდილოაღმოსავლეთით. სართული გადახურული იყო ბრტყელი, კოჭოვანი ჭერით, რომელიც ჩამონგრეულია.

მეორე სართული - გადახურულია კონუსისებრი გუმბათით. ჩრდილოეთით თაღოვანი შემოსასვლელია. გარედან შემოდიოდნენ მისადგმელი კიბით. კარს აქვს საურდულე. ჩრდილო-აღმოსავლეთით თაღოვანი კარებია, საიდანაც იწყება მესამე სართულზე ასასვლელი კიბე. აღმოსავლეთით თაღოვანი ნიშაა შეწყვილებული სათოფურით. ანალოგიური ნიშებია სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით. სამხრეთით თაღოვანი ბუხარია, დასავლეთით სარკმლები. ჩრდილო-დასავლეთით თაღოვანი კარებია, რომლისგანაც იწყება პირველ სართულზე ჩასავალი, კედელში ჩატანებული

კიბე. კიბის ბაქანში სამი სათოფურია, მის შუა სექტორში კი - ერთი.

მესამე სართულს გადახურვა არ შემორჩა. სართულზე ამოსასვლელი (კედელში ჩატანებული) კიბე ჩრდილოეთით მოთავსებულ თაღოვან კარებში შემოდის. დასავლეთ კედელში დატანებულია



**ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.**

სწორკუთხა ნიშა, რომელშიც გაჭრილია ვიწრო სარკმელი. მის ქვემოთ შეწყვილებული სათოფურია. ასეთივე ნიშები (უსარკმლოდ) არის ჩრდილო-დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამხრეთით მდებარე ნიშა განგრეულია. აღმოსავლეთით კედელში ჩატანებულია ტუალეტი. ტუალეტის აღმოსავლეთ კედელში ერთი სარკმელი და სათოფურია. ჩრდილო-აღმოსავლეთით მოთავსებული კარიდან იწყება IV სართულზე ამავალი კიბის ბაქანი.

მეოთხე სართულის კედლები 1 მეტრის სიმაღლისა შემორჩა. ნიშები და სათოფურები მოშლილია. მესამე სართულიდან ამომავალი კიბე ჩრდილოეთით მდებარე კარებთან მთავრდება.

კოშკის დასავლეთით ხუთიოდე მეტრში დგას ანალოგიური კოშკის ნანგრევი. კოშკებს შორის იყო გალავანი. ისიც დანგრეულია. სხვა მხარეს გალავნის ნაშთები არ შეიმჩნევა, თუმცა მათი არსებობა არც იყო საჭირო, ვინაიდან კონცხი ფაქტიურად მიუდგომელია. დასავლეთი კოშკიდან გადარჩა პირველი სართულის ფრაგმენტი. მისი ინტერიერის აღწერა შეუძლებელია ხშირი ბუჩქნარის გამო.

## სოფ. ხაჩირაანი

# კოშკი

**გვიანი შუა საუკუნეები.**

კოშკი მდებარეობს მაღალი მთის ბორცვზე. იგი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით - დუღაბზე. წყობა ქაოსურია.

ოთხკუთხა კოშკი შემორჩენილია ოთხი სართულის დონეზე. შეისრულთაღიანი შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთ კედელშია გაჭრილი. კარი ნაოთხალია და დატანებული აქვს საურდულე.

პირველი სართული ამოვსებულია ჩამონაშალი ქვით. მეორე სა-




კოშკის გეგმა.



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

როულის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში თითო სათოფურია. მესამე სართულის აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებში წყვილი სათოფურია. მეოთხე სართულის აღმოსავლეთ კედელში ერთი და სამხრეთ კედელში ორი სათოფურია.

შემორჩენილია სართულშუა გადახურვის კოჭების ბუდეები.

კოშკის ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. გადახურვა ჩამოქცეულია.

## სოფ. ხეთაგუროვი (ყოფილი წუნარი)

# ღვთისმშობლის ეკლესია

### XIV სს.

გუმბათიანი ეკლესია ნაშენია მუქი რუხი ფერის კარგად დამუშავებული ქვის თანაბარი ზომის კვადრებით. ეკლესიის საერთო ფორმები დაუხვეწავი და არაპროპორციულია - გუმბათი თავისი დიდი ზომით არ შეესაბამება ქვედა ნაწილის დამჯდარ, მცირე ზომის ნაგებობას.

გუმბათი აღმოსავლეთით ეყრდნობა აბსიდის კუთხეებს, დასავლეთით - ორ თავისუფლად მდგარ, რვაწახნაგა სვეტს. გუმბათის ყელზე გადასვლა განხორციელებულია აფრების საშუალებით. გუმბათის ყელი ცილინდრულია. მასში გაჭრილია რვა ვიწრო სარკ-

მელი, რომლებიც დარბაზის სრულ განათებას ვერ უზრუნველყოფენ. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდაა სამი თაღოვანი სარკმლით (სამივე ამოშენებულია). აბსიდს შემოუყვება ერთსაფეხურიანი ხარისხი. ბემის კედლებში გაჭრილია პასტოფორიუმებში თაღოვანი გასასვლელები. ჩრდილოეთი კარი ოდნავ შეისრულია. ორივე გასასვლელი ამოქოლილია. აბსიდის ცენტრში დგას სწორკუთხა ტრაპეზი. აბსიდის ქვის ფილების იატაკი ერთი საფეხურით მაღალია დარბაზის იატაკზე. მას აქვს ნახევარწრიული სოლეა. აბსიდა დარბაზისაგან გამოყოფილია ქვის კანკელით, რომლის ქვედა



**ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.**

ნაწილში ამოკვეთილია ჯვრები და ყვავილები. კანკელს აქვს ერთი, ცენტრალური შესასვლელი ("აღსავლის კარი"). პასტოფორიუმები (სამკვეთლო და სადიაკვნე) დარბაზს უკავშირდება თითო კარით. ამისათვის აღმოსავლეთით აქვს ნახევარწრიული აბსიდები, თითო თაღოვანი სარკმლით. პასტოფორიუმები ცილინდრული კამარებითაა გადახურული.

დასავლეთი სვეტები გრძივ კედლებს და დასავლეთ კედლებს თაღებით უკავშირდება. სამხრეთ და ჩრდილოეთი კედლების ზედა, ცენტრალურ ნაწილებზე თითო თაღოვანი სარკმელია. დასავლეთი კედლის ცენტრში შეისრულთაღოვანი შესასვლელია, მის ზემოთ - ორი სწორკუთხა სარკმელი. მთავარი შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილშია. ინტერიერის კედლები, კამარები, გუმბათის ყელი და კანკელი შელესილ-შეთეთრებულია.

აღმოსავლეთი ფასადი ორი მაღალი სამკუთხა ნიშით სამ ნაწილადაა დაყოფილი. სამხრეთ და ჩრდილოეთ მონაკვეთებზე მცირე, თაღოვანი სარკმლის ჭრილები გამოდის. ცენტრში მაღალი, თაღოვანი, ვიწრო სარკმლის ჭრილია. მის თავზე ტოლმკლავა ჯვრის რელიეფია. ნიშებში გამოდის აბსიდის დანარჩენი ორი სარკმელი.



დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი.

ეკლესიას შემოუყვება თარო-კარნიზი, წრეთარგი და ლილვი. ჩრდილოეთი ფასადის ცენტრალური ნაწილი მაღალი ფრონტონით სრულდება. მის ზედა, ცენტრალურ ნაწილში, სარკმლის ვიწრო ჭრილია მოთავსებული. ფასადის დასავლეთ ნაწილში კედლის წყობაში ჩატანებულია ორი ფილა, რომელიც თავის დროზე სარკმლის არშია უნდა ყოფილიყო (აქვს ორმაგი

"ჭარბი" და სარკმლის თაღის ღიობი). ერთ მათგანზე ჯვრის გამოსახულებაა. დასავლეთი ფასადის ზედა ფრონტონქვეშა ნაწილზე, რელიეფური ტოლმკლავა ჯვარია, რომლის ქვედა მკლავის გვერდებზე ორმაგჩარჩოიანი სარკმლებია. ქვედა, ცენტრალურ ნაწილში სწორკუთხა, ამოშენებული შესასვლელია. მის თავზე რელიეფური "ვარდულია". სამხრეთ და ჩრდილოეთ მხრებზე ორმაგჩარჩოიანი მრგვალი, მცირე ზომის სარკმლებია. სამხრეთი ფასადი ანალოგიური იქნებოდა ჩრდილოეთი ფასადის, რომ არა კედლის დასავლეთ ნაწილში არსებული შესასვლელი. არქიტრავზე ამოკვეთილია აშენების თარიღი 1887, ჯვარი და ბერძნული ან რუსული წარწერა, რომელიც დაზიანებულია და არ იკითხება. შესასვლელს ჰქონდა კარიბჭე, რომელიც, ასევე , არ იკითხება.

გუმბათი 16 წახნაგოვანია. თითო წახნაგის გამოტოვებით აქვს რვა სარკმელი. სარკმლები ორმაგლილვიანი ჩარჩოებითაა შემკული. სარკმლების თავზე, ყოველ წახნაგზე "გირჩებია" ჩასმული. მათ ზემოთ გუმბათს ლილვი და კარნიზი შემოუყვება. გუმბათი დახურულია ლორფინებით; ეკლესია - კრამიტით. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით ხის ოთხბოძიანი ფანჩატური-სამრეკლოა, დიდი რუსული ზარით.

## სოფ. ხეითი

# ეკლესია საბაწმინდა

### X საუკუნის I-ნახევარი.

ეკლესიის დასავლეთ მინაშენზე ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა იყო: "მაჩაბელი გიორგი შეიწყალე". წარწერა ამჟამად დაღუპულია.

ეკლესია ნაგებია კარგად თლილი, მოღვინისფრო ტუფით. წყობა თარაზულია.

ძეგლი წარმოადგენს მაღალ და გრძელ დარბაზულ სივრცეს, რომელსაც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან განივი კამარების მქონე დაბალი და ღრმა ჯიბეები აქვს. ცენტრალური აბსიდის გვერდებზე მოწყობილია სამკვეთლო და სადიაკვნე. ეკლესიას დასავლეთით და გრძივი კედლის დასავლეთ მონაკვეთებში გარშემოსავლელი აქვს. გარშემოსავლელს ორი შესასვლელი აქვს - დასავლე-

თიდან და სამხრეთიდან.

ეკლესიის შიდა სივრცეში, ჯიბეების გვერდებზე განლაგებულია თაღოვანი ნიშები. ჯიბეები იმდენად ღრმაა, რომ ქმნიან განივ ღერძს, რაც მთავარი გრძივი ღერძის პერპენდიკულარულია.

ეკლესიის კამარა ოდნავ შეისრულია. აბსიდა კამარაზე დაბალია, მისი ორსაფეხურიანი ტრიუმფალური თაღი კამარისაგან განსხვავებით ნახევარწრიული ფორმისაა. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო თაღოვანი ნიშაა.

გრძივი კედლები ორსაფეხურიანი წყვილი პილასტრების საშუალებით არათანაბარ ნაწილებად იყოფა. პილასტრებს ეყრდნობა როგორც კამარის საბრჯენი თაღები, ისე კედლის თაღები. ჯიბეები ცენტრალურ სივრცეს მაღალი, ფართე თაღოვანი გასასვლელებით უკავშირდება. სამხრეთი ჯიბის კამარის საბრჯენი თაღი კრონშტეინებს ეყრდნობა.

ეკლესია ნათდებოდა დასავლეთის და სამხრეთის თაღოვანი სარკმლებით. დასავლეთი შესასვლელი შიგნით თაღოვანი, გარედან - არქიტრავულია.

დასავლეთ გარშემოსავლელს შესასვლელი სამხრეთიდან და



**სამხრეთი ფასადი.**

დასავლეთიდან აქვს. სამხრეთი შესასვლელი ორთაღოვანია; თაღები მასიურ სვეტს ეყრდნობა. დასავლეთის კარიბჭიდან შემორჩენილია თაღი, რომლის ზემოთ მცირე წრიული სარკმელია მოთავსებული.

სამხრეთ შესასვლელის სვეტის კაპიტელი მორთულია მცენარეული ორნამენტით. ძეგლის თავდაპირველი დეკორატიული ელემენტებიდან შემორჩენილია დასავლეთი სარკმლის მოჩუქურთმებული წარბი და გარშემოსავლელის წრიული სარკმლის დეკორატიული მორთულობა.

ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, ზემო ნაწილში ჩასმულ კვადრზე ტოლმკლავა ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. ეკლესიის კარნიზი თარო-ღარგარდანია. ძეგლი დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. ეკლესიის დასავლეთ ფასადზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები.

ეკლესიის ინტერიერი ძლიერ დეფორმირებულია. თითქმის ყველა კედელი დაბზარულია. მთლიანად ჩამონგრეულია აბსიდის მხარე, ჯიბეები და გარშემოსავლელი. საბურავი აყრილია. ეკლესიაში მიწის დონე ძლიერ აწეულია.



**პორტალის ფრაგმენტი რელიეფური კაპიტელით.**




**საბაწმინდის ეკლესიის გეგმა.**

# სოფ. ხეითი

# ღვთისმშობლის ეკლესია

## განვითარებული შუა საუკუნეები.

ეკლესია დგას ბუგიაანთ უბანში. ძეგლი ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით სქელ დუღაბზე. ფასადებისათვის და კარ-სარკმლისათვის გამოყენებულია მოლვინისფრო თლილი ქვის კვადრები.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია ვიწრო თაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვაა. ჩრდილოეთით თაღოვანი, ხოლო სამხრეთით სწორკუთხა ნიშებია. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ ხის კანკელი და ორსაფეხურიანი სოლეაა. კანკელი მოხატულია.

ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღები ორსაფეხური-



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

ან პილასტრების კაპიტელებს ეყრდნობა. კონქი და კამარა გადაყვანილია ხის არმატურით, რომელიც შემდეგ შელესილია ბათქაშით.

ინტერიერი ნათდება აღმოსავლეთის და სამხრეთის თაღოვანი და დასავლეთის სწორკუთხა სარკმლებით. სამხრეთი სარკმელი ნაოთხაღია. იატაკი ამოვსებულია მიწით. მსგავსი ორნამენტული მოტივი აღმოსავლეთი სარკმლის ქვედა ნაწილშიც არის.




ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა.

სამხრეთი შესასვლელი თაღოვანია, რომელსაც ტიმპანის ქვა აქვს. თაღი მორთულია ორნამენტით.

ფასადები მოკლებულია დეკორატიულ მორთულობას.

კარნიზი მარტივპროფილიანია. სახურავად გამოყენებულია კრამიტი.

ეკლესიის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

ძეგლი დაზიანებულია.

## სოფ. ხეითი

## კოშკი

### XVII-XVIII სს.

კოში მდებარეობს მდ.ლიახვის მარცხენა ნაპირას. მის შესახებ რ.მეფისაშვილი წერს : «Можно полагать, что возведение этой, внутри особо тщательно отделанной башни в Хеити, в районе именовавшейся «Савахтанго» т.е. в родовом имении царя Вахтанга VI, связано с периодом, когда Вахтанг несколько лет провёл в этих местах, в сел.Тири. Пребывание его, или кого- либо из его свиты, в этот период в Хеити не исключено.

ხეითის საცხოვრებელი კოშკი ორსართულიანი ბინაა, ორი ოთახით. ნაგებია როგორც რიყის, ისე ფლეთილი ქვით. წყობა მჭიდროა.

შესასვლელი კარი მეორე სართულიდან აქვს. კარის წინ მოწყობილი იყო ორ ძლიერ კოჭზე გამართული ბაქანი. ბაქანზე ადიოდნენ მისადგმელი კიბით. შესასვლელიდან მარჯვნივ კედელში

დაყოლებული კიბე პირველ სართულს უკავშირდება.

საცხოვრებელი მეორე სართულზეა, პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისაა.

მეორე სართულის ოთახი რვაკუთხედით შემოფარგლულ სივრცეს წარმოადგენს, რომლის წახნაგებში ღრმა კამარაგადავლებული უბეებია მოთავსებული. ოთახის შესასვლელის პირდაპირ, კედელში ბუხარია, რომლის ორივე გვერდზე თაღოვანი ნიშებია. მრავალგვერდა ოთახის სამ გვერდში, ბუხრიდან ორი მარჯვენა და ერთი მარცხენა გვერდის მთელ სიგანეზე, ღრმა და მაღალი ნიშებია მოთავსებული. სამივე აგურით ამოყვანილი, შეისრული თაღით არის გადახურული. შესასვლელის მარჯვნივ ორი ღრმა ნიშაა, რომლებშიც ფართო სარკმლებია გაჭრილი. მეორე ნიშში მოთავსებული ვიწრო კარიდან გასასვლელია საპირფარეშოში.

კამარით გადახურული ოთახი საზვერავ-სათოფურებით არის გამართული.

პირველი სართული გადახურულია კონუსური კამარით. სათავსის ძირითადი დანიშნულება იყო მარანი. ერთგან კედელში ქვის ღაროვანი შვერილია, რომლითაც გარედან ღვინო შემოდიოდა და შემდეგ ნაწილდებოდა ქვევრებში. მეორეგან დიდი ქვაა ამოკოდილი, რომელშიც კერამიკის მილიდან წყალი შემოდიოდა. კედლებში რამდენიმე ღრმა ნიშია განლაგებული.



კოშკი. I და II სართულის გეგმა.



ხედი ჩრდილოეთიდან.

გარედან კოშკი დაბალია. ერთადერთი დეკორატიული ელემენტია თაღოვანი კარის ზემოთ მოთავსებული ჯვარი. იგი ამოკვეთილია მოგრძო ქვაზე.

კოშკის პირველი სართული ამოვსებულია მიწით. ბანი დაზიანებულია. სართულშუა გადახურვა მოშლილია.

## სოფ. ხეითი

# მაცხოვრის ეკლესია

### XVII-XVIII სს.

ეკლესია მდებარეობს დოკაძიანთ უბანში (ადგილი "კოშკები). ძეგლი ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვით სქელ დუღაბზე. ფასადების კუთხეები თლილი ქვის კვადრებითაა ამოყვანილი.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია ვიწროთაღოვანი სარკმელი. სარკმლის ძირში ტრაპეზის ქვაა. ჩრდილოეთით ნიშაა. მისი მოხაზულობის დადგენა დაზიანების გამო შეუძლებელია. კონქი ამოყვანილია ქვის რადიალური რიგებით. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ ქვის კანკელია.



**სამხრეთი კედლის ფრაგმენტი.**

ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღი პილასტრებს ეყრდნობა. გრძივ კედლებს დაბალი ხარისხი მიუყვება. ინტერიერი ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის თაღოვანი



მაცხოვრის ეკლესიის გეგმა.

სარკმლებით. თაღოვანი შესასვლელი სამხრეთიდანაა.

აღმოსავლეთ სარკმლის სათაურის ქვას შეისრული ფორმა აქვს.

კარნიზი მარტივპროფილიანია. საბურავად გამოყენებულია კრამიტი.

ეკლესიის გარშემო გალავნის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

დაზიანებულია კანკელი, იატაკი, ჩრდილოეთი ფასადი, სამხრეთი სარკმელი.

## სოფ. ხეითი

## კოშკი

### განვითარებული შუა საუკუნეები.

სამსართულიანი კოშკი დგას დოკაძიანთ უბანში (ადგილი "კოშკები). ძეგლი ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, რომელიც მოგვიანებით შეულესავთ.

გეგმით სწორკუთხედია. სამივე სართულის ოთხივე კედელში სათოფურებია გაჭრილი. მეორე სართულის სამხრეთ და დასავლ-



I და II სართულის გეგმა.



ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

ეთ კედლებში სწორკუთხა ნიშების რიგია. სართულშუა გადახურვები მოშლილია.

არქიტრავული შესასვლელი პირველ სართულზე ჩრდილოეთიდანაა.

მესამე სართულის სამხრეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია შემორჩენილი.

ძეგლი ძლიერ დაზიანებულია. კოშკის ოთხივე კედელი გარღვეულია.

## სოფ. ხეითი

# ჯვარპატიოსანის ეკლესია

### განვითარებული შუა საუკუნეები.

ეკლესია სოფლიდან დასავლეთით 1 კმ-ზე მდებარეობს. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით სქელ დუღაბზე. ფასადების კუთხეებზე და კარ-სარკმლებზე გამოყენებულია თლილი ქვის კვადრები. წყობა შერეულია.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია ვიწრო თაღოვანი სარკმელი. ჩრდილოეთით თაღოვანი ნიშია. ნახევარსფერულ კონქში შემორჩენილია მოხატულობის კვალი. სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა.

გრძივი კედლები წყვილი პილასტრის საშუალებით თანაბარ ნაწილად იყოფა. ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღები პილასტრების მარტივად პროფილირებულ კაპიტელებს ეყრდნობა. ჩრდილოეთი კედლის პილასტრის ქვედა ნაწილში ექვსსტრიქონია-

ნი ასომთავრული წარწერაა.

ინტერიერი ნათდება აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის თაღოვანი სარკმლებით, აქედან დასავლეთისა ამოქოლილია. კედლები შელესილია კირით.

თაღოვანი შესასვლელი სამხრეთიდანაა, რომელსაც ტიმპანის ქვა აქვს. ტიმპანის ცენტრში ბოლნური ჯვარია გამოსახული.

აღმოსავლეთ სარკმელს ორმაგი ლილვი აჩარჩოებს. სარკმლის ორივე მხარეს კრონშტეინებია.

დანარჩენი ფასადები სადაა.

ეკლესია დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. კარნიზი მარტივპროფილიანია. სახურავად გამოყენებულია კრამიტი.

ნაგებობის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

ეკლესიის იატაკი აყრილია; კონქი დაზიანებულია. სახურავზე ამოსულია დიდი ზომის მცენარეები.



სამხრეთ-აღმოსავლეთი ფასადი.



აღმოსავლეთ ფასადის სარკმელი.

# სოფ. ხეითი

# ქელიცხოვლის ეკლესია

## XIII-XIV სს.

ძეგლი მდებარეობს ზუბაანთ უბანში.

ვ.ცინცაძის და რ.მეფისაშვილის ნაშრომში ვკითხულობთ: «Захарий Курдгелашвили принял на ссбя, и с помощью народа построил и дал разрисовать (церковь)».

ეკლესია დგას მაღალ მთაზე. ნაგებია მოწითალო ფერის კარგად თლილი ქვის კვადრებით. წყობა სწორხაზოვანია.

დარბაზული ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ცენტრში გაჭრილია მაღალი, თაღოვანი სარკმელი. ჩრდილოეთით და სამხრეთით თაღოვანი ნიშებია მოთავსებული. სარკმლის ძირში მასიური ტრაპეზის ქვაა. ნახევარსფერულ კონქში მაცხოვრის ფრესკაა.



ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

აბსიდი მოხატულია წმ.ნიკოლოზის, წმ.გრიგოლის, წმ.იოანეს და წმ.ვლადიმერის ფრესკული პორტრეტებით. პორტრეტები კედლის მთელ სიგრძეზეა განთავსებული.

სატრიუმფო თაღი აბსიდის მხრებს ეყრდნობა. საკურთხევლის წინ ხის კანკელი და ორსაფეხურიანი სოლეაა.

გრძივ კედლებს წყვილი პილასტრი თანაბარ ნაწილებად ჰყოფს. ნახევარცილინდრული კამარის საბრჯენი თაღები პილასტრების კაპიტელებს ეყრდნობა. კამარა და კედლები მოხატულია. ოთხივე კედელს დაბალი კარნიზი მიუყვება. იატაკი მოგებულია ქვის დიდი ზომის კვადრებით.

ინტერიერი ნათდება დასავლეთის, სამხრეთის და აღმოსავლეთის მაღალი თაღოვანი სარკმლებით, აქედან დასავლეთისა ორჭრილიანია. სამხრეთი შესასვლელი თაღოვანია, რომელსაც ტიმპანის ქვა აქვს. შესასვლელი მორთულია მოჩუქურთმებული პორტალით. ტიმპანის ქვაზე ორი როზეტია, რომელთა შუა ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა.

სამხრეთიდან ეკლესიას ორსართულიანი სამრეკლო აქვს. სამრეკლო ღია თაღებით არის გახსნილი. პირველი სართულის თაღები ნახევარწრიულია, მეორესი - შეისრული. თაღები ეყრდნობა ოთხკუთხა სვეტების მოჩუქურთმებულ კაპიტელებს.

აღმოსავლეთ სარკმლის ფართო ოლეს ორმაგი ლილვი აჩარჩოებს. ჩრდილოეთი ფასადი სადაა. დასავლეთის ფრონტონში ჯვრის გამოსახულებაა. შეწყვილებულ სარკმელს ორმაგი ლილვი აჩარჩოებს. ლილვის ორივე ქვედა ნაწილი კვადრატებით სრულდება, შუა ნაწილი კი ნახევარი წრით არის აქცენტირებული. ფასადის ცენტრის ოდნავ ქვევით, მედალიონია ექვსქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით.


პორტალის ფრაგმენტი.

აღმოსავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით ერთსაფეხურიანი ცოკოლია, ხოლო დასავლეთით - ორსაფეხურიანი.

კარნიზი თარო-ლავგარდანია. საბურავად გამოყენებულია კრამიტი.

ეკლესიის გარშემო შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტები.

დაზიანებულია ეკლესიის საბურავი, სამრეკლოს სვეტები, პორტალი.

## სოფ. ხელჩუა

# მთავარანგელოზის ნაეკლესიარი



ეკლესიის საძირკვლის ფრაგმენტი.

სოფლიდან აღმოსავლეთით 2 კმ., ნასოფლარ "სემო ხელჩუასთან" მდებარე, თითქმის მთლიანად დანგრეული ნაეკლესიარიდან შემორჩენილია საძირკვლის ფრაგმენტები. სავარაუდოა, იგი მცირე ზომის დარბაზული ეკლესია იყო.

ზომები: 7,5X7,5 მ. ძლიერი დაზიანების გამო გეგმისა და თარიღის დადგენა შეუძლებელია.

## სოფ. ხელჩუა

# ქაშუეთის ეკლესია

### გვიანი შუა საუკუნეები.

ფლეთილი ქვით ნაგები მცირე ზომის დარბაზული ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1 კმ-ზე მდებარეობს. ძეგლი აღმოსავლეთიდან ნახევარწრიული აბსიდითაა დასრულებული. მასში მორღვეული სარკმლის ორსავე მხარეს თითო ნიშაა მოთავსებული. სამხრეთი და დასავლეთი კედელი ნაწილობრივ დანგრეულია. დანარჩენი კედლები 2 მეტრის დონეზეა შემორჩენილი.




"ქაშუეთის" ეკლესიის გეგმა.

## სოფ. ხსარგინა

# ნიშა

### XX ს.

სოფელ ხსარგინადან ჩრდილო-დასავლეთით, 3 კმ-ზე, ძველი ეკლესიის ადგილზე, ეკლესიის ქვებისაგან (ფლეთილი) გაკეთებულია სალოცავი ნიშა. წყობა მშრალია.

## სოფ. ხუგასთა

# ეკლესიის ნანგრევი

### გვიანი შუა საუკუნეები.

სოფლის სასაფლაოზე დგას მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, ნაგები რიყისა და ფლეთილი ქვით დუღაბზე.

ეკლესია გეგმით სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აბსიდით. აბსიდის ჩრდილოეთით და სამხრეთით თითო სწორკუთხა ნიშაა. აბსიდი დარბაზისაგან მხრებით გამოიყოფა. ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლების სიმაღლე 1-2 მეტრს აღწევს. სამხრეთი კედლის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი. ჩამონგრეულია დასავლეთი კედელი. შესასვლელი არ იკითხება.

ეკლესიაში მიწის დონე აწეულია. ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა.



ინტერიერი, საკურთხევლის ფრაგმენტი.



ეკლესიის ნანგრევის გეგმა.

# ბიბლიოგრაფია


1. ნ. ანდღულაძე. თირის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესია. მაცნე, №5. 1970.
2. ვ. ბერიძე. ძველი ქართველი ოსტატები. თბ., 1956.
3. ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., 1956.
4. ჯ. გვასალია. პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები. ძეგლის მეგობარი, თბ, 1966/77 №43-44.
5. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოჲსა. ქართლის ცხოვრება, ტIV, თბ., 1973.
6. პ. ზაქარაია. საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები. თბ., 1973.
7. პ. ზაქარაია. XI-XIII საუკუნეების ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა. თბ., 1975.
8. ვ. თოფურია. შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები. საისტორიო მოამბე, ტII, 1924.
9. ს. მაკალათია. ლიახვის ხეობა. თბ., 1971.
10. ი. მეგრელიძე. სიძველენი ლიახვის ხეობაში. თბ., 1984.
11. ი. მეგრელიძე. მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირის სიძველეები და მათი წარწერები. თბ. ა.ს.პუშკინის სახ. თბილისის სახ.პედ.ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1957.
12. ი. მეგრელიძე. ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველეები. მაცნე, (ისტ.სერია) № 4, 1971.
13. ი. მეგრელიძე. სტალინირისა და ზემო ნიქოზის სიძველეები. სტალინირის სახ.პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1952.
14. ი. მეგრელიძე. ქართული წყაროთმცოდნეობა, III. 1971.
15. რ. მეფისაშვილი. ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე. ძეგლის მეგობარი №14,1968.
16. რ. მეფისაშვილი. ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საალმშენებლო წარწერა. საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ.V.№10, 1944.
17. რ. მეფისაშვილი. ბერის საყდარი X საუკუნის სამეკლესიანი ბაზილიკა. ქართული ხელოვნება №7, 1971.
18. პ. ორბელიანი. საქართველოს საქმეები, ქართლის ცხოვრება, თბ., ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913.
19. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტI. 1949.
20. ნ. შოშიტაიშვილი. ლაპიდარული წარწერები, I. თბ., 1980.
21. გ. ჩუბინაშვილიო. ერთ-ერთი უძველესი სამეკლესიიანი ბაზილიკა ქვემო-ქართლში. კრებ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966.
22. ვ. ცინცაძე. ქართული ხელოვნება №4, თბ., 1955.
23. Бакрадзе Дм. Кавказ в древних памятниках христианства, Тифлис, 1875.
24. Бакрадзе Т. Интересная работа. Рецензия на книгу Г.Тогошвили: Грузино-

осетинские взаимоотношения в ХУ-ХУШ веках ТБ., 1969 , «Мацне» , 3, Тб., 1970.

25. Безсонов С. Башни и замки Юго-Осетии. Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института. Вып.1,Сталинири, 1933.
26. Беридзе В., Грузинская архитектура с древнейших времён до начала XX века, Литература да хеловнеба, 1967.
27. Гвритишвили Д. Из истории социальных отношений феодальной Грузии. Тбилиси, 1955.
28. Закарая П. Древние крепости Грузии. Тбилиси, «Мерани», 1969.
29. Закарая П. Крепостные сооружения Картли. Тбилиси, «Мецниереба», 1968,
30. Иоселиани П. , Икортский монастырь в Карталини, Груз., духовный вестник, 1897.
31. Меписашвили Р., Цинцадзе В.,Архитектура нагорной части исторической провинции Грузии Шида-Картли,Тбилиси, 1975.
32. Северов Н.П. Памятники Грузинского зодчества. М., Изд. Акад. архитектур. СССР, 1947.
33. Семёнов, Л.П. Квопросу о культурных связах Грузии и народов Северного Кавказа, МИА, 23, 1951.
34. Такаишвили Е. Археологические экскурсии, разыскания и заметки. В.У, Тф., 1915
35. Уварова П. Материалы по археологии Кавказа , т.,1У., М., 1894.
36. Шмерлинг Р. Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тбилиси,1962.

# სარჩევი


სოფ. ანდორეთი

ღვთისმშობლის ეკლესია ... 6

სოფ. ანძისი

ეკლესია ... 7

სოფ. არდისი

სამების ეკლესია ... 8

წმ. გიორგის ნაეკლესიარი ... 9

სოფ. არდისი

ღვთისმშობლის ნაეკლესიარი, ძველ სასაფლაოზე ... 9

სოფ. არგვიცი

ღვთისმშობლის ეკლესია ... 10

სოფ. არკინარეთი

ყველაწმინდის ეკლესია ... 11

უსანეთას სალოცავი - ნაეკლესიარი ... 11

წმ.გიორგის ეკლესია ... 12

ეკლესია ... 12

სოფ. არცევი

ეკლესიის ნანგრევი ... 13

ღვთისმშობლის ეკლესია ... 14

ნაეკლესიარი ... 15

სოფ. აჩაბეთი

აჩაბეთის ციხე ... 15

სოფ. აძვისთავი

ზურგიანი კოშკი (ნანგრევი) ნაგებობათა ნაშთები ... 17

სოფ. აძვისთავი

წმ. გიორგის ეკლესია ... 19

სოფ. აწრისხევი

აწრისხევის ციხე ... 20

ბეხუშეს ციხე ... 21

კოშკი ... 22

წმ. მარიამის ეკლესია ... 24

ღვთისმშობლის ეკლესია ... 26

სოფ. ახალისი

ლომისას წმ.გიორგის ეკლესია ... 27

სოფ. ბელოთი

ქაშუეთის ეკლესია ... 28

ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები ... 28

ლომისას ეკლესიის ნანგრევი ... 29

ბელოთის კომპლექსი ... 29

ყოხალას ციხე ... 33

სოფ. ბერიჯვარი
ეკლესიის ნანგრევი.....35
სოფ. ბიეთი
ღვთისმშობლის ეკლესია.....36
ბიეთის მონასტერი.....37
სოფ. ბიყარი
ეკლესია.....39
სოფ. ბიყარი
კოშკი.....41
სოფ. გაბარაანთკარი
კოშკის ნანგრევი.....42
სოფ. გაბილთა
ნაგებობის ნაშთი.....43
სოფ. გალუანთა
ნაეკლესიარი ღვთისმშობელი.....43
სოფ. გერი
წმ. გიორგის ეკლესია.....43
სოფ. გიგოლაანი
ეკლესიის ნანგრევი.....45
სოფ. გოზო
გოზოს ციხე (ნანგრევი).....46
სოფ. გორეთი
ღვთისმშობლის ეკლესია.....46
სოფ. გუდისი
ნამონასტრალი.....47
კოშკის ნანგრევი.....47
ძველი ნაგებობათა ნაშთი.....47
სოფ. გუჯაბაური
ღვთისმშობლის ეკლესია.....48
სოფ. გნუდი
კოშკი.....48
სოფ. გნუდი
ზურგიანი კოშკი.....49
ზურგიანი კოშკი.....50
სოფ. დგალიანთა
ზურგიანი კოშკი.....51
დგალიაანთ კარის ეკლესია.....51
სოფ. დგალეთი
ზურგიანი კოშკი.....52
ეკლესია.....53
სოფ. დისევი
ძელიცხოვლის ეკლესია.....54
ზურგიანი კოშკი.....56

**სოფ. დოდოთი**
წმ. გიორგის ეკლესია ....................57
**სოფ. ელტურა**
ქვაჯვარა ....................58
**სოფ. ერედვი**
ცხეთიჯვარის ეკლესია ....................59
**სოფ. ერედვი**
წმ. გიორგის ეკლესია ....................60
ბერის საყდარი ....................63
წმ. ელიას ეკლესია ....................65
წითელი საყდარის ეკლესია ....................66
**სოფ. ვალიანთა**
საღმრთოს ეკლესია ....................67
ღვთისმშობლის ეკლესია ....................68
**სოფ. ვანათი**
მაცხოვრის ეკლესია ....................70
ვანათის ციხე ....................71
**სოფ. ვილდა**
ციხე ....................74
**სოფ. ზალდა**
ეკლესია ღვთისმშობელი ....................75
მარიამწმინდას ნაეკლესიარი ....................76
წმ. გიორგის ნაეკლესიარი ....................76
წმ. გიორგის ეკლესია ....................77
**სოფ. ზემო აჩაბეთი**
ხუციურის ეკლესია ....................79
წმ. ესტატეს ეკლესია ....................80
აბოწმინდას ეკლესია ....................81
წმ. კვირიკეს კომპლექსი ....................82
**სოფ. ზემო გორეთი**
წმ. გიორგის ეკლესია ....................83
**სოფ. ზემო დოდოთი**
ლოდოთის ცხრაკარას ეკლესია ....................84
**სოფ. ზემო ვილდა**
კოშკი ....................86
ნაეკლესიარი ....................91
სამების ეკლესია ....................91
**სოფ. ზემო იკორთა**
იკორთის ტაძარი ....................92
ციხე ....................96
**სოფ. ზემო კორკულა**
ეკლესია გიგოლაანთ სალოცავი ....................98
**სოფ. ზემო მოხისი**
ეკლესია, კოშკის ნანგრევი ....................98

სოფ. ზემო სნეკვი
წმ. გიორგის ეკლესია ....................99
ყველაწმინდის ეკლესია....................101
ნაეკლესიარი....................101
სოფ. ზემო ტბეთი
ღვთისმშობლის ეკლესია....................102
ყვავისაყდარას ეკლესია ....................103
სოფ. ზემო ფრისი (ქართული ფრისი)
ღვთისმშობლის ეკლესია....................105
სოფ. ზემო ქერე
ნიში ....................107
სოფ. ზემო ჭარები
მთავარანგელოზის ეკლესია....................107
სოფ. ზემო ხელჩუა
კვირაცხოვლის ნაეკლესიარი....................108
მაცხოვრის ეკლესია ....................108
სოფ. ზვარეთი
წმ. გიორგის ეკლესია ....................110
სოფ. ზონკარი
ზურგიანი კოშკი....................111
შიოწმინდის ეკლესია....................112
დარბაზი ....................113
ღვთისმშობლის ეკლესია ....................113
ეკლესია-კოშკით ....................115
ზურგიანი კოშკის ნანგრევი....................117
სოფ. თამარაშენი
მაცხოვრის ეკლესია....................118
გრიგოლწმინდის ეკლესია ....................120
სოფ. ივრეთი
წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევი....................121
ზურგიანი კოშკის ნანგრევი....................121
სოფ. ინაური
ციხე....................122
ზურგიანი კოშკი....................123
ზურგიანი კოშკი....................124
ნაგებობის ნანგრევი....................125
სოფ. ისროლისხევი
მაცხოვრის ეკლესია ....................125
კოშკი ....................126
ღვთისმშობლის ეკლესია....................127
სოფ. კეხვი
წმ.გიორგის ეკლესია ....................129
ცილინდრული კოშკი....................130
წმ. გიორგის ეკლესია....................131

კეხვის ციხე ....................................................................................133
წინა დედაღვთისას ნაეკლესიარი....................................................................136
სოფ. კულბითი
წმ. მარინეს ნაეკლესიარი...........................................................................137
წმ. გიორგის ეკლესია ................................................................................138
სოფ. კუსირეთი
ეკლესია....................................................................................................139
კოშკი.........................................................................................................141
სოფ. ლაცაური
ნაგებობის ნაშთი.........................................................................................143
კოშკი.........................................................................................................143
კოშკი ........................................................................................................144
კოშკი.........................................................................................................145
სოფ. ლეკვანი
ნაეკლესიარი ............................................................................................145
სოფ. მარალეთი
ნაეკლესიარი ............................................................................................145
სოფ. მერია
მერიის ღვთისმშობლის ეკლესია .................................................................146
სოფ. ნაქალაქევი
წმ. გიორგის ეკლესია.................................................................................148
სოფ. ნიფარეთი
ნაეკლესიარი ............................................................................................150
სოფ. ნიში
ნიში...........................................................................................................150
სოფ. ნოგყაუ (ახალსოფელი)
ნიში იჭნა (დღეობა)....................................................................................150
სოფ. პატარა ღრომი
ღვთისმშობლის ეკლესია .............................................................................151
წმ. გიორგის ეკლესია .................................................................................152
სოფ. ორტევი
წმ. გიორგის ეკლესია .................................................................................153
სოფ. რექომი
ციხის ნანგრევი.............................................................................................155
სოფ. რუსთავი
მთავარანგელოზის ეკლესია ..........................................................................155
სოფ. სათიხარი
ციხე.............................................................................................................156
ღვთისმშობლის ეკლესია...............................................................................158
ეკლესია.......................................................................................................159
სოფ. საცხენეთი
კვირაცხოვლის ეკლესია.................................................................................160
წმ. გიორგის ეკლესია ...................................................................................161
გომართის ეკლესია.......................................................................................162

**სოფ. სვერი**
- ხეთაგაანთ კოშკი ........ 164
- ნაეკლესიარი ზაქარწმინდა ........ 165
- სვერის ციხე ........ 166

**სოფ. სიათა**
- ზურგიანი კოშკი ........ 167
- ნაგებობის ნაშთი ........ 169
- ეკლესია კოშკით და მინაშენით ........ 170

**სოფ. სუართა**
- კოშკის ნანგრევი ........ 171

**სოფ. ტბეთი**
- კოშკი ........ 172
- ბორცვისჯვარის ეკლესია ........ 174

**სოფ. ფარაზა**
- კოშკი ........ 176
- კოშკის ნანგრევი ........ 177
- კოშკი ........ 178

**სოფ. ქემერტი**
- ეკლესია გერის ძმა ........ 178
- კოშკი ........ 180
- მინდიაანთ კოშკი ........ 181
- კოშკი ........ 182
- წმ. გიორგის ეკლესია ........ 183

**სოფ. ქვემო აზაბეთი**
- წმ. ნიკოლოზის ეკლესია ........ 185

**სოფ. ქვემო დმენისი**
- მთავარანგელოზის ეკლესია ........ 187
- წმ. მარინეს ეკლესია ........ 188

**სოფ. ქვემო ვილდა**
- ეკლესია ........ 189

**სოფ. ქვემო მონასტერი**
- თირის სამონასტრო კომპლექსი ........ 191

**სოფ. ქვემო სარაბუკი**
- ნაგებობის ნაშთი ........ 194

**სოფ. ქვემო სნეკვი**
- ზურგიანი კოშკი ........ 194

**ნასოფლარი ქვემო ქლივანა**
- ეკლესია ........ 195

**სოფ. ქლივანა**
- ნაეკლესიარი ........ 197

**სოფ. ქსუისი**
- ღვთისმშობლის ნაეკლესიარი ........ 197
- მთავარანგელოზის ეკლესია ........ 198

სოფ. ქურთა
სამების წმ. გიორგის ეკლესია 199
სოფ. ღვრია
სამების ეკლესია კოშკით 200
ზურგიანი კოშკი 201
სოფ. ღრომი
ზურგიანი კოშკი 202
ეკლესია 203
ღვთისმშობლის ეკლესია 204
ეკლესია 205
სოფ. ღრუბელა
მიქელ-გაბრიელის ნიში 206
სოფ. ყლარსი
მიქელ-გაბრიელის ეკლესია 207
კოშკი 208
სოფ. ყუფთა
ზურგიანი კოშკი 209
წმ. გიორგის ეკლესია 210
სოფ. შამბიეთი
ზურგიანი კოშკი 211
სასახლის ნანგრევი 212
ეკლესია 213
სოფ. შელეული
კოშკის ნანგრევი 215
სოფ. შუა მოხისი
ეკლესია 216
ნასოფლარი შულაური
ნასოფლარი 216
სოფ. ჩანდიანი
ეკლესიის ნანგრევი 217
სოფ. ჩაფარუხი
ზურგიანი კოშკი 217
ეკლესია 218
კოშკის ნანგრევი 219
ზურგიანი კოშკი 220
ზურგიანი კოშკის ნანგრევი 220
ქ. ცხინვალი
ამაღლების ეკლესია 221
წმ. გიორგის ეკლესია (ზღუდერი) 222
ღვთისმშობლის სამრეკლო-სამლოცველო 224
კოშკი 225
კავთის წმ. გიორგის ეკლესია 226
წმ. გიორგის ეკლესია 227

**სოფ. ძარი**
მთავარანგელოზის ეკლესია....229
**სოფ. ძარწემი**
გალავნები....230
სპარსეთის წმ. გიორგის ეკლესია....231
წმ. გიორგის ეკლესია....232
**სოფ. ღრომი**
ეკლესია....234
**სოფ. წიფორი**
ეკლესია წმ. გიორგი....236
წითელი ჯვარი - ნაგებობის ნაშთი....237
კოშკი....237
**სოფ. წყალწმინდა**
ნაეკლესიარი....238
**სოფ. ჭალისუბანი**
ეკლესია მინაშენით და კოშკით....239
კვირაცხოვლის ეკლესია....240
**სოფ. ჭარები**
ღვთისმშობლის ეკლესია....241
სამების ნაეკლესიარი....243
ქარქიაანთ ეკლესია....244
**სოფ. ხადურიანთუბანი**
ციხე-სიმაგრის ცილინდრული კოშკი....245
**სოფ. ხაჩირაანი**
კოშკი....247
**სოფ. ხეთაგუროვი (ყოფილი წუნარი)**
ღვთისმშობლის ეკლესია....248
**სოფ. ხეითი**
ეკლესია საბაწმინდა....251
ღვთისმშობლის ეკლესია....254
კოშკი....255
მაცხოვრის ეკლესია....257
კოშკი....258
ჯვარპატიოსანის ეკლესია....259
ძელიცხოვლის ეკლესია....261
**სოფ. ხელჩუა**
მთავარანგელოზის ნაეკლესიარი....263
ქაშუეთის ეკლესია....263
**სოფ. ხსარგინა**
ნიში....264
**სოფ. ხუგასთა**
ეკლესიის ნანგრევი....264
**ბიბლიოგრაფია**....265

# RESUME

Importance of Cultural heritage of our country, about the necessity of its maintenance and protection has been written, published and talked more than once by different scientists and outstanding figures. Particular significance among the monuments of various ages or styles being survived up to date deserves architectural monuments of medieval ages as one of the most interesting period of Georgian Culture. All the monuments of this period, despite of their artistic values or condition are already more valueable and worthy to pay due attention just because of only their existence.

Just this is the major purpose of preceding issue-to offer information about the architectural monuments existed on the territory of Georgia to the readers -interested in Georgian Cultural Heritage. In this case we will deal only with Tskinvali region monuments, to publish the lists and descriptions of these Monuments is especially pressing due to the region's political situation at present.

The gorge of small Liakhvi, which is a historical part of Inner Kartli, is rich with Significant architectural monuments of different stages. From the material -cultural monuments of the gorge must be emphasized so-called back shaped towers and rectangular altar church groups, characteristic to this area, wihtout considering of their meaning it is impossible to imagine historical-cultural heritage of this region.

Just in this extremely painful region of Georgia in 1981-1983 the expeditions were carried out by former Main Board for Protection of Monuments . By the staff memebers of the expeditions : art critics: M. Abashidze, P. Basishvili, Ts. Dadianidze, architects: L. Giorgadze, L. Lomidze, historian B. Kupreishvili (the Head of expedition) many than one of monuments were registered and described in the entire Tskinvali region, there were as well discovered such architectural monuments which had been unknown and even not listed before.

From the beginning it should be pointed out that there are monographes and individual letters, published by Georgian scientists, about some monuments existed in this region. In this regard should be taken the opportunity of expressing sincere gratitude to professor R. mepisashvili for her immense activities. As regards preceding work, it is more informative and descriptive type.

Suggested work, actually, is historic source, according to which we are able to discover presently missing monuments. We can determine against the backgrounds of their descriptions in what condition this or that monument was in the past. As well restore not only the primary image of the monument but find out about the existance of the missing speciman.

Denotative work can be very helpful as a guideline for the researchers of Art-History,encourage them to the further work on the uninvestigated monuments and set forward some new problems. Besides it, the work can be used to re-establish old maps of Georgia as well as make new ones.

წიგნში გამოყენებული ფერადი ფოტო-სლაიდები დაცულია ძეგლთა ფოტო-ფიქსაციის ლაბორატორიაში (დირექტორი - ლ. წილოსანი).

წიგნი გამოსაცემად მოამზადეს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა:

ტექსტის დამუშავება - ც. დადიანიძე

დიზაინი და კომპიუტერული დამუშავება - თ. ჩხაიძე

ტექ. რედაქტორი და კორექტორი - ნ. თიგიშვილი

კორექტორი - ნ. კობახიძე

ინგლისური რეზიუმე - დ. მესხიშვილი

რუკა შეადგინა - ბ. კუპრეიშვილი, ნ. ზაზუნიშვილი

მხატვარი - ს. ზაზუნიშვილი

გარეკანზე - თირის მონასტერი, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

წიგნი დაიბეჭდა ფირმა "პდპ"-ში

ISBN- 99928-0-427-0